

ქინგალაჟესის გამყვანი გეირაბი
ქინვალაჟესის გამყვანი გვირაბის რეაბილიტაცია
სატენდერო დოკუმენტაცია

stucky |
a Gruner company

ნაშროვი 2: სამშენებლო სამუშაოების ჰექნიკური სპეციფიკაციები

შინაარსი

83

1	მოგილიზაცია და დემოგილიზაცია	1
1.1	შემადგენლობა	1
1.2	ზოგადი ნაწილი	1
1.3	წარმოსადგენი დოკუმენტაცია	2
1.4	გაზომვა და გადახდა	2
2	მიზანმიზნი სამუშაოები	2
2.1	სამუშაოთა მოცულობა და ძირითადი მოთხოვნები	2
2.2	ქქსკავაციის პროცედურები	3
2.3	კენტილაცია და განათება	3
2.4	დრენაჟი	4
2.5	ზედაპირის დამუშავება	4
3	ყვლის მოცილება და გადაგდება	5
3.1	შემადგენლობა	5
3.2	ზოგადი ნაწილი	5
3.3	წყლის გადაგდება	5
3.4	წყლის მოცილება	5
3.5	გაზომვა და გადახდა	6
4	გეტონის დანგრევა	6
4.1	ზოგადი ნაწილი	6
4.2	ხარისხის უზრუნველყოფა	6
4.3	წარმოსადგენი დოკუმენტაცია	7
4.4	დაცვა	7
4.5	შესრულება	7
4.6	გაზომვა და გადახდა	8
5	გეტონის შეპათვა	8
5.1	ზოგადი ნაწილი	8
5.2	სამუშაოს მოცულობა	9
5.3	გამოყენებული ლიტერატურა	9
5.4	წარმოსადგენი დოკუმენტაცია	9
5.5	შესრულება	10
5.6	გაზომვა და გადახდა	10
6	შესვების სამუშაოები	11
6.1	ზოგადი ნაწილი	11
6.2	განმარტებები	12
6.3	შემავსებლის მასალის წყარო	13
6.4	ზომები და კუთხეები	13
6.5	მოწყობილობები	13
6.6	დასაწყობება	13
6.7	მოწყობა	13

6.8	ტენიანობის კონტროლი	15
6.9	გამკვრივება	15
6.10	შემავსებლის ხარისხის კონტროლი	15
6.11	გაზომვა და გადახდა	16
A - ზოგადი ნაწილი		16
B - გაზომვა		16
C - გადახდა		16
7 გეტონი		16
7.1	სამუშაოს მოცულობა	16
7.2	სტანდარტები	17
7.3	წარმოსადგენი დოკუმენტები	17
7.4	ცემენტის სსნარის შემადგენლობა	18
7.5	ხარისხის კონტროლი	19
7.6	ბეტონის სინჯის აღება და ტესტირება	19
7.7	მიღების კრიტერიუმები	20
7.8	ბეტონის ტემპერატურა	21
7.9	დაგება	21
7.10	ბეტონის ზედაპირის დამუშავება	25
7.11	კონსტრუქციული ნაკერები ბეტონის კონსტრუქციებში	28
7.12	ბეტონის გამყარება და დაცვა	28
7.13	ბეტონის შეკეთება	29
7.14	გაზომვა და ანაზღაურება	30
8 გალიბი		32
8.1	სამუშაოს მოცულობა	32
8.2	განსაზღვრებები	33
8.3	წარსადგენი დოკუმენტები	33
8.4	მასალები	33
8.5	ფორმების შემოსაკრავები	34
8.6	პროექტი	34
8.7	ყალიბების მოწყობა	35
8.8	გვირაბის ყალიბი	36
8.9	მოსახული ბეტონის ცდომილებები	36
8.10	ყალიბის მოშორება	36
8.11	გაანგარიშება და ანაზღაურება	37
9 პრმატურის ზოლადი		38
9.1	სამუშაოების მოცულობა	38
9.2	სტანდარტები	38
9.3	წარსადგენი დოკუმენტები	38
9.4	მასალები	38
9.5	ტესტირება	39
9.6	შენახვა	39
9.7	დამზადება	39
9.8	მონტაჟი	40

9.9	ცდომილებები არმატურის მონტაჟის დროს	40
9.10	გაანგარიშება და ანაზღაურება	41
10	ტორპელტბეტონი	42
10.1	სამუშაოთა აღწერილობა	42
10.2	განსაზღვრებები	42
10.3	წარმოსადგენი დოკუმენტები	43
10.4	მასალები	44
10.5	მოთხოვნები ნარევის შემადგენლობისა და ხარისხისადმი	47
10.6	გამოცდა	48
10.7	მოწყობილობა	49
10.8	მუშახელის კვალიფიკაცია	50
10.9	ზედაპირის მომზადება	50
10.10	შერევა და დაგება	51
10.11	ანასხლები	52
10.12	დაცვა, გამყარება და დამუშავება	52
10.13	რემონტი	53
10.14	დასაშვები გადახრები	53
10.15	გაზომვა და გადახდა	53
ბ -	მასალები	54
11	ბურღა და ცემენტაცია	54
11.1	სამუშაოების მოცულობა	54
11.2	განმარტებები	54
11.3	წარსადგენი დოკუმენტაცია	55
A -	ბურღა	55
B -	ცემენტაცია	57
11.4	მოწყობილობები	58
A –	საბურღი მოწყობილობები	58
11.5	საველე ლაბორატორია	61
11.6	საცემენტაციო მასალები	62
11.7	ცემენტის ნარევები	63
11.8	შესრულება	64
A –	ზოგადი ნაწილი	64
D -	ცემენტაცია	67
11.9	გაზომვა და გადახდა	70
11.9.1	ბურღა	71
11.9.2	ცემენტის სსნარის ჩასხმა	72
11.9.3	საცემენტაციო მასალები	72
D –	გამონაკლისები - ცემენტაცია	73

ცხრილების სია:

ცხრილი 7-1: ბეჭონის საორიენტაციო რეცეპტი.....	18
ცხრილი 7-2: ფორმირებული ზედაპირის ქლასები.....	26
ცხრილი 7-3: არაფორმირებული ზედაპირის ქლასები.....	27
ცხრილი 10-1: ტორქოგ-ბეჭონის საორიენტაციო რეცეპტი.....	47
ცხრილი 11-1: საცემური ხსნარის რეცეპტი.....	64

1 მოგილიზაცია და დემოგილიზაცია

1.1 შემადგენლობა

ამ თავში მოცემული სპეციფიკაციების, ნახაზებზე ნაჩვენები ან მითითებული მონაცემების შესაბამისად, კონტრაქტორმა სამუშაოების დასაწყებად უნდა მოახდინოს საჭირო ძირითადი პერსონალის, მომუშავე პერსონალის, აღჭურვილობის და მასალების მობილიზაცია და დემობილიზაცია.

1.2 ზოგადი ნაწილი

A - აღწერა

მოცემული თავის სამუშაოები შედგება შემდეგი ელემენტებისაგან:

- მობილიზაცია
- დემობილიზაცია

B – დამკვეთი უზრუნველყოფა:

- პე28+25-ზე მოწყობილია 200 მმ დიამეტრის ბურლილი ბეტონის და სხვა სამშენებლო მასალის მისაწოდებლად.
- სამუშაოებისთვის საჭირო ელექტროენერგიის მიწოდებას გაბურდულ ვერტიკალურ ჭაურამდე.
- შახტა №2 (პე34+55) სათანადო იქნება აღიჭურვილი შესაბამისი ამწე მექანიზმებით:
 - ა) სამგზავრო-სატენდერო ლიფტი ტვირთამწეობით დაახლოებით 1ტ; ბ) მასალების გამოსატანი სატენდერო ლიფტი ტვირთამწეობით 5ტ.
- ფილტრაციული წყლების ამოტუმბვას გვირაბის დასაწყისში პესის შენობის სიახლოეები.

C - ვადა

კონტრაქტის მინიჭების შემდეგ, პირველი 30 დღის განმავლობაში, კონტრაქტორი ვალდებულია:

- 1) არსებითად მოახდინოს სამუშაოების დასაწყებად საჭირო ძირითადი პერსონალის, მომუშავე პერსონალის, აღჭურვილობის და მასალების მობილიზაცია.
- 2) არსებითად დაასრულოს სამშენებლო ობიექტების, კერძოდ სამშენებლო ბანაკი, დამსმარე ბანაკი და შესაბამისი სათავსოები, ოფისები, მისასვლელი გზები, საამქროები, საწყობები, ელექტრო და მექანიკური მომსახურება, და ა.შ დაგეგმვა და მოწყობა. ობიექტის ოფისი უზრუნველყოს ინტერნეტით ინფორმაციის ოპერატორიული მიწოდებისათვის.

- 3) წარადგინოს სამშენებლო სამუშაოების შესრულების მეთოდოლოგია, სამუშაოთა პრიორიტეტულობა და თანმიმდევრობა არსებული სამუშაოთა მოცულობების ფარგლებში, დეტალური გრაფიკი, პერსონალი.
- 4) კონტრაქტორმა, სამუშაოების დასრულების შემდეგ, უნდა მოახდინოს ყველა დროებითი სათავსოების (ოფისების, სამქროების და საწყობების და ა.შ.), პერსონალის, აღჭურვილობის, დარჩენილი და მარაგი მასალების დემობილიზაცია.

1.3 წარმოსადგენი დოკუმენტაცია

კონტრაქტის მინიჭების შემდეგ, 10 დღის განმავლობაში, კონტრაქტორმა უნდა წარუდგინოს ინჟინერს სამშენებლო ობიექტების დეტალური გეგმა და ზოგადი სქემა.

1.4 გაზომვა და გადახდა

A - გაზომვა

მობილიზაციის და დემობილიზაცია არ გაიზომება.

B - გადახდა

სპეციულიკაციების მოცემული ნაწილის სამუშაოების ანაზღაურება განხორციელდება ფასების ჩამონათვალის შესაბამისი პუნქტის: “კონტარქტორის მიერ მოთხოვნილი ყველა სათავსოს მოწყობა, შენახვა და დაშლა”.

მობილიზაციის თანხა შეადგენს მთლიანი თანხის 70%-ს, დანარჩენი 30% დემობილიზაციისათვის არის გამოყიფული.

კონტრაქტორმა, სამუშაოების დასრულების შემდეგ, უნდა მოახდინოს პერსონალის, აღჭურვილობის, სამშენებლო სათავსოების, როგორებიცაა: ოფისები, სამქროები და საწყობები და ა.შ., დარჩენილი და მარაგი მასალების დემობილიზაცია ობიექტიდან.

2 მიზანმიზანები

2.1 სამუშაოთა მოცულობა და ძირითადი მოთხოვნები

ეს თავი მოიცავს გრუნტის ყოველგარ დამუშავებას გვირაბის ჰორიზონტალურ და დახრილ სექციებში, გარდა გრუნტის დია დამუშავებისა.

გრუნტის დამუშავება იწარმოებს იმ კონტურებით, ნიშნულებით და იმ ზომებით, რომლებიც ნაჩვენებია ნახაზებზე, ან როგორც ამას მოითხოვს ინჟინერი. გრუნტის დამუშავებისას კონტურების დარღვევა მინიმუმამდე უნდა იქნას დაყვანილი. დამუშავებული ზედაპირების სტაბილურობა ყოველთვის უნდა იქნას უზრუნველყოფილი ინჟინერისთვის დამაკმაყოფილებელ დონეზე. ინჟინერმა პროექტის მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შე-

ჟინგალპების გამყვანი გვირაბი

ჟინგალპების გამყვანი გვირაბის რეაბილიტაცია

სატენდერო დოკუმენტაცია

იძლება დაადგინოს ან შეცვალოს დამუშავების ჭრილების მოცულობა, ზომები ან გეომეტრიული ფორმა.

კონტრაქტორმა თავისი სამუშაოები უნდა შეასრულოს სიფრთხილის უველა ზომის გათვალისწინებით, რათა თავიდან იქნას აცილებული ნახაზებზე მითითებულ კონტურებს მიღმა არსებული მასალის შერყევა ან გაფუჭება პროექტის მიმდინარეობის მთელი დროის მანძილზე. კერძოდ, კონტრაქტორი საკუთარი ხარჯით და დადგენილი წესით აღადგენს გვირაბის გამაგრების ან სამუშაოთა რომელიმე ნაწილის ნებისმიერ დაზიანებას.

კონტრაქტორმა მინიმუმ 5 დღით ადრე წერილობით უნდა წარუდგინოს ინჟინერს საერთო გეგმა, რომელზედაც მითითებული იქნება გრუნტის ამოდების მეთოდები და თითოეული აღგილმდებარეობის მიხედვით სამუშაოთა წარმოების თანმიმდევრობა. ინჟინერის მიერ გეგმის წერილობითი დამტკიცების მიღებამდე სამუშაოს დაწყება დაუშვებელია.

კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს დროებითი გამაგრება და დრენაჟი, რაც, შესაბამისად, გათვალისწინებული უნდა იქნას გრუნტის დამუშავების ერთეულ ფასებში.

როდესაც გრუნტის ამოდების სამუშაო შესრულდება მოთხოვნით გათვალისწინებულ კონტურებისა და ნიშნულების დაცვით, კონტრაქტორმა ამის შესახებ უნდა აცნობოს ინჟინერს, რომელმაც შესაძლოა მოითხოვოს სამუშაოების შემოწმება.

2.2 ექსკავაციის პროცედურები

ექსკავაცია იწარმოებს სისტემატიური თხრით ან დამტკრევით. ექსკავაციის პროცედურები შერჩეული უნდა იქნას მისაღები ჭრილების, დასამუშავებელი მასალისა და ადგილმდებარეობის პირობების მიხედვით. კონტრაქტორმა მიწისქვეშა გრუნტის დამუშავების თავისი გეგმა დასამტკიცებლად უნდა წარუდგინოს ინჟინერს. კონტრაქტორს ეკისრება სრული და ერთპიროვნული პასუხისმგებლობა ყველა სამშენებლო პროცედურის აღეკვატურობასა და წარმატებაზე, მიუხედავად ამ პროცედურების დამტკიცებისა.

კონტრაქტორი მიწისქვეშა ექსკავაციას გაამაგრების დადგენილი წესით და დროულად და დასამტკიცებლად წარუდგენს ინჟინერს გამაგრების მისეულ მეთოდს, ტიპის, ზომის, დაშორებებისა და საყრდენების დეტალების ჩათვლით. მიუხედავად ინჟინრის მიერ გამაგრების მეთოდის დამტკიცებისა, მხოლოდ კონტრაქტორია პასუხისმგებელი გრუნტის ექსკავაციის გამაგრებაზე.

ინჟინერი უფლებამოსილია, პროექტის ნებისმიერ ეტაპზე ხელახლა განსაზღვროს ან შეცვალოს გრუნტის დამუშავების სიდიდე, ზომები ან გეომეტრიული ფორმა, ან მოითხოვოს გრუნტის დამატებით დამუშავება.

2.3 გენტილაცია და განათება

მიწისქვეშა სამუშაოების განათება მოხდება სათანადო რაოდენობის ელექტროგამანათებელი საშუალებებით, რათა უზრუნველყოფილ იქნას შეუფერხებელი მუშაობა, ადამიანებისა და მასალების უსაფრთხო გადაადგილება, ზუსტი განთავსება და სათანადო დათვალიერება.

ჟინგალპების გამყვანი გვირაბი
ჟინგალპების გამყვანი გვირაბის რეაბილიტაცია
სატენდერო დოკუმენტაცია

მოცემული თავის სამუშაებისთვის საჭირო ძალოვანი ტრანსფორმატორი და დენის კაბელი მიწოდებული იქნება დამკვეთის მიერ გაბურღულ ვერტიკალურ შახტამდე.

კონტრაქტორი, მიწისქვეშა სამუშაოების უბნებზე მიაწვდის საკმარისი რაოდენობის სუფთა პაერს, რითაც მუშა-ხელისა და აზომვების მწარმოებელი მუშაკებისათვის უზრუნველყოფილი იქნება უსაფრთხო და მისარები პირობები.

ეს დროებითი ნაგებობები ჩართული უნდა იქნას ობიექტის მოწყობის სამუშაოებში და ანაზღაურება განხორციელდება ფასების ჩამონათვალის შესაბამისი პუნქტის, ერთიანი ღირებულების მიხედვით.

2.4 დრენაჟი

ყველა სამუშაო უბანი თავისუფალი უნდა იყოს როგორც ტექნიკური, ასევე ჩამონადენი წყლისაგან, ინჟინერისთვის მისაღებ დონეზე. კონტრაქტორი პასუხისმგებელია ნებისმიერი წყაროდან მოხვედრილი წყლის გაყვანაზე, რომელმაც შეიძლება ხელი შეუშალოს მიწისქვეშა სამუშაოების წარმოებას. ამ მიზნით, კონტრაქტორმა მიწისქვეშა ობიექტების ძირზე უნდა გაიყვანოს სადრენაჟო ტრანშეები. ტრანშეებს უნდა ჰქონდეთ საფარები ან მიღები.

ტრანშეების გათხრა და აუცილებელი მასალების მიწოდება შესაფერისი დრენაჟის უზრუნველსაყოფად ცალკე არ ანაზღაურდება.

დღეისათვის, (დამკვეთის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად) წყლის მოდინება არის დაახლოებით 300ლ/წმ, როცა ტურბინები გამორთულია.

წყლის ძირითადი რაოდენობა, პესის შენობის ქვემოთ მდებარე გვირაბში შემოედინება კაშხლისა და პესის შენობის სათავე სანიაღვრეებიდან. ეს სადრენაჟო წყალი უნდა შეგროვდეს და ამოიტუმბოს პესის შენობასთან ზედაპირზე. წყალი, სხვადასხვა გაჟონვის წერტილებიდან, უნდა შეგროვდეს მოწყობილ წყალსაცავში, სადაც ამომდები ტუმბოები არის დამონტაჟებული.

ჩაღრმავებულ ადგილებში დარჩენილი დაგუბებული წყალი უნდა ამოუტუმბოს შესაბამისი სიდიდის ტუმბოების საშუალებით.

ნებისმიერ შემთხვევაში, დაბეტონების დაწყების დროისთვის აუცილებელია მოცემულ უბნებზე ყოველგვარი დამდგარი და მოძრავი წყლის მოცილება.

2.5 ზედაპირის დამუშავება

ზოგიერთი კლდის ზედაპირი გვირაბში გულდასმით უნდა გასუფთავდეს და დროებით გამაგრდეს ინჟინრისათვის მისაღებ დონეზე.

იქ, სადაც საჭიროა ბეტონით მოპირკეთება, ბეტონში არ უნდა იქნას დატოვებული არანაირი ხის საყრდენები ან შემკვრელები.

ჟინგალპების გამყვანი გვირაბი
ჟინგალპების გამყვანი გვირაბის რეაბილიტაცია
სატენდერო დოკუმენტაცია

3 წყლის მოცილება და გადაგდება

3.1 შემადგენლობა

მოცემული თავის სპეციფიკაციების თანახმად და ასევე როგორც ნახაზებზეა მოცემული, ან მითითებული, კონტრაქტორმა უნდა:

- 1) მოამზადოს და წარადგინოს გვირაბიდან წყლის მოცილების სქემა ისე, რომ შესაძლო გახდეს სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულება, როგორც არის ნაჩვენები ნახაზებზე, ან როგორც არის მითითებული ინჟინერის მიერ;
- 2) საჭიროებისამებრ მოაწყოს, მოუაროს და დაშალოს წყლის გადამგდები;
- 3) მოცილოს წყალი ნებისმიერი წყაროდან, იმისათვის, რომ ყველა სამშენებლო სამუშაო შესრულდეს წყლისგან თავისუფალ ადგილებში.

3.2 ზოგადი ნაწილი

არა უგიანეს 10 დღისა, კონტრაქტის მინიჭების შემდეგ, კონტრაქტორმა უნდა წარმოადგინოს განსახილველად, გვირაბის გაუწყლოების მისეული საგარაულო დეტალური სქემის ნახაზები, მათ შორის წყლის მოცილების ადგილები ან სხვა კონტროლის ზომები, რათა უზრუნველყოს წყლის შეუდწევადობა გვირაბის ნებისმიერი ადგილას და გაშრობის და ამოტუმბვის საშუალებები.

3.3 წყლის გადაგდება

კონტრაქტორმა უნდა დაგეგმოს, დააპროექტოს და მოაწყოს ყველა გადამგდები საშუალებები, როგორებიცაა ტიხები, დროებითი მილები, არხები და ა.შ.

3.4 წყლის მოცილება

კონტრაქტორმა უნდა დააპროექტოს, წარუდგინოს პროექტი ინჟინერ გაცნობისათვის, მოაწყოს, დაამონტაჟოს, მოუაროს, ოპერირება გაუწიოს და მოხსნას ყველა სატუმბი მოწყობილობა, წყალშემკრები თხრილის შისტემა და სხვა დანადგარები ან სათავსოები, რომლებიც აუცილებელია გვირაბის სხვადასხვა მონაკვეთის გაუწყლოებისათვის. სატუმბი მოწყობილობები და წყალამოღვრის მოცულობა უნდა იყოს შესაბამისი, იმისათვის რომ ძირის ექსკავაციის და მოწყობის და სხვა მუდმივი სამუშაოების შესრულების ადგილები განტავისუფლდეს წყლისაგან, თუ არ არის სხვანაირად მოცემული სპეციფიკაციებში ან შეთანხმებული. კონტრაქტორმა, ასევე უნდა უზრუნველყოს შესაბამისი სათადარიგო მოწყობილობა, იმისათვის რომ დარწმუნებული იყოს წყალამოღვრის უწყვეტობაში და დამსმარე მოწყობილობის ხელმისაწვდომობაში ავარიულ შემთხვევებში.

ჟინგალპესის გამყვანი გვირაბი
ჟინგალპესის გამყვანი გვირაბის რეაბილიტაცია
სატენდერო დოკუმენტაცია

3.5 გაზომვა და გადახდა

A - გაზომვა

მოცემული თავის სამუშაოები არ გაიზომება.

B - გადახდა

მოცემული თავის სამუშაოების ანაზღაურება განხორციელდება მთლიანი ღირებულებიდან, სპეციფიკაციებში მოცემული ფასების ჩამონათვალის პუნქტის შესაბამისად: “წყლის ამოტუმბვა სამშენებლო მოედნიდან”.

4 ბეჭონის დანძრევა

ამ ნაწილში მოცემული სპეცისიკაციების მიხედვით და როგორც ნაჩვენებია ნახაზებზე ან მითითებულია, კონტრაქტორმა უნდა მოახდინოს გვირაბის ბეტონის მოსახვის ძრის და ნაწილობრივ კედლების დანგრევა.

მოცემული სპეციფიკაციების სამუშაოები მოიცავს მთლიანად ან ნაწილობრივ არსებულ ნაგებობების და აღჭურვილობის დანგრევას და დემონტაჟს, მათ შორის გაშიშვლებული ზედაპირების მომზადება დაზიანებული ბეტონის ადგილებში და ახალი ბეტონის მოსაწყობად.

4.1 ზოგადი ნაწილი

სპეციფიკაციების მოცემული თავის სამუშაოებთან დაკავშირებულია შემდეგ სამუშაოები: 1) წყალამოღვრა, 2) ბეტონის ჩასხმა, რომლებიც განხილულია სპეციფიკაციების სხვა თავებში.

მოცემული თავის სამუშაოების ჩასატარებლად დამკვეთმა არ უნდა უზრუნველყოს არანაირი აღჭურვილობა.

4.2 სარისხის უზრუნველყოფა

სადაც დანგრევის მოცულობები არის გაუგებარი ან წარმოიქმნება საკითხები, როგორებიცაა არსებული ნაგებობის აღჭურვილობის მთლიანობა, ან ისეთი საკითხები, როგორც დაგეგმილი უსაფრთხო სამუშაოების ჩატარების მეთოდები, მაშინ ინჟინერმა უნდა განმარტოს.

კონტრაქტორი ვალდებულია შეამციროს დანგრევა მოცემული მიმართულების, კუთხეების და მანძილების შესაბამისად. სარისხი და ზომები როგორც არის მითითებული. ასეთი მიმართულები, კუთხეები და მანძილები იქნება მოხსიერებული შემდგომში, როგორც დანგრევის საზღვრები. სამუშაოების მიმდინარეობისას, ინჟინერის მიერ, იქ სადაც დაზიანებები ან არამყარი ბეტონი შეგვხდება შეიძლება იყოს

ჟინგალპესის გამყვანი გვირაბი

ჟინგალპესის გამყვანი გვირაბის რეაბილიტაცია

სატენდერო დოკუმენტაცია

მოთხოვნილი დანგრევა ამ საზღვრებს მიღმა; დანგრევის საზღვრები გადაიხედება შესაბამისად.

მოცემული საზღვრებს მიღმა დანგრევა უნდა შეივსოს ბეტონით, ინჟინერის მიერ მითითების თანახმად. ყველა არსებული ბეტონის ნაგებობა უნდა იყოს მზად ახალი ბეტონის მისაღებად და უნდა შემოწმდეს და დამტკიცდეს ინჟინერის მიერ.

4.3 წარმოსადგენი დოკუმენტაცია

კონტრაქტორმა უნდა წარმოადგინოს დამტკიცდება შემოთავაზებული მეთოდები სამუშაოების დაწყებამდე 5 დღით ადრე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული, მათ შორის აღჭურვილობის დეტალები და დროებითი საყრდენების გამოყენება და სამუშაოთა გრაფიკი. შემოთავაზებული მეთოდების ინჟინროს მიერ განხილვა და მიღება არ ათავისუფლებს კონტრაქტორს სამუშაოების უსაფრთხო ჩატარების პასუხისმგებლობისაგან.

4.4 დაცვა

კონტრაქტორმა უნდა მიიღოს ზომები მიმდებარე ნაგებობების დასაცავად გადაადგილების, ჯდენის ან დაზიანებისაგან.

თუ ნებისმიერ დროს მიმდებარე ნაგებობების ან მოწყობილობების უსაფრთხოებას შეექმნება საფრთხე, კონტრაქტორმა უნდა შეწყვიტოს სამუშაოები, აცნობოს ინჟინერს და მიიღოს ზომები ასეთი ნაგებობების ან მოწყობილობების დასაცავად ან გასამაგრებლად. სამუშაოები არ უნდა განახლდეს ინჟინერის ნებართვის გარეშე.

იმ შემთხვევაში თუ მოხდება მიმდებარე ნაგებობების ან მოწყობილობების გადაადგილება, ჯდენა ან რღვევა, კონტრაქტორმა სასწრაფოდ უნდა დაამონტაჟოს სამაგრები ან ჩატაროს სხვა, ინჟინრის მიერ დამტკიცებული, დამცავი დონისძიებები. იმ შემთხვევაში თუ კონტრაქტორი ვერ შეძლებს ასეთი გამაგრებითი ან დამცავი დონისძიებების უზრუნველყოფას, ინჟინერს შეუძლია წარმოადგინოს მსგავსი დონისძიებები, ისე როგორც ის ჩათვლის საჭიროდ, კონტრაქტორის ხარჯზე.

4.5 შესრულება

A – ბეტონის დანგრევა

ბეტონის დანგრევა მოცემულ ფარგლებში, უნდა მოხდეს ფრთხილად, მექნიკური მოწყობილობებით ბურდით, ნგრევით, ჰიდრავლიკური გაყოფით და სხვა საშუალებებით, რომლებიც დამტკიცებულია ინჟინერის მიერ. ნებისმიერი არმატურა, რომელიც კვეთს დანგრევის საზღვრებს და რომელიც არ არის პერიფერიული გადაბმისათვის განკუთვნილი, უნდა მოიჭრას ისე, რომ ბეტონს დანგრევის საზღვრებს გარეთ მიადგეს მინიმალური ზიანი. იმ ადგილებში, სადაც უნდა მოეწყოს ბეტონის მოსახვა,

კონტრაქტორუ უნდა დარწმუნდეს, რომ ნაპირები არ იქნება გლუკი და რომ მინიმალური ბეტონის სისქე იქნება ნახაზებზე მოცემული ან მითითებულის შესაბამისი.

B – ზედაპირის მომზადება

ყველა ჩამონაცვენი ან დაზიანებული ბეტონი და უცხო სხეულები უნდა მოშორდეს არსებული ბეტონის ზედაპირიდან, რომელზედაც უნდა მოეწყოს ახალი ბეტონი. იმ ადგილებში, სადაც ჩანს არმატურა, მის გარშემო უნდა მოშორდეს ბეტონი ისე, რომ მინიმალური ლიობი მის ირგვლივ 1.5-ჯერ აღემატებოდეს ახალი ბეტონის შემავსებელი აგრეგატების ნომინალურ ზომას.

C – არსებული ნაგებობების დაცვა

მთელი დროის მანძილზე უზრუნველყოფილი უნდა იქნეს გარშემო არსებული მოწყობილობების და ნაგებობების სუფთა მდგომარეობაში დაცვა, მტკრისაგან და მფრინავი ნაწილაკებისაგან.

D – სამშენებლო ნარჩენების გატანა

მოცემული თავის სამუშაოების დასრულების განსაზღვრულ თარიღამდე ყველა მასალა უნდა გატანილი იყოს ობიექტიდან, წინასწარ განსაზღვრულ ადგილებში.

4.6 გაზომვა და გადახდა

A – გაზომვა

დანგრევის შეფასება მოხდება არსებული ნაგებობების დანგრეული მასალის მოცულობით. არსებულ ნაგებობებში ჩატანებული რელსების, არმატურის ან ფოლადის ფურცლების მოშორება არ ანაზღაურდება ცალკე. არსებული ნაგებობების დანგრევითი სამუშაოების მიმდებარედ, სადაც საჭიროა დია წესით ექსკავაცია, შეფასდება დია წესით ექსკავაციის თავის მიხედვით.

B - გადახდა

მოცემული თავის სამუშაოების ანაზღაურება განხორციელდება ხარჯთაღრიცხვაში მოცემული ფასების ჩამონათვალის პუნქტების შესაბამისად. დასანგრევ ნაგებობეთან მდებარე ნაგებობის დაცვითი სამუშაოები ცალკე არ ანაზღაურდება.

5 ბეტონის შეპათვაა

5.1 ზოგადი ნაწილი

სხვადასხვა მიზეზების გამო დაზიანებული ბეტონი; დაბზარული სტრუქტურული ბეტონი; ბეტონის დაზიანებული ფორმვანი ზედაპირი, დანაპრალიანებული ან სხვა სახის დაზიანებები; და ბეტონი ზედმეტად დაზიანებული ზედაპირით უნდა გაიწმინდოს

ჟინგალპების გამყვანი გვირაბი

ჟინგალპების გამყვანი გვირაბის რეაბილიტაცია

სატენდერო დოკუმენტაცია

(ჩამოინგრეს) და ხელახლა ჩაისხას დანიშნულ ადგილებში მოცემული სპეციფიკაციების შესაბამისად.

შეკეთების ან ჩანაცვლების (პროცედურა) მოთოდი უნდა განხორციელდეს ინჟინერის მიერ მითითებული და განსაზღვრული მეთოდით.

კონტრაქტორი ვალდებულია განახორციელოს საიზოლაციო სამუშაოები წყლის შემოღინების და დანაკარგების შესამცირებლად, და უზრუნველყოს მიწისქვეშა ნაგებობების ბეტონის მოსახვის ნორმალური წყალშეუღწევადობის კრიტერიუმების მიღწევა ისე როგორც მოცემულია ქვემოთ ან მოთხოვნილია ინჟინერის მიერ.

5.2 სამუშაოს მოცულობა

ამ თავში მოცემულ სამუშაოები, მოიცავს ყველა სამუშაო ძალას, მასალებს, აღჭურვილობასა და მომსახურებას რომელიც დაკავშირებულია კონტრაქტორის მიერ განსახოლრციელ ბეტონის სამუშაოებთან.

სამუშაო უნდა მოიცავდეს:

- 1) გაუარესებული ბეტონის მოხსნას, მოცემული სპეციფიკაციების და ნახაზების შესაბამისად, მათ შორის შესაკეთებელი ადგილის პერიმეტრის ამოჭრას ხერხით;
- 2) ბეტონის ზედაპირის მომზადება შეკეთებისთვის, მათ შორის აბრაზიული გაწმენდა, არსებული არმატურის მოხსნა, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- 3) დროებითი ელემენტების მათ შორის ყალიბების და ხარაჩოების მწოდებას, დამზადებას, აწყობას, ტექნიკურ მომსახურება და დემონტაჟს;
- 4) ხარისხის კონტროლს.

5.3 გამოყენებული ლიტერატურა

- 1) ბეტონის შეკეთების საერთაშორისო ინსტიტუტი (ICRI), ტექნიკური სახელმძღვანელო №. 310.1R, ბეტონის ზედაპირის მომზადება არმატურის კოროზიით დაზიანებული ბეტონის შესაკეთებლად.
- 2) ACI 117, ბეტონის სამუშაოების და მასალების სტანდარტული დაშვებები.
- 3) შეერთებული შტატების ნაგებობების აღდგენის დეპარტამენტი; ტექნიკური მომსახურების ცენტრი; ბეტონის შეკეთების სახელმძღვანელო.

5.4 წარმოსადგენი დოკუმენტაცია

ობიექტზე ჩასატარებელი ნებისმიერი ბეტონის შეკეთების სამუშაოების დაწყებამდე 5 დღით ადრე, კონტრაქტორმა უნდა წარუდგინოს ინჟინერს ბეტონის მოჭრის და ზედაპირის მომზადების დეტალური პროცედურა, სამშენებლო ტექნოლოგიები, რომლის გამოყენებაც სურს კონტრაქტორი, რათა მიაღწიოს მოთხოვნილ სიზუსტეს და

ჟინგალპესის გამყვანი გვირაბი

ჟინგალპესის გამყვანი გვირაბის რეაბილიტაცია

სატენდერო დოკუმენტაცია

ნებისმიერი დროებითი სამუშაოების, მათ შორის ხარაჩოების, მუშა პერსონალის ან ქონების უსაფრთხოების, და სამუშაოს წარმატებულად დასრულების დეტალური აღწერა.

5.5 შესრულება

A – მონგრევა და დასუფთავება

არსებული ბეტონის ყველა დაზიანებული, გაუარესებული, შესუსტებული, ან შემოუფარგლავი ნაწილები, პირველ რიგში მოცილებული უნდა იყოს წყლის ჭავლით, პერფორატორით ან სხვა შეტანებული მეთოდის და აღჭურვილობის საშუალებით, რომლის შემდეგ არსებული ბეტონის ზედაპირი უნდა დამუშავდეს ნარჩენებისაგან ნორით ქვიშა-ჭავლის ნაკადის, ან წყლის ნაკადის საშუალებით. შენდეგ ზედაპირები უნდა გაიწმინდოს. ბეტონის მოცილების პროცესები, 30 ფუნტიანი პერფორატორის გამოყენებით, მშრალი ქვიშა-ჭავლის ნაკადის, ან სახეხით არ უნდა იქნას გამოყენებული ინჟინერის თანხმობის გარეშე.

B – კიდევების ჩამოჭრა

ბეტონის შეკეთების პერიმეტრები, რომლებიც მოიცავენ ბეტონის მოშორებას და შემდგომში მასალების გადაადგილებას უნდა მოიჭრას სარემონტო ზედაპირის პერპენდიკულარულად, მინიმუმ 25მმ სიღრმემდე. ბეტონის შეკეთება ბასრი ზედაპირის გამოყენებით დაუშვებელია.

C – არმატურა

ყველა დაზიანება, ჟანგი, კოროზია, გამოწვეული ბეტონით ან სხვა მასალით მოცილებული უნდა იქნეს გაშიშვლებული არმატურიდან. გარშემოწერილობის პერიმეტრის მესამედის მეტიზე გაშიშვლებული არმატურების მთლიანად უნდა გაშიშვლდეს, ისე რომ მიღებული იქნას მინიმუმ 25მმ დაშორება არმატურასა და ბეტონის შორის. დაზიანებული არმატურის დეროები უნდა მოიჭრას და შეიცვალოს როგორც მოცემულია სპეციფიკაციებში ან მითითებული ინჟინერის მიერ.

D – მომზადებული ზედაპირის მოვლა

ბეტონის ზედაპირი, მომზადების და გაწმენდის შემდეგ, სარემონტო სამუშაოების დასრულებამდე, უნდა იყოს შენახული სუფთად. ნებისმიერი დაბინძურება, მათ შორის ზეთი, გამსხნელი, ჭუჭყის დაგროვებები, ან უცხო მასალა უნდა მოცილდეს დამატებითი ნორით ქვიშა-ჭავლური ნაკადით და ჰაერის-წყლის ჭავლით.

მასალების მოწოდება, ტორკრეტის ნარევის მომზადება და მოწყობა აღწერილია მოცემული სპეციფიკაციის 10.10 თავში “მორევა და მოწყობა”.

ინჟინერის მიერ მითითებული ყველა სარემონტო ადგილი უნდა მოსწორდეს მიმდებარედ არსებული ბეტონის ზედაპირების დონის შესაბამისად.

5.6 გაზომვა და გადახდა

A – გაზომვა

ჟინგალპესის გამყვანი გვირაბი

ჟინგალპესის გამყვანი გვირაბის რეაბილიტაცია

სატენდერო დოკუმენტაცია

ბეტონის ზედაპირის მომზადების სამუშაოების ანაზღაურების შეფასება მოხდება ფაქტიური მომზადებული ზედაპირის ფართობის მიხედვით, ინჟინრის მიერ გაზომვების გამოანგარიშების და მოცემული სპეციფიკაციების შესაბამისად.

B – გადახდა

ზედაპირის მოწყობის სამუშაოების ანაზრაურება მოხდება ერთეულის ფასით ბეტონის მომზადებული ზედაპირის კვადრატული მეტრის მიხედვით.

არმატურის დამონტაჟების შეფასება და გადახდა აღწერილია მოცემული სპეციფიკაციის 9.10 თავში.

ტორკრეტის მოწყობის სამუშაოების შეფასება და ანაზღაურება აღწერილია მოცემული სპეციფიკაციის 10.15 თავში.

6 შევსების სამუშაოები

მოცემული ნაწილის სპეციფიკაციების შესაბამისად და როგორც ნაჩვენებია ნახაზებზე, კონტრაქტორმა უნდა მოამზადოს საძირკველი, მოაწოდოს, გადაადგილოს, გაშალოს და დატკეპნოს მასალები, პროექტის დროებითი გზების და ყველა სხვა მუდმივი შევსების, როგორც ნაჩვენებია ნახაზებზე ან მითითებული მოსაწყობად. შემავსებლის მასალები მიღებული უნდა იყოს კარიერებიდან ან საექსკავაციო სამუშაოებიდან.

ინჟინერის შეხედულებისამებრ, ყველა ვარგისი მასალება და ასევე კარიერებიდან ან ექსკავაციის შედეგად მიღებული, გამოყენებული უნდა იქნას შევსების დროს. ასეთი სამშენებლო მასალების განაწილება შევსების დროს უნდა მოხდეს ინჟინერის მიერ მითითების შესაბამისად. კონტრაქტორმა ასევე უნდა მოაწოდოს და განათავსოს შემავსებელი ნაგებობების გარშემო. ყველა მასალა, რომელიც არ შეესაბამება მოცემულ სპეციფიკაციების მასალებს ან მოწყობის, ან დაბინძურებული მასალა ინჟინერის მიერ იქნება უარყოფილი და კონტრაქტორმა უნდა შეცვალოს ის სათანადო მასალებით, საკუთარი ხარჯებით. კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს შევსების სამუშაოები და შეინახოს გამოცდების მონაცემები სამუშაოების საბოლოო მიღებამდე.

6.1 ზოგადი ნაწილი

აქ განსაზრვრული ქვის შემავსებელი მასალებისთვის, მათი კარიერებიდან მოპოვებისას, კონტრაქტორის სქემა უნდა იყოს ისეთი, რომ ამ მასალების დამუშავება, მოთხოვნის შემთხვევაში, შეძლებისდაგვარად, მინიმუმამდე იქნას დაყვანილი,. ამ ნაწილში მითითებული და ქვემოთ განსაზღვრული შემავსებლის ტიპები, მოწყობილობები და მეთოდოლოგია საჭირო იქნება ნახაზებში ნაჩვენებ ადგილებში, და სხვაგან მითითების შესაბამისად.

6.2 განმარტებები

ამ ნაწილში მითითებული შემავსებლის ტიპები გასაზღვრულია შემდეგნაირად:

A – ჩვეულებრივი შემავსებელი

ჩვეულებრივი შემავსებელი წარმოადგენს ბუნებრივ ქვიშას, ხრეშს ან არაორგანული გრუნტების დამუშავებულ მასალებს, როგორიცაა ქვა-ლორდი და სპეციფიკაციების შესაბამისად უნდა იყოს ვარგისი მოწყობისთვის და დატკეპნისთვის.

პლასტიურობის რიცხვი უნდა იყოს 25%-ზე ნაკლები.

პლასტიურობის რიცხვის დროის პროცენტულობა წონით 200 მმ საცერში გასვლის უნდა იყოს 1250-ზე ნაკლები.

გარდა ამისა, ჩვეულებრივი შემავსებელი არ უნდა შეიცავდეს ორგანულ მასალას, მცენარეულ ნივთიერებებს, ქანებს ან ლოდებს 150მმ-ზე მეტი ზომის ან სხვა საზიანო მასალას.

B – სტრუქტურული შემავსებელი

სტრუქტურული შემავსებელი უნდა შეიცავდეს მყარ, მტკიცე ქანების ფრაგმენტებს ან პარტიულებს, ხრეშს ან ქვიშას და არ უნდა შეიცავდეს ორგანულ მასალას, მცენარეულ ნივთიერებებს ან სხვა საზიანო მასალას და დახარისხებული უნდა იყოს შემდეგ ფარგლებში:

სტრუქტურული შემავსებელი

ASTM საცრის დიობი (მმ)	გატარების % (წონის მიხედვით)
50	(2 ინჩი)
37.5	(1 1/2 ინჩი)
19	(3/4 ინჩი)
9.5	(3/8 ინჩი)
4.75	(No. 4)
	100
	95 - 100
	35 - 70
	10 - 30
	0 - 5

მიუხედავად შემავსებლის ტიპისა და შემავსებელი გრუნტი იმპორტირებულია თუ არა, ის ექვემდებარება შემდეგ ზოგად შეზღუდვებს:

- 1) მაქსიმალური ნაწილაკების ზომა და ქვის ზომა შემოფარგლულია 40მმ-ით.
- 2) გრუნტის ლოდების ზომა არ უნდა აღემატებოდეს ნაწილაკების მაქსიმალურ ზომას ორჯერ.

- 3) არ უნდა შეიცავდეს ორგანულ მასალას.
- 4) არ უნდა შეიცავდეს ნამტვრევებს (საბურავებს, ბოთლებს, მეტალს, და ა.შ.).

6.3 შემაგსებლის მასალის წყარო

შემაგსებლის მასალები შესაძლებელია მიღებულ იქნან კარიერებიდან, სანაყაროებიდან ან ექსკავაციიდან მიღებული მასალების დამუშავების შედეგად ან ინჟინერის მიერ მითითებული და დამტკიცებული სხვა წყაროებიდან.

6.4 ზომები და კუთხეები

შემაგსებელი სამუშაოები უნდა შესრულდეს ნახაზებზე მოცემული მიმართულებებისა და კუთხეების შესაბამისად, თუ ინჟინერი არ მიუთითებს სხვანაირად. საბოლოო შევსების ზედაპირის ცვალებადობა არ უნდა აღემატებოდეს 10სმ ლიმიტს, 3.0მ x 3.0მ ფართობზე, ინჟინერის მიერ დამტკიცებული ან ნახაზებზე ნაჩვენებ ზომების მიხედვით. შესამჩნევი ფერდობები, მათ შორის ქანების შემაგსებლით აშენებული, უნდა წარმოადგენდნენ ერთგვაროვან და სუფთა ზედაპირს. ინჟინერს აქვს უფლება გაზარდოს ან შეამციროს შესამაგსებელი ფერდობების დახრა ან შეიტანოს რაიმე სხვა ცვლილებები მასალების რაოდენობაში, დანიშნული მონაბეჭოის ცვლილებების გამო, და ეს არ უნდა იყოს ერთეულის ფასების გაზრდის ან დამატებითი დროის მოთხოვნის საფუძველი.

6.5 მოწყობილობები

კონტრაქტორს უნდა პქონდეს საჭირო რაოდენობის და პარამეტრების აუცილებელი აღჭურვილობა, რათა უზრუნველყოს საჭირო გამომუშავება. იმ შემთხვევაში, თუ მიღებული გამომუშავება შემოთავაზებულზე ნაკლებია, კონტრაქტორმა უნდა გაზარდოს აღჭურვილობის რაოდენობა. ყველა აღჭურვილობა უნდა დამტკიცდეს ინჟინერის მიერ.

6.6 დასაწყობება

კარიერებიდან ან გადამამუშავებელი ქარხნებიდან მიღებული ინჟინერის მიერ დამტკიცებული შემაგსებლი მასალები, შესაძლებელია დასაწყობდეს ისე, რომ არ დანაგვიანდეს ან არ მოხდეს სხვა მასალების შერევა.

6.7 მოწყობა

შემაგსებელი მასალის განაწილება და დახარისხება უნდა მოხდეს ისე, რომ შემაგსებლის სხვადასხვა ნაწილები თავისუფალი იყოს ლინზებისაგან, ჯიბეებისაგან, ძარღვებისაგან ან არსებითად განსხვავებული ტექსტურის მქონე მასალების

ჟინგალპესის გამყვანი გვირაბი

ჟინგალპესის გამყვანი გვირაბის რეაბილიტაცია

სატენდერო დოკუმენტაცია

ფენებისაგან და უნდა იყოს გამოყოფილი მიმდებარე მასალებისაგან. შემავსებლის ექსკავაცია, დატვირთვა, გადაადგილება, დაცლა და განაწილება უნდა მოხდეს ისე, რომ შემავსებლის მასალების სეგრეგაცია დაყვანილი იქნეს მინიმუმამდე.

კონტრაქტორმა უნდა დაიცვას და შეინარჩუნოს შემავსებელი დამაკმაყოფილებელ პირობებში სამუშაოების დასრულებამდე და საბოლოო ჩაბარებამდე. კონტრაქტორი ვალდებულია ამოთხაროს და გაიტანოს ნებისმიერი შემავსებლის მასალა, რომელიც ინჟინერის მიერ იქნება დაწუნებული და უნდა მოაცილოს ასეთი მასალა და ხელახლა შეაგვის ეს ადგილები, მითითების მიხედვით, დამატებითი ანაზღაურების გარეშე. კონტრაქტორს შესაძლებელია მოეთხოვოს დადგენილი ადგილების კონტურების გარეთ შესრულებული სამუშაოების მოცილება თავიანთი ხარჯით.

შევსება უნდა შესრულდეს უწყვეთი რეჟიმით, არა უმეტეს 30სმ სისქის ფენების დატკეპნით, როგორც არის მითითებული, რათა მივაღწიოთ შესაძლო საუკეთესო დატკეპნის პირობებს.

შემავსებლის მიწოდება ან სამშენებლო პანდუსები უნდა მოცილდეს.

შემავსებლის მასალა მოტანილი და განაწილებული უნდა იყოს ბულდოზერების ან სხვა დამტკიცებული მექანიზმების საშუალებებით დაახლოებით თანაბარ ფენებად. კონტრაქტორმა უნდა გამოიყენოს ისეთი საშუალებები, რომლებიც არ მოახდენენ მასალების ჭარბი რაოდენობას გადმოტვირთვას ერთდროულად. სამშენებლო მანქანების მოძრაობა უნდა იყოს კონტროლირებადი, რომ თავიდან ავიცილოთ ერთ ზოლზე მოძრაობა ან გადაკვეთა. ასეთ ადგილებში შემავსებლის მოწყობა უნდა დაიწყოს ქვედა დონიდან და გაგრძელდეს მითითებული სისქემდე, ჰორიზონტალურ ფენებად მანამ, სანამ ღრმულის ადგილი არ შეივსება და შექმნება საკმარისად ფართო ადგილი სამშენებლო ტექნიკის გადასაადგილებლად. შემავსებლის ერთდროული განთავსება სხვადასხვა ნიშნულებზე, დაშვებული იქნება იმ პირობით, რომ მიიღწევა შევსებული ადგილების საბოლოო შეერთება. პროცესი უნდა განხორციელდეს ჰორიზონტალურ ფენებად, ქვემოდან ზემოთ. მასალის ყოველი შემდგომი მიწოდება შესავსებ ადგილამდე უნდა მოხდეს ისე, რომ მივიღოთ მასალების ნაწილაკების საუკეთესო განაწილება და ამ მიზნით შევსების ადგილები, სადაც მასალის ინდივიდუალური რაოდენობა უნდა იქნეს მოტანილი, შეიძლება აღნიშნული იყოს ინჟინერის მიერ, დასასრულისაკენ ისე, რომ უხეში ფრაქცია შემავსებელში გაიზარდოს ფერდობების ქვედა ნაწილისაკენ.

ყოველი შემდგომი ფენა არ უნდა მოეწყოს, სანამ წინა ფენა არ იქნება სათანადოდ დატკეპნილი. თითოეული ფენა მოთხოვნისამებრ უნდა დასველდეს, და დაიტკეპნოს სათანადო აღჭურვილობით, როგორც არის მითითებული, მითითებული სიმჭიდროვის მისაღებად.

იმ შემთხვევაში, თუ ინჟინერი იპოვის არადამაკმაყოფილებელ პირობებს, კონტრაქტორი ვალდებულია შეაჩეროს შეგსების სამუშაოები და დაიცვას შეგსების სამუშაო, სანამ არ შეიქმნება ხელსაყრელი პირობები.

ჟინგალპესის გამყვანი გვირაბი

ჟინგალპესის გამყვანი გვირაბის რეაბილიტაცია

სატენდერო დოკუმენტაცია

6.8 ტენიანობის კონტროლი

რამდენადაც ეს შესაძლებელია, მასალა უნდა დასველდეს სათანადო წყლის რაოდენობით დასაწყობების ადგილას. ექსკავაციის დროს, საჭიროების შემთხვევაში, მცირე რაოდენობით უნდა დაემატოს წყალი. იმ შემთხვევაში, თუ მასალის დასველება ვერ მოხერხდება დასაწყობების ადგილას, კონტრაქტორმა უნდა დაასველოს მასალა მიწოდების დროს, და უნდა შეურიოს დასველებული მასალა ყურადღებით, სათანადო მეთოდის გამოყენებით. თუ მასალა არის ძალიან ტენიანი, კონტრაქტორმა უნდა გამოაშროს მასალა გარეთ გამოტანით ან სხვა შესაფერისი მეთოდთ, სანამ მასალა არ იქნება ვარგისი დატკეპნისათვის.

კონტრაქტორი ვალდებულია დაარეგულიროს შემაგსებლის მასალის ტენიანობის ხარისხი დასაწყობების ადგილას ისე, რომ დატკეპნის შემდეგ, მასალის ტენიანობის ხარისხი იყოს მითითებულ ფარგლებში. კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს გრუნტის და წყლის სათანადო არევა შესაფერისი და აუცილებელი სამშენებლო აღჭურვილობის გამოყენებით, რომ მივიღოთ მასალის ერთგვაროვანი ტენიანობის ხარისხი.

მოწყობისა და დატკეპნის დროს, ტენიანობის ხარისხი უნდა იყოს ერთგვაროვანი შემაგსებელი მასალის მთლიან ფენაში. ტენიანობის ხარისხი უნდა იყოს 2% მეტი და 2% ნაკლები ოპტიმალურ მნიშვნელობაზე, როგორც არის განსაზღვრული ASTM D 698 სტანდარტში აღწერილ მეთოდში.

6.9 გამკვრივება

შემაგსებელი უნდა იყოს დატკეპნილი მექანიკური საშუალებით ისე, რომ უზრუნველყოს სიმკრივე მთელ მონაკვეთზე და მიაღწიოს მინიმუმ 75% გამკვრივების ხარისხს ფარდობით სიმკვრივესთან ან 90% მაქსიმალურად მშრალ სიმკრივესთან, ან უფრო დიდს, შემაგსებელი მასალის სახის შესაბამისად.

ყოველი მოწყობილი ფენა უნდა იყოს გამკვრივებული ინჟინერის მიერ დამტკიცებული აღჭურვილობის და მეთოდის გამოყენებით.

6.10 შემაგსებლის ხარისხის კონტროლი

ტენიანობის ხარისხის, შემადგენლობა და გამკვრივების კონტროლის ცდებს შესრულებს კონტრაქტორი, ინჟინერის მოთხოვნის შესაბამისად. ამ ცდების მიხედვით შესაძლოა მოთხოვნილი იქნეს მეთოდების, მასალების და ტენიანობის ხარისხის შესწორებები, შეთანხმებები და მოდიფიკაციები, შემაგსებელი მასალის მისაღები ტენიანობის მისაღწევად. კონტრაქტორმა უნდა ამოიღოს ზედა ფენის დატკეპნილი მასალის ნიმუში ლოკალურ ადგილებში, შემაგსებლის სიმკრივის ცდის ადგილზე ჩასატარებლად. ყოველი ცდის შესრულების შემდეგ, კონტრაქტორმა უნდა შეავსოს და ხელახლა დატკეპნოს ეს ადგილები, როგორც არის მითითებული ინჟინერის მიერ, დამატებითი ანაზღაურების გარეშე.

ჟინგალპესის გამყვანი გვირაბი
ჟინგალპესის გამყვანი გვირაბის რეაბილიტაცია
სატენდერო დოკუმენტაცია

6.11 გაზომვა და გადახდა

A – ზოგადი ნაწილი

შემაგსების სამუშაოების დაწყებამდე, ინჟინერი მიიღებს გრძივ და განივ ჭრილებს ზედაპირის სიმაღლეების და ფორმების დასადგენად. დამატებითი მონაკვეთები იქნება აღებული შესაბამის დროს შემავსებლის მასალის სიგრძის და სიღრმის მისაღებად.

ყველა ასეთი მონაკვეთი შეიძლება გადამოწმებული იყოს კონტრაქტორის მიერ და ორმსრივად შეთანხმებული ინჟინერთან და არ იყოს ამის შემდეგ დავის საგანი. ასეთი მონაკვეთები გამოყენებული იქნება სპეციფიკაციებთან შესაბამისობის შესამოწმებლად და როგორც საფუძველი შემავსებლის მოცულობის გასაზომად.

B - გაზომვა

შემაგსებლის მასალის გაზომვა იქნება მითითებულ საზღვრებში მოწყობილი მოცულობა.

ზედმეტი ექსკავაციის შევსებაზე გამოყენებული მასალა არ გაიზომება, თუ არ იქნება მითითებული ინჟინერის მიერ.

C - გადახდა

მოცემული ნაწილის სპეციფიკაციების სამუშაოების ანაზღაურება მოხდება შევსების სამუშაოების ყველა პუნქტის ფასების შესაბამისად, ზოგად შენიშვნასთან ერთად.

არ ანაზღაურდება შემდეგი:

- შევსების აღჭურვილობის დადგენა და შეცვლა
- მასალის სპეციალური დამუშავება
- დამატებითი სამუშაო მითითებული გრადიენტის მისაღწევად
- მასალის დასაწყობება დია კარიერებიდან ან მასალის დატვირთვა
- სამუშაოების კვლევა და მოწყობა
- ზედაპირის მომზადება შემაგსებლი მასალის მოსაწყობად

7 გეტონი

7.1 სამუშაოს მოცულობა

ამ ნაწილით გათვალისწინებული სამუშაოები მოიცავს კონტრაქტორის მიერ ამ კონტრაქტის შესაბამისად შესასრულებელ ბეტონის სამუშაოებთან დაკავშირებულ მუშახელს, მასალებს, მოწყობილობებსა და მოშახურებას.

ბეტონის სამუშაოები უნდა ჩატარდეს კონსტრუქციულ ნახაზებში ნაჩვენები ან ინჟინრის მიერ მითითებული ზომებით.

ყალიბები, არმირება და ტორკორეტი ცალ-ცალკეა მიმოხილული სპეციფიკაციების სხვა ნაწილებში.

ჟინგალპების გამყვანი გვირაბი

ჟინგალპების გამყვანი გვირაბის რეაბილიტაცია

სატენდერო დოკუმენტაცია

ინჟინრის მიერ კონტრაქტორის დანადგარებისა, მოწყობილობების ან მათი მუშაობის თუ მშენებლობის მეთოდების დამტკიცების ფაქტი არ ათავისუფლებს კონტრაქტორს ბეტონის სამუშაოების სწორად და უსაფრთხოდ ჩატარების პასუხისმგებლობისაგან ან ამ კონტრაქტით დაკისრებული მოვალეობების შესრულებისგან.

7.2 სტანდარტები

თუ სხვა რამ არ არის მითითებული, ყველა მასალის, მოწყობილობისა და სამუშაოს შესრულებისათვის აუცილებელია ამერიკული სტანდარტების სამშენებლო ნორმებისა და წესების - American Standards Code of Practices (ASTM, USBR Concrete Manual, ACI Manual of Concrete Practice) დაცვა.

7.3 წარმოსადგენი დოკუმენტები

ა - მშენებლობამდე წარმოსადგენი დოკუმენტები

აქ ჩამოთვლილი წარმოსადგენი დოკუმენტები მოითხოვს ინჟინრის დამოწმებას და სათანადო სამუშაოების დაწყებამდე კონტრაქტორმა უნდა წარმოადგინოს ისინი დასამტკიცებლად.

სამუშაოთა დაწყების შეტყობინების (უწევების) გაგზავნიდან 10 დღის განმავლობაში, მაგრამ მოწყობილობების შესყიდვამდე ან ობიექტზე მობილიზებამდე, კონტრაქტორმა ინჟინერს უნდა წარუდგინოს ქვემოთ მოცემული პუნქტების განახლებული და დეტალური გეგმები და აღწერილობები, რომლებიც შეესაბამება მის სატენდერო წინადადებაში წარმოდგენილს, აგრეთვე ყველა შემდგომი შესწორება და დამატება, რომელიც შეთანხმებულია ინჟინერსა და კონტრაქტორს შორის:

- 1) ბეტონის ტრანსპორტირება და დაგება;
- 2) ბეტონის გამყარების რეჟიმი და მეთოდი;
- 3) მასალათა სინჯების აღება და გამოცდა.

ბ - მშენებლობის პროცესში წარმოსადგენი დოკუმენტები

კონტრაქტორმა ინჟინერს უნდა წარუდგინოს ბეტონის დაგების ყოველკვირეული გრაფიკი ბეტონირების ადგილის, დასხმის მოცულობის და თარიღის მითითებით. ეს ყოველკვირეული პროგრამა ინჟინერს დასამტკიცებლად უნდა წარედგინოს კვირის დაწყებამდე მინიმუმ 2 დღით ადრე.

ბეტონის დაგების დაწყებამდე კონტრაქტორმა უნდა შეადგინოს საკონტროლო ცხრილი, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ყველა მოსამზადებელი დონისძიება კონკრეტული სამუშაოებისათვის, როგორიცაა კლდის ზედაპირები და საძირკვლები, გაწმენდა, ყალიბები, არმირება, ჩატანება და ეს ჩამონათვალი წარუდგინოს ინჟინერს, რომელიც იმ შემთხვევაში, თუ დამაკმაყოფილებლად მიიჩნევს სამუშაოს მოსამზადებელ დონისძიებებს, წერილობით ნებართვას გასცემს კონტრაქტორის მიერ ბეტონის დაგების დაწყებაზე.

ბეტონის სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში კონტრაქტორმა უნდა აწარმოოს დღიური, რომელშიც აღრიცხავს ბეტონირებასთან დაკავშირებულ სამშენებლო სამუშაოებს.

ჟინგალპესის გამყვანი გვირაბი

ჟინგალპესის გამყვანი გვირაბის რეაბილიტაცია

სატენდერო დოკუმენტაცია

დღიური უნდა წარედგინოს ინჟინერს მისი მოთხოვნისამებრ. ჩანაწერები უნდა მოიცავდეს სულ მცირე შემდეგს:

- 1) კონსტრუქციების სხვადასხვა ნაწილებში ბეტონის დაგების დაწყება და დამთავრება;
- 2) მიწოდებული შემავსებლებისა და ცემენტის რაოდენობა და ხარისხი;
- 3) პაერის და მოწოდებული ბეტონის ტემპერატურა;
- 4) მეტეოროლოგიური პირობები და პაერის ტენიანობა;
- 5) ჩატარებული ტესტირება, სინჯების აღება და შედეგების შეჯამება;
- 6) ბეტონის დაგების სამუშაოს სხვადასხვა ეტაპებზე მონაწილე პერსონალი, პასუხისმგებელი ინსპექტორის ან ბრიგადირის ვინაობა;
- 7) გამოყენებული მოწყობილობები;
- 8) ინჟინრისაგან მიღებული დირექტივები;
- 9) გამოყენებული სპეციალური მასალა ან პროცედურა.

ინჟინერი იტოვებს უფლებას, მოითხოვოს ნებისმიერი დამატებითი ინფორმაცია, რომელთა შეტანაც წარმოდგენილ დოკუმენტებში საჭიროდ მიიჩნევა.

7.4 ცემენტის ხსნარის შემადგენლობა

ბეტონის კატეგორიებად კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს კუმშვისადმი ნომინალური კუმშვი წინააღმდეგობის ძალა (ნიუტონებში 1 კვ.მმ-ზე) და შემავსებლის მაქსიმალური ზომა.

ნიმუშის კუმშვისადმი წინააღმდეგობა განისაზღვრება როგორც 28 დღის შემდეგ გაზომილი წინააღმდეგობა. იგი უნდა შეესაბამებოდეს ASTM სტანდარტების მოთხოვნებს და სამშენებლო ნორმებსა და წესებს.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ზოგადად არის წარმოდგენილი ბეტონის ის კლასები, რომლებიც სხვადასხვა სამუშაოს შესასრულებლად არის წინასწარ გათვალისწინებული. თითოეულ უბანზე გამოსაყენებელი ბეტონის სპეციალური კლასი ნაჩვენები იქნება კონსტრუქციის ნახაზებში ან მითოთებული იქნება ინჟინრის მიერ:

ბეტონის კლასი	შემავსე- ბლის მაქს. ზომა (მმ)	ნომინალური OPC შემცვე- ლობა ^{1/} (კგ)	მაქს. ჯდომა	სიმტკიცე 28-ე დღეს (ნ/მ ²)	მაქსიმალუ- რი რი წყალ/ცემე- ნტის ფარდობა	მდგბარეობა
C-25	20	300	120	25	0.45	გვირაბის უკუთალის დაბეჭონება

ცხრილი 7.1: ბეტონის ხაორიგნიტაციო რეცეპტი

ჟინგალპების გამყვანი გვირაბი

ჟინგალპების გამყვანი გვირაბის რეაბილიტაცია

სატენდერო დოკუმენტაცია

სინჯების მიღება და შემოწმება ASTM სტანდარტების შესაბამისად უნდა ჩატარდეს. ტესტის შედეგებიც იმავე სტანდარტების შესაბამისად უნდა გაანალიზდეს.

ინჟინერმა და კონტრაქტორმა ერთად უნდა შეარჩიონ ნარევები სხვადასხვა კლასის ბეტონებისთვის. უკუთადისთვის უნდა იყოს გამოყენებული სტრაფად გამკვრივებადი ბეტონი.

მუშაობის პროცესში შესაძლებელია ნარევების შეცვლა, თუ ინჟინერი ასეთ ცვლილებას აუცილებლად ან სასურველად მიიჩნევს საჭირო სიმტკიცის, დამუშევებადობის, წყალშეუღწევადობის და სიმკვრივის, ეკონომიკის მისაღებად ან ჯდენის შესამცირებლად. კონტრაქტორს არ შეუძლია დამტკიცებული ნაერთის პროპორციების შეცვლა ინჟინრის წერილობითი ნებართვის გარეშე.

7.5 სარისხის კონტროლი

კონტრაქტორი მთლიანად პასუხისმგებელია სარისხის კონტროლის დეტალური პროგრამის განხორციელებაზე როგორც სამუშაოს დაწყებამდე, ისე მისი მიმდინარეობის დროს. სარისხის გარანტიის პროგრამა ექვემდებარება ინჟინრის მხრიდან ინსპექტირებას და შემოწმებას.

კონტრაქტორმა უნდა შეინახოს ტესტირების შედეგების ჩანაწერები, რომელიც წარედგონება ინჟინერს მოთხოვნისამებრ უნდა წარედგინოს.

თუ კონტრაქტორი მოისურვებს მისი დამტკიცებული ტესტირების პროგრამის შემცირებას, მან ამ ცვლილებების შესახებ უნდა აცნობოს ინჟინერს 1 კვირით ადრე.

ინჟინერი, კონტრაქტორის ტესტირების პროგრამისგან დამოუკიდებლად, ჩატარებს საკონტროლო ტესტებს, რა რაოდენობითაც მიიჩნევს საჭიროდ. კონტრაქტორმა ყველგვარი დახმარება უნდა აღმოუჩინოს ინჟინერს სინჯის აღებაში და უნდა უზრუნველყოს ინჟინრის მიერ შესამოწმებელი ნიმუშების სათანადო შენახვა და ტრანსპორტირება.

კონტრაქტორი მოვალეა, მიიღოს ზომები ან იყიდოს ახალი მოწყობილობა, თუ ტესტირების შედეგები აჩვენებს, რომ საჭირო სარისხის ბეტონის მისაღებად შემაგსებლის ან ბეტონის დანადგარის შეცვლაა საჭირო.

7.6 ბეტონის სინჯის აღება და ტესტირება

ა - ახლადდაგებული ბეტონი

ახლადდაგებული ბეტონის სინჯებზე კონტრაქტორმა უნდა ჩაატაროს შემდეგი ტესტები:

1. კონსისტენცია (დაჯდომის ტესტები) ყველა კლასის ბეტონზე (32 მმ-ზე გაცრილი 64 მმ ზომის ბეტონის შემაგსებლებისთვის);
2. ტემპერატურა.

ეს ტესტები ჩატარდება ყოველი სამუშაოს ან სამუშაოს ნაწილისთვის ბეტონის დამზადების დაწყებისას, ხოლო დიდი რაოდენობებისთვის - ყოველ 100 მ³-ზე.

ჟინგალპესის გამუვანი გვირაბი
ჟინგალპესის გამუვანი გვირაბის რეაბილიტაცია
სატენდერო დოკუმენტაცია

ბ - გამაგრებული ბეტონი

მე-7 და 28-ე დღეს აიღება ექვსი სინჯის ნაკრები კუმშვადობისადმი წინააღმდეგობის ტესტისთვის და შემოწმდება სამუშაოს თითოეული ნაწილისთვის, რომელიც განისაზღვრება, როგორც ერთი ოპერაციის დროს დაგებული მოცულობა. დიდი მოცულობის ბეტონირების სამუშაოებისათვის სინჯების ეს ნაკრები აიღება ყოველ 100 მ³-ზე.

კუმშვისადმი წინააღმდეგობის ტესტისთვის ნიმუშებს მოამზადებს და განახორციელებს კონტრაქტორი ASTM სტანდარტების და ტექნოლოგიური ნორმების შესაბამისად.

გ - შედეგების ანალიზი

ტესტირების შედეგები მოიცავს სხვადასხვა კომპონენტების ანალიზს, ახლადდაგებულ და გამყარებულ ბეტონზე მიღებულ მაჩვენებლებს და მაღოზირებელი დანადგარის ყალიბის წნევიდან მიღებული ნაზელის მახასიათებლებს. კონტრაქტორმა რეგულარულად უნდა წარუდგინოს ინჟინერს ყველა შედეგის სინთეზი ცხრილების, დიაგრამების და სტატისტიკური ანალიზის (ყოველკვირკული და ყოველთვიური მოხსენებები) სახით.

7.7 მიღების კრიტერიუმები

ა - ბეტონის კომპონენტები

გაზომილი სიდიდეები უნდა იყოს ზემოთ მოცემული განსაზღვრული დიაპაზონის ფარგლებში.

ყველა შეუფერებელი მასალა ლოკიდირებული უნდა იქნას და ბეტონის დამზადება გადაიდოს, სანამ კონტრაქტორი არ დაადასტურდებს შემცვლელი კომპონენტის მისაღებლობას.

ბ - ახლადდაგებული ბეტონი

ყოველი შემოწმებული პარტია, რომელიც არ დააკმაყოფილებს შემაღენლობისა და ტემპერატურისათვის დადგენილ მოთხოვნებს, იქნება ლიკვიდირებული და ბეტონირება შეჩერდება იქამდე, სანამ არ დადასტურდება, რომ შემდგომ პარტიებში შეტანილი შესწორებები დამაკმაყოფილებელია.

გ - გამაგრებული ბეტონი

დაბეტონების სამუშაოების დაწყებამდე კონტრაქტორი ჩატარებს მთელ რიგ ტესტებს ახლადდაგებულ და გამყარებულ ბეტონზე იმის საჩვენებლად, რომ ბეტონის მოცემული კლასები პასუხობს ხარისხის კრიტერიუმს.

განსაკუთრებით საჭიროა საქმაო რაოდენობის ტესტების ჩატარება კუმშვისადმი წინააღმდეგობაზე, რათა სტატისტიკურად დამტკიცდეს, რომ ბეტონის მოცემული კლასი პასუხობს შესაბამის მოთხოვნებს.

თუ კუბური ნიმუშების ტესტის შედეგების ანალიზი სამუშაოს შესრულების დროს მიუთითებს დასაშვებ კრიტერიუმზე ნაკლები მაჩვენებლის მქონე ბეტონს კონსტრუქცი-

ჟინგალპესის გამყვანი გვირაბი

ჟინგალპესის გამყვანი გვირაბის რეაბილიტაცია

სატენდერო დოკუმენტაცია

აში, ინჟინერი მოითხოვს, რომ კონტრაქტორმა ჩაატაროს კერნის შემოწმებები. კერნების მდებარეობისა და რაოდენობის შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებს ინჟინერი. კონტრაქტორმა კონსტრუქციიდან უნდა ამოიღოს დადგენილი ზომის კერნები.

იმ შემთხვევაში, თუ ბეტონის ნიმუშები არ პასუხობს სპეციფიკაციებს და ინჟინერი უკაყოფილოა სხვადასხვა ტესტების შედეგებით და ხარისხით, იგი მოსთხოვს კონტრაქტორს სამუშაოების ლიკვიდაციას კონტრაქტორის ხარჯებით, შესაბამისი გამაგრების ზომების მიღებას.

7.8 ბეტონის ტემპერატურა

ბეტონის დაგების შემდგომ ბეტონში ტემპერატურის მაქსიმალური დასაშვები აწევის და ტემპერატურის განაწილების საკითხებს განსაზღვრავს ინჟინერი ბეტონის დაგების დაწყებამდე ცემენტის, ბეტონის ნარევების ფაქტიური პროპორციების და განსახილველი ბეტონის დიფუზიურობის გამოყენებით ჩატარებული ლაბორატორიული ტესტების საფუძველზე, ან ფაქტიური საველე მონიტორინგის გათვალისწინებით.

დაგების პროცესში ბეტონის ტემპერატურე არ უნდა აღემატებოდეს 32°C .

საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი საშუალებები უნდა იყოს მობილიზებული, რათა უზრუნველყოფილი იქნას ბეტონის დასხმის დროს მისი საკმარისად დაბალი ტემპერატურა, რომელიც დაემთხვევა ბეტონის დაგების დროს ზემოთ მითითებულ ტემპერატურის დაღგენილ მაჩვნებელს. ბეტონისათვის დაღგენილი ტემპერატურების მისაღწევად საჭიროა შემდეგი დონისმიერებების გატარება:

- 1) შესარევი წყლის გაგრილება
- 2) შესარევი წყლის ნაწილის ყონულით ჩანაცვლება, იმის უზრუნველყოფა, რომ ყინული სრულად გალლება შერევის პროცესის დასრულების მომენტისათვის;
- 3) წყლის ავზების და წყლის მომწოდებელი მილების საიზოლაციო მასალით დაფარვა, დაუცველი ზედაპირის თეთრად შეღებვა;
- 4) ბეტონის დამით არევა და დაგება

ბეტონის ტემპერატურე ნებისმიერ ნაწილში არ უნდა აღემატებოდეს 45°C .

7.9 დაგება

კონტრაქტორს მოცემულ ადგილზე ბეტონის დაგება შეუძლია ინჟინრის თანხმობის მიღების შემდგომ. ბეტონი უნდა დაიგოს ინჟინრის თანდასწრებით. შეიძლება მოთხოვნილი იქნას ინჟინრისათვის წინასწარი შეტყობინების და მისგან დასტურის მიღების გარეშე დაგებული ბეტონის აყრა და შეცვლა კონტრაქტორის ხარჯით.

იმ შემთხვევაში, როდესაც ბეტონის დაგება ხდება გადატუმბვის მეშვეობით, პირდაპირი კავშირი უნდა დამყარდეს ბეტონის დამგებ ჯგუფსა და ტუმბოს ოპერატორებს შორის.

ჟინგალპესის გამყვანი გვირაბი

ჟინგალპესის გამყვანი გვირაბის რეაბილიტაცია
სატენდერო დოკუმენტაცია

ცემენტის რძის გამოყოფის შესამცირებლად ჯდომა საჭიროზე მაღალი არ უნდა იყოს, რათა მიღწეულ იქნას შესაფერისი დასხმა და გამკვრივება. ბეტონი უნდა დაიგოს, სანამ საწყისი გამყარება მოხდებოდეს, ე.ი. ნაერთისთვის წყლის დამატებიდან 60-90 წთ-ში.

ბეტონის დაგება დაუშვებელია ისეთი ატმოსფერული პირობების დროს, როცა ინჟინრის აზრით, ბეტონის სათანადოდ დაგების და გამკვრივების უზრუნველყოფა შეუძლებელია. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ზემოთ აღნიშნული მოთხოვნები შესრულებულია, კონტრაქტორი პასუხისმგებელია, რომ მოწოდებული ბეტონის პროდუქცია შეესაბამებოდეს დადგენილ მოთხოვნებს.

ა - ბეტონის დაგების მომზადება

ბეტონის დაგება არ უნდა დაიწყოს, სანამ ყველა ყალიბი, ჩატანებული ნაწილების და ფოლადის არმატურის მონტაჟი და ზედაპირები, რომელზეც ბეტონი უნდა დაისხას, არ იქნება მოწონებული ინჟინრის მიერ.

ყველა ყალიბის და ჩატანებული ნაწილის ზედაპირი, რომელზეც მიმხმარია გამშრალი მასალა ადრე დაგებული ბეტონიდან, უნდა გაიწმინდოს, სანამ გარემომცველ ან მომიჯნავე ტერიტორიაზე დაიგება ბეტონი.

ბეტონი არ უნდა ჩაეწყოს არანაირ კონსტრუქციაში, სანამ შესაბამის სივრცეში, სადაც ბეტონი უნდა დაისხას, მთლიანად არ შეწყდება წყლის შედინება, მისი სათანადო გადაკეტვით ან მიღებით სხვაგან გადასროლით ან რაიმე სხვა საშუალებით. დაუშვებელია წყლის გაჩერება ბეტონის ზედაპირზე ამ უკანასკნელის საბოლოო გამყარებამდე. აგრეთვე დაუშვებელია წყლის დინება ბეტონზე, ვინაიდან ამან შეიძლება დააზიანოს ზედაპირის მოსახვა.

მიღები, მიღსადენები, სოგმანები და სხვა ნაწილები, რომლებიც უნდა ჩამაგრდეს ბეტონში, ისე უნდა იყოს განთავსებული და დამაგრებული ბეტონის დაგებამდე, რომ იყოს უძრავი და ტოვებდეს საკმარის დრეჩოს (მინ. 40 მმ) ამ ნაწილებსა და ფოლადის არმატურას შორის სათანადო ბეტონირების უზრუნველყოფის მიზნით. ასეთი ნაწილების პოზიციაში დამაგრების მიზნით მათი ფოლადის არმატურაზე მავთულებით მიბმა ან შედუდება ნებადართული არ არის.

უშუალოდ დაბეტონების წინ ყველა ყალიბი და სხვა ზედაპირი, რომელიც უშუალო შესებაში იქნება ახლადდაგებულ ბეტონთან, უნდა გაიწმინდოს ყოველგვარი ფხვიერი მასალისგან და ნამსხვრევებისგან, მათ შორის, ნაქლიბის, ხის ნათალის, ნახერის, მავთულის ნაწილების, ლურსმნებისგან, გამაგრებული ბეტონის და დუღაბის ფრაგმენტებისგან. ამ მიზნით უნდა გამოიწმინდოს ხვრელები, რომლებიც შემდგომ საიმედოდ უნდა დაიგმანოს, რათა მიღებული იქნას მოთხოვნილი ზედაპირის მოსახვა.

კონტრაქტორმა პერსონალით და აპარატურით მომარაგებით უნდა უზრუნველყოს ბეტონირების დამაკმაყოფილებლად შესრულება. სატრანსპორტო და ბეტონდამგები საშუალებები უნდა იყოს სუფთა, კარგ მდგომარეობაში და ვარგისი, რათა უზრუნველყონ ბეტონის დაგება გაუმართლებელი გადავადების გარეშე. გამოსაყენებელი და სარეზერვო ვიბრატორების რაოდენობა და მდგომარეობა ბეტონირებისათვის საჭირო მოთხოვნების შე-

ჟინგალპესის გამყვანი გვირაბი

ჟინგალპესის გამყვანი გვირაბის რეაბილიტაცია

სატენდერო დოკუმენტაცია

საბამისი უნდა იყოს. განათების სისტემაში უნდა უზრუნველყოს ყალიბის შიგნითა მხარის განათება ბეტონის დამით დაგების დროს.

კონტრაქტორს უნდა ჰქონდეს დამცავი საფარები ახალდაგებული ბეტონის ზედაპირებისთვის, წვიმის, სეტყვის, თოვლჭყაპის ან თოვლის შემთხვევაში, გამოსაყენებლად.

კლდის ზედაპირები, რომლებზეც უნდა დაიგოს ბეტონი, უნდა იყოს სუფთა და გაწმენდილი ზეთისგან, დამდგარი თუ გამდინარე წყლისგან, ტალაბისგან, ფხვიერი ქანებისგან, არასასურველი შრეებისგან, ნამსხვრევებისგან, ფხვიერი ან არამყარი ფრაგმენტებისგან. დევებები, ნაპრალები და ნაჭდევები უნდა მოშორდეს კლდის საღ ნაწილს და მითითების შემთხვევაში, უნდა შეიგხოს სტომატოლოგიური ბეტონით, ტორკრეტბეტონით ან მშრალი სატენით იმისდა მიხედვით, თუ რომელი ჩაითვლება შესაფერისად.

უშუალოდ ბეტონის დაგების წინ ყველა ზედაპირი ძირფესვიანად უნდა გაიწმინდოს მაღალი სიჩქარის ჰაერ-წყლის ნაკადის გამოყენებით, უნდა დაიხვევებოს ცოცხებით, ქვიშის სტყორცნის წესით, დამუშავდეს ქვისმთლელი ჩაქტით და სხვა საშუალებებით, აგრეთვე ზემოთ ჩამოთვლილი საშუალებების კომბინირებით.

კლდის ზედაპირი, რომელზეც ბეტონი უნდა დაიგოს, უნდა იმყოფებოდეს სველ მდგომარეობაში, სულ ცოტა, 12 სთ-ის განმავლობაში 24 სთ-იანი პერიოდის მანძილზე ბეტონის დაგებამდე, დაგების დროს უნდა იყოს ნოტიო მდგომარეობაში, ხოლო წყლის გუბურები კი მოშორებული უნდა იყოს.

გვირაბის უკუთადის მოსახვისთვის ბეტონის დაგების წინ უნდა შესრულდეს შემდეგი მოთხოვნები:

- 1) ამოთხოვილი განივი კვეთის პროფილი გულდასმით უნდა შემოწმდეს, რათა შესრულდეს მოპირკეთების მინიმალურ სისქესთან დაკავშირებული მოთხოვნები, ხოლო საჭიროების შემთხვევაში შესწორებულ იქნას;
- 2) გვირაბის და უკუთადების იატაკი მოლიანად უნდა გაიწმინდოს ნამსხვრევებისგან საღ ქანებამდე. საჭიროების შემთხვევაში კონტრაქტორი გამოიყენებს ქექანიკურ ინსტრუმენტებს გაფხვიერებული და აფეთქებით დაზიანებული ქანების მოსარევად და მოსაშორებლად. აუცილებლობის შემთხვევაში კონსტრუქციის ნახაზებზე ნაჩვენებ ან ინჟინრის მიერ მითითებულ ადგილას კონტრაქტორი ფსკეზე დააგებს მწირ ბეტონს ისე ერთგვაროვნად, რომ ის იყოს ერთ ნიშნულზე ზედაპირთან.

სანამ ბეტონი დაისხმება აღრე დაგებულ ბეტონზე, ძველი ბეტონის ზედაპირი უნდა მომზადდეს, როგორც ეს აღწერილია ამ სპეციფიკაციის ქვე-თავში "კონსტრუქციული ნაკერები".

ბ - ბეტონის დაგება და გამკვრივება

ბეტონი ფრთხილად უნდა დაიგოს მითითებულ ადგილას. ბეტონის თავისუფალი ვარდნა არ უნდა აღემატებოდეს 1,5 მ-ს.

ჟინგალპესის გამყვანი გვირაბი

ჟინგალპესის გამყვანი გვირაბის რეაბილიტაცია

სატენდერო დოკუმენტაცია

ბეტონი უნდა დაიგოს უშალოდ მის მუდმივ ადგილსამყოფელზე და არ უნდა ხდებოდეს მისი გადატანა ყალიბების გასწრივ. ბეტონის განივად გადაადგილებისთვის არ უნდა გამოიყენებოდეს ვიბრატორები.

დაუშვებელია დოზირების შემდეგ ბეტონზე წყლის დამატება, დაგების წინ ბეტონის შეკვრის კომპენსირების მიზნით.

არანაირი ბეტონი არ უნდა დაიგოს წყლის ქვეშ, თუ ეს ნაჩვენები არ არის კონსტრუქციის ნახაზებზე, ან თუ ამას არ მოითხოვს ინჟინერი. ბეტონი არ უნდა დაიგოს გამდინარე წყალში. დაუშვებელია წყლის მიერ ახლადდაგებული ბეტონის დაფარვა, სანამ იგი საბოლოოდ არ გამყარდება.

ბეტონით უნდა შეივსოს და ამოიქოლოს ყალიბის ყველა კუთხე-კუნძული, არმატურის და ჩატანებული ნაწილების გარემომცველი ადგილები ისე, რომ ბეტონში შემავალ მასალებს არ მიეცეს შრეებად დაშლის საშუალება.

ბეტონირების დროს მომიჯნავე ფენების დასხმებს შორის მაქსიმალური დასაშვები დრო არ უნდა აჭარბებდეს ცემენტის პირველი გამკვრივების დროს ან 45 წთ-ს, იმისდა მიხედვით, თუ რომელი იქნება ნაკლები და უნდა შემცირდეს ტემპერატურის, ტენიანობის და სამუშაო პირობების შესაბამისად. ბეტონი არ უნდა დაგროვდეს ყალიბში ისეთი სახით, რომ გამოიწვიოს გაუმაგრებელი ბეტონის მოძრაობა ან დუღაბის დაშორება მსხვილი შემავსებელისგან.

მოპირკეთების დაბეტონება უნდა განხორციელდეს ბეტონის ტუმბვის იმ მეთოდების გამოყენებით, რომლებიც არ იწვევს შრეებად დაშლას და არ მოითხოვს ბეტონის ხელალ არევას

ბეტონი უნდა გამაგრდეს ჩამშვები სალტიანი მექანიკური ვიბრატორებით ან ელექტრული ან პაერის ვიბრატორებით, რომელთა მუშაობის სიჩქარე იქნება, სულ ცოტა, 7,000 ციკლი/წთ-ში ბეტონში ჩაძირვის შემდეგ. ვიბრატორების რაოდენობა ყოველთვის საკმარისი უნდა იყოს და უნდა პქონდეს საკმარისი სიმძლავრე ბეტონში შეღწევისთვის, რათა აკმაყოფილებდეს ინჟინრის მოთხოვნებს. ელასტიურ ლილვებიანი ვიბრატორები უნდა გამოიყენებოდეს რკინა-ბეტონისა და ვიწრო ფორმებში ჩასხმული ბეტონისათვის. სამუშაო მდგომარეობაში მყოფი სულ ცოტა ერთი სათადარიგო ვიბრატორი მაინც უნდა იყოს დამატებით ბეტონის დაგების ადგილზე, უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში გამოსაყენებლად.

გიბრატორები სისტემატურად და ისეთი დაშორებებით უნდა გამოიყენებოდეს, რომ ხდებოდეს გავლენის ზონების გადაფარვა და ბეტონის სათანადოდ დაწესება.

ყოველი ვიბრატორი თითქმის ვერტიკალურ მდგომარეობაში უნდა მუშაობდეს, ხოლო ვიბრატორის თავის შეღწევა საკუთარი წონის ზემოქმედებით უნდა ხდებოდეს. ბეტონის ყოველი ფენის გამკვრივების დროს ვიბრატორის თავმა უნდა შეაღწიოს ბეტონის ქვედა ფენების ზედა ნაწილში და მოახდინოს ბეტონის ხელახლი ვიბრირება. მაქსიმალური ფერადლება უნდა მიექცეს, რომ ვიბრატორი არ შეეხოს ან არ შეარყიოს არმატურა, ჩაბეტონებული ფოლადი ან ყალიბები.

ჟინგალპესის გამყვანი გვირაბი

ჟინგალპესის გამყვანი გვირაბის რეაბილიტაცია

სატენდერო დოკუმენტაცია

მოთხოვნის შემთხვევაში, კონტრაქტორმა ზემოთ ჩამოთვლილი გამკვრივების მეთოდები-დან უნდა გამოიყენოს ნებისმიერი, ზედაპირის დამუშავების შესაბამისი დონის მისაღწე-ვად. ყალიბის ვიბრატორები არ უნდა იქნას გამოყენებული, თუ ყალიბები არ არის გა-თვალისწინებული ვიბრაციისათვის და თუ საამისოდ არ არსებობს ინჟინრის მიერ სპეციალური ნებართვა.

გ - ბეტონის გადატუმბვა

დგუშიანი ტუმბოთი გადატუმბვა, ან სხვა მიღებული მეთოდები შეიძლება გამოყენებული იქნას ინჟინრის მიერ მითითებულ აღგილებში ბეტონის დაგების მიზნით. მოწყობილობის ტიპი და მისი მოწყობა ექვემდებარება დამტკიცებას და მოწყობილობა უნდა მართონ მხოლოდ გამოცდილმა პირებმა. პნევმატური დაგება დაუშვებელია.

მოწყობილობამ და მისი მუშაობის მეთოდმა უნდა უზრუნველყოს ყალიბში ბეტონის და-ბალი სიჩქარით შესვლა.

ბეტონის ტუმბოები და დამხმარე მოწყობილობა კარგ მდგომარეობაში უნდა იყონ და ეს მდგომარეობა უნდა შეინარჩუნონ მუშაობის მთელ პერიოდში. ყოველი დაბეტონების სა-მუშაოს შემდგებ უნდა გაირეცხოს ყველა ნაწილი, რომელიც იმყოფებოდა ბეტონთან შე-ხებაში.

ტუმბოს მიღები უნდა შედგებოდეს ხისტი ფოლადის მილსადენებისა ანდრეკადი რეზი-ნის მილსადენებისგან, სპირალისებური ლითონის ან პლასტმასის მილებისგან, ან მათი კომბინაციისგან. ტუმბოს მიღებად ალუმინის მილსადენების გამოყენება დაუშვებელია. გადაბმის ადგილები უნდა იყოს უკონადი და საკმარისად მყარი, რათა გაუძლოს რყევას მონტაჟის დროს და სუსტ საყრდენებს ხაზების გასწვრივ. მათ უნდა უზრუნველყონ ბე-ტონის შეუფერხებელი დინება შეგუმშვების გარეშე მთელ შიდა განივი კვეთში.

უშალოდ ბეტონის დატუმბვის დაწყების წინ, ტუმბო და ტუმბოს მიღები უნდა შეივსოს დამტკიცებული ცემენტის ნარევის მოწყობილობის გავლით დატუმბვით.

ბეტონის გადატუმბვის ოპერაციები ისე უნდა დაიგეგმოს, რომ ბეტონი არ გამკვრივდეს, სანამ მასზე ზემოდან მომდევნო ფენა არ დაიგება. მუდმივად უნდა ხდებოდეს ახალი ბე-ტონის შესატყვისი ოდენობით მოწყოდება.

7.10 ბეტონის ზედაპირის დამუშავება

ზედაპირის დამუშავების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ქვემოთ კონკრეტული კლასის მოსახვისთვის დადგენილ მოთხოვნებს. ბეტონის დამუშავებული ზედაპირები თავისუ-ფალი უნდა იყოს ფორებისგან, განმრევებისაგან, ცემენტის ან წვრილნაწილაკიანი მასა-ლის ხარჩენებისგან, ყალიბის მოხსნით გამოწვეული დაზიანებებისგან, ჭანჭიკის ხვრელე-ბისგან, ყალიბის ან კომპონენტების მოძრაობით გამოწვეული უხეში უსწორმასწორობები-სგან, ფხვიერი კვანძების და მსგავსი მახასიათებლებისგან, ზედაპირის საერთო სი-ბრტყებები ამოზნექილობების და დრმულების არსებობისგან.

მხოლოდ ერთი ტიპის ყალიბი უნდა იქნას გამოყენებული ბეტონის კონსტრუქციის უკელა ნაწილისთვის, რომლის დანახვაც ნებისმიერი მიმართულებიდან არის შესაძლებელი.

მოსახვის კლასების დადგენა ხდება კონსტრუქციის ნახაზების შესაბამისად ან ინჟინრის მითითებისამებრ.

ა - ყალიბში ფორმირებული ზედაპირები

ყალიბში ფორმირებული ზედაპირების მოსახვის კლასი აღინიშნება F-სიმბოლოთ, ხოლო ბეტონის სამუშაოებისთვის განკუთვნილი ყალიბის პანელები უნდა იყოს ან Sწორი (F1, F2, F3) ან მრუდე (F1C, F2C, F3C).

უსწორმასწორებები უნდა გაზომოს სწორი ლარტის ან მრუდისებური ზედაპირისათვის მსგავსი ექვივალენტის საშუალებით, ლარტის უნდა იყოს 3მ სიგრძის დაუმუშავებელი ზედაპირისათვის და 1.5მ დამუშავებულისათვის. ზედაპირის დამუშავება და ბეტონის დამუშავების სხვა ვარიაციები უნდა შეესაბამებოდეს ქვემოთ მოყვანილ დასაშვებ ფარგლებს:

დამუშავების ტიპი	გამოყენების ზოგადი სფეროები და ფორმირების მეთოდი	დასაშვები გადახრები (მმ-შ)
F1, F1C	კონსტრუქციის კვანძების ყალიბში ფორმირებული ზედაპირები და სხვა ზედაპირები, რომლებიც არ იქნება მუდმივად თვალთახედვის არეში. ასეთ ზედაპირს არ სჭირდება არავითარი დამუშავება, გარდა ყალიბის მოშორების შედეგად დაზიანებული ბეტონის შეკეთებისა და სპეციალური გამაგრებისა, ან იმ დამუშავებისა, რომელიც გათვალისწინებულია კონსტრუქციული ნაკერებისთვის.	+25 -10
F2, F2C	ყველა მუდმივად თვალთახედვის არეში მყოფი ყალიბში ფორმირებული ზედაპირი. უშუალოდ ყალიბების მოხსნის შემდგომ უხეში ფორმის ნაწილურები და ხიწვები უნდა მოშორდეს; ყალიბის ძელების მოშორების შემდეგ მათი ბოლოებისგან დატოვებული ხვრელები გულდასმით უნდა ამოივხოს დუღაბით, ხოლო ზედაპირი საჭრისით უნდა დამუშავდეს და გაიხეხოს, რათა დასაშვებ ფარგლებთან შესაბამისობაში მოვიდეს.	+10 -10
F3, F3C	ყალიბში ფორმირებული ზედაპირები, რომელიც გამდინარე წყლის ქვეშ მოექცევა. ეს ზედაპირები უნდა იყოს მაგარი, გლუვი და მკვრივი, თავისუფალი უნდა იყოს შვერილებისგან, ღრმულებისგან, სიცარიელისგან, ჰაერის ღრმულებისგან და უსწორმასწორობებისგან; ისინი უნდა გაითალოს, დაიგრუნტოს და საფუძლიანად გაიწმინდოს, რათა დასაშვებ ფარგლებთან შესაბამისობაში მოვიდეს.	+3 -3

ცხრილი 7-2: ფორმირებული ზედაპირის კლასები

ბ - უყალიბოდ ფორმირებული ზედაპირები

უყალიბო ბეტონის ზედაპირებისთვის დამუშავების კლასები აღინიშნება U-სიმბოლოთ. ისინი უნდა დამუშავდეს გაშალაშინებით, მოსწორებით და მობათქაშებით.

ზედაპირის დამუშავების და ბეტონის დამუშავების სხვა ვარიაციები უნდა შეესაბამებოდეს ქვემოთ მოყვანილ დასაშვებ ზღვრებს.

დამუშავების ტიპი	გამოყენების ზოგადი სფეროები და ფორმირების მე- თოდი	დასაშვები გადახრები (მმ-ში)
U-1	უქარგილოდ ფორმირებული, გაშალაშინებული ზედაპირები, რომლებიც უნდა დაიფაროს შემავსებელი მასალებით. დამუშავება მდგომარეობს სათანადო მოსწორებასა და გაშალაშინებაში, რათა მიღებულ იქნას გლუვი და ერთგვაროვანი ზედაპირი, რომელიც შეესაბამება დასაშვებ ფარგლებს.	+10 -10
U-2	უქარგილო ზედაპირები, რომლებიც არ არის დაფარული შემავსებლით. ხელის ან ელექტრო-ხელსაწყოთი მოგლუვება უნდა დაიწყოს მაშინვე, როგორც კი გასწორებული ზედაპირი საქმარისად გამაგრდება, რათა მინიმალური ძალისხმევით იქნას მიღებული ზედაპირი, რომელსაც არ შეეტყობა გასწორების კვალი და ექნება ერთგვაროვანი ტექსტურა.	+5 -5
U-3	უქარგილო, გასწორებული ზედაპირები, რომლებიც გამდინარე წყლის ქვეშ უნდა მოექცნენ. დამუშავება მდგომარეობს ფოლადის სახეებელის გამოყენებაში მას შემდეგ, რაც ბეტონი საქმაოდ გამაგრდება, რათა მოშორდეს წვრილი მასალები და გამოირიცხოს წყლის შეღწევა ზედაპირში; მას არ უნდა ჰქონდეს წუნი, არ უნდა ეტყობოდეს წყლის ჭავლის და ხეხვის კვალი. მას შემდეგ, რაც ზედაპირი თითქმის გამაგრდება, ის კიდევ ერთხელ უნდა გაიხეხოს, ვიდრე ზედაპირი გარეგნულად არ იქნება მაგარი და პრიალა.	+3 -3

ცხრილი 7-3: არაფორმირებული ზედაპირის კლასები

იმ ზედაპირებისათვის, რომლების დამუშავებისათვის არსებობს განსაკუთრებული მოთხოვნები, გამოყენებული უნდა იქნეს დამუშავების შემდეგი ორი კლასი U4 და F4. ამ შემთხვევაში, პირველად მიღწეული უნდა იქნეს დამუშავების კლასი U3 და F3, შემდეგ კი ნებისმიერ უსწორმასწორობა შემცირდეს 1-50-თან დახრამდე.

7.11 კონსტრუქციული ნაკერები ბეტონის კონსტრუქციებში

კონსტრუქციული ნაკერები განსაზღვრულია როგორც ბეტონის ზედაპირი, რომელზეც ან რომლის პირდაპირაც უნდა დაიგოს ბეტონის ახალი ფენა და რომელიც ისე გამკვრივდა, რომ გამოირიცხება ბეტონის ახალი ფენის ადრე დასხმულთან სრული შერევის შესაძლებლობა.

კონსტრუქციული ნაკერები უნდა განთავსდეს სამშენებლო ნახაზებში მითითებულ პოზიციებზე, ან ინჟინრის მოთხოვნის შესაბამისად; კონტრაქტორს არ აქვს უფლება შექმნას ახალი ნაკერები ან შეცვალოს ნახაზებში მოცემული ნაკერები, ინჟინრის წერილობითი ნებართვის გარეშე. ფოლადის არმატურის ხელახალი მოწყობის ხარჯები, რომელიც გამოწვეულია ამ ცვლილებების შედეგად, კონტრაქტორმა უნდა გასწიოს.

სადაც კი შესაძლებლობაა, პორიზონტალური კონსტრუქციული ნაკერები ისე უნდა განლაგდეს, რომ ემთხვეოდეს ყალიბის ნაკერებს.

ნაკერები ლია უბნებზე უნდა იყოს სწორი და უწყვეტი. ბასრ-კუთხიანი სამშენებლო ნაკერების არსებობა დაუშვებელია.

კონსტრუქციული ნაკერების ზედაპირი, რომელზეც უნდა დაისხას და შეერწყას ახალი ბეტონი, წინასწარ უნდა აქმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: ის უნდა იყოს სუფთა, ხორკლიანი და მშრალი. არსებულ ბეტონის ზედაპირს უნდა მოშორდეს ცემენტის რქე, არამყარად დაფენილი ან წუნიანი ბეტონი. ძელი ბეტონის ფენა წყლით უნდა დასველდეს, მაგრამ მომდევნო ფენის დაგების წინ ზედაპირი უნდა გამოშრეს.

გამაგრებული ბეტონის ზედაპირი უნდა გაიწმინდოს და დამუშავდეს სველი ქვიშის ჭავლით და საფუძვლიანად გაირცხოს პაერ-წყლის ძლიერი ჭავლით. საჭიროა ყურადღება, რომ სველი ქვიშის ჭავლით დამუშავებისას არ მოხდეს ბეტონის სიმკვრივის დარღვევა შემაგრებლის მოცილების შედეგად.

არ უნდა დავუშვათ ნაკერებთან ზედაპირის დაზიანება გამყარების პირველ ეტაპებზე, ტრანსპორტის მოძრაობა ბეტონზე არ უნდა დაიშვას მანამ, სანამ ბეტონი არ შეიკვრება იმდენად, რომ ასეთმა ზემოქმედებამ იგი არ დააზიანოს.

ბეტონით დაფარვამდე ყველა კონსტრუქციული ნაკერი სველი უნდა იყოს. თუ შეიქმნება იმის საჭიროება, რომ ხანგრძლივი დროით გადაიდოს კონსტრუქციულ ნაკერებზე ან მათ პირდაპირ ბეტონის დაგება, ნაკერის ზედაპირის დატენიანება შეიძლება შეწყდეს ჩვეულებრივ დანიშნული დატენიანების პერიოდის ამოწყრვისას. იმ შემთხვევაში, თუ ზედაპირის დასველება ამგვარად შეწყდება, დატენიანება უნდა განახლდეს ბეტონის ახალი ფენის დაგებამდე არაუგვიანეს 24 საათისა.

7.12 ბეტონის გამყარება და დაცვა

ბეტონის დაგების დაწყებამდე ბეტონის დაგების თითოეული ადგილი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ბეტონის გამყარების და დაცვის დანადგარით. გამამყარებელი წყლის ტემპერატურა არ უნდა აღემატებოდეს 25°C -ს.

ჟინგალპესის გამყვანი გვირაბი

ჟინგალპესის გამყვანი გვირაბის რეაბილიტაცია

სატენდერო დოკუმენტაცია

გარე ზედაპირები ნამიანი უნდა იყოს ან უნდა უზრუნველვყოთ ბეტონის ნამიანობა და გებიდან დაახლოებით 14 დღის განმავლობაში, ბეტონის დროდადრო დასველებით ან შეშურებით ან რაიმე სხვა მეთოდით, რომელიც მოწონებული იქნება ინჟინრის მიერ.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ დაგებიდან სულ ცოტა 24 სთ-ის განმავლობაში არ მოხდეს ფოლადის არმატურის არანაირი დაძვრა.

კონტრაქტორს არა აქვს უფლება ნებისმიერი სახის ტვირთის გატარებისა ბეტონის ზედაპირზე მანამ, სანამ ინჟინერი არ ჩათვლის, რომ ბეტონს ამისათვის საკმარისი სიმკვრივე გააჩნია. იმ შემთხვევაში, თუ აუცილებელია ტვირთის გადატანა, ინჟინერს შეუძლია ნება დართოს კონტრაქტორს განახორციელოს ეს ოპერაცია, მხოლოდ იმ პირობით, თუ კონტრაქტორი უზრუნველყოფს ბეტონის ზედაპირის დამცავი დონისძიებების გატარებას, რომელიც ინჟინრის მიერ ასევე საჭიროებს დამოწმებას.

7.13 ბეტონის შეკეთება

კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს ბეტონის ზედაპირის გასწორება შესაბამისი მოთხოვნების მიხედვით.

დაზიანებული ან წუნიანი ბეტონის შეკეთება უნდა განახორციელონ მხოლოდ კვალიფიცირებულმა მუშებმა და ისიც ინჟინრის მეთვალყურეობის ქვეშ. არანაირი შესაკეთებელი სამუშაოების დაწყება არ შეიძლება, ვიდრე ინჟინერი არ განახორციელებს სამუშაო ადგილის შემოწმებას და არ მიიღებს კონტრაქტორის მიერ შემოთავაზებულ შეკეთების მეთოდს.

იქ, სადაც ბეტონი გამდინარე წყლისა თუ ამინდის ზემოქმედებას განიცდის, ფორისებური და დახეთქილი ბეტონი და ზედაპირის ბეტონი, რომელიც საჭიროებს მინარევებს, რათა მიიღოს პროექტით გათვალისწინებული ფორმები, უნდა იქნას მოცილებული ბეტონში ხვრელების გაფხეკვით არმატურიდან მინიმუმ 75 მმ-ით დაბლა ან სხვა სიღრმეზე, რომელსაც მიზანშეწონილად მიიჩნევს ინჟინერი იმ შემთხვევაში, თუ 75 მმ-ის სიღრმეზე გამყარებული ბეტონი არ აღმოჩნდება. შესაკეთებელი ადგილები უნდა მოიხაზოს და შეივხოს ახალი ბეტონით. თუ შესაკეთებელი ბეტონის სექციაში არ არის არმატურა, მაშინ ბეტონი უნდა ამოიფხიცოს არანაკლებ 100 მმ სიღრმეზე.

ამოფხეკილ ხვრელებს უნდა ჰქონდეთ ბასრი ქიმები, რომლებიც ინჟინრის გადაწყვეტილებიდან გამომდინარე საჭირო კიდეებამდე უნდა შეივსოს ახალი ბეტონით ან შემაერთებელი ნაერთით. იქ, სადაც ამოფხეკილი ნაპრალების ამოვსება ხდება ბეტონით, ნაპრალის სიღრმე არ უნდა იყოს 75 მმ-ზე ნაკლები და ახალი ბეტონი უნდა გამაგრდეს და მანქვალით დამაგრდეს ნაპრალების ზედაპირებზე, როგორც ეს ინჟინრის მიერ არის მითითებული.

როდესაც შესაკეთებელია 25 მმ-ზე დიდი სიღრმეები, ნაერთი უნდა დაიგოს არაუმეტეს 20 მმ სისქის ფენებად, რათა თავიდან ავიცილოთ მისი გაფონვა. ნაერთის თითოეული ფენა, ბოლოს გარდა, საფუძვლიანად უნდა გახორცილიანდეს სპეციალური ხელსაწყოთი, რაც უზრუნველყოფს მომიჯნავე ფენებს შორის მჭიდრო კავშირს. ბოლო ან მოსახვის შრე ისე უნდა გასწორდეს, რომ გარემომცველ ბეტონის ფენასთან ერთიანი გლუვი ზე-

ჟინგალპესის გამყვანი გვირაბი

ჟინგალპესის გამყვანი გვირაბის რეაბილიტაცია

სატენდერო დოკუმენტაცია

დაპირი მივიღოთ. ყველა საკერძელი დია ზედაპირზე უნდა იყოს აკურატული და გლუვი და თუ შესაძლებელია, იმავე ფერისა, როგორიც მომიჯნავე ბეტონია. ყველა საკერძელი მჭიდროდ უნდა იყოს დამაგრებული ამოფხეკილ ადგილებზე და გამყარებული ისე, რომ აკმაყოფილებდეს ინჟინრის მოთხოვნებს. აგრეთვე უნდა იყოს მყარი და თავისუფალი შეკლების ბზარებისა და სუსტად დამაგრებული ადგილებისგან.

იმ ბეტონის ზედაპირების აღდგენითი სამუშაოები, რომლებიც დიდი სიჩქარის ნა- კადის ზეგავლენის ქვეშ შეიძლება აღმოჩნდნენ და რომელთაც F3 და U3 მოკეთება აქვთ, აგრეთვე ინჟინრის მოთხოვნის შემთხვევაში, შეიძლება ჩატარდეს ეპოქსიდის წე- ბოს გამოყენებით მწარმოებლის ინსტრუქციების მიხედვით.

7.14 გაზომება და ანაზღაურება

ანაზღაურება განხორციელდება ერთეული ფასების მიხედვით სხვადასხვა კლასისა და ტიპის ბეტონისათვის, რომელიც შეტანილია ცხრილში, რომელიც მოიცავს, მაგრამ არ იფარგლება, ქვემოთ მოცემული სამუშაოებს:

- 1) ბეტონის ტრანსპორტირება, მოთავსება და კომპაქტირება;
- 2) მუშა-ხელი, ხელსაწყოები და მოწყობილობა დაბეტონებამდე ზედაპირის გასაწმენდად და მოსამზადებლად;
- 3) კონსტრუქციული კვანძების (ნაკერების) მოწყობა და დამუშავება;
- 4) ზედაპირის დამუშავება;
- 5) ბეტონისათვის განსაზღვრული ტემპერატურის მიღწევა;
- 6) ბეტონის დაცვა და გამყარება;
- 7) ხარვეზიანი ბეტონის აღდგენა და დაწუნებული ბეტონის მოცილება;
- 8) საკომუნიკაციო სისტემა, რომელიც აკავშირებს ბეტონის დასხმის ადგილებს შე- საბამის ამრევ დანადგართან ან მოწყოდებელ მოწყობილობასთან;
- 9) შესასრულებელი მიღების ტესტებისთვის საჭირო მუშა-ხელი, იარაღები და მო- წყობილობა;
- 10) მასალათა ნიმუშების მომარაგება და ყველა სახის სამუშაოები, რომელთა ჩატა- რება აუცილებელია ცდებისთვის, მათ შორის ტრანსპორტირება საცდელ ლაბო- რატორიაში.

ყველა ტიპის სამუშაო, როგორიცაა ყალიბების მოშორება და ბეტონის შეკეთება და მოკეთება, უნდა დამთავრდეს ბეტონის დაგების შემდეგ მაქსიმალურად სწრაფად. ბეტო- ნირება არ დაექვემდებარება ანაზღაურებას, ვიდრე ყველა დაკავშირებული სამუშაო არ იქნება დასრულებული და მიღებული ინჟინრის მიერ.

ანაზღაურის ოდენობის განსაზღვრა და ანაზღაურება ყალიბებისთვის განხილული იქნება ამ სპეციფიკაციების სხვა თავისში.

ა - გვირაბების ბეტონის მოსახვა

გვირაბების და გალერეების და მისახლელი შტოლნის მოსახვისთვის გამოყენებული ბეტონისთვის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრა მოხდება ბეტონის ფაქტიური ოდენობით ან ინჟინრის მითითების შესაბამისად. ბეტონის მოცულობა იანგარიშება როგორც განივი კვეთის საშუალო ფართობი, რომელიც ორ მიმდებარე სექციებს შორის მდგბარეობს, გამრავლებული ამ სექციებს შორის მანძილზე.

ანაზღაურება განხორციელდება განფასებების ცხრილში ერთეული კუბურ მეტრისთვის მოცემული ერთეული ფასის მიხედვით.

ბ - ბეტონის ჩასხმა მიწისქეშა თხრილებში

როდესაც ბეტონის ჩასხმა ხდება ინჟინრის მითითებით, ანაზღაურება მოხდება თეორიულ საზს ზემოთ დაგებული ბეტონისთვის, როგორც გეოლოგიურად მიღებული რდგვევის ადგილის ან ინჟინრის მიერ მითითებული დამატებითი თხრილის ამოვსება.

ერთეული ფასები უნდა გავრცელდეს გეოლოგიურად მიღებულ ნაპრალებში და ინჟინრის მიერ მითითებულ დამატებით თხრილებში შესაბამისი კლასის ბეტონის ჩასხმაზე შემდეგი სახით:

- 1) ბეტონი, რომლის ჩასხმა ხორციელდება ერთდროულად გვირაბის კონსტრუქციული მოპირკეთების ბეტონთან ერთად, ანაზღაურდება, კონსტრუქციული მოსაპირკეთებელი ბეტონის ერთეული ფასებით;
- 2) ბეტონი, რომლის ჩასხმა გვირაბის კონსტრუქციული მოპირკეთების ბეტონისგან განცალკევებით ხდება, ანაზღაურდება აღმოჩენილი ნაპრალების შემაგრებელი ბეტონის ერთი კუბური მეტრისთვის ცხრილში მოცემული ერთეული ფასით.

გ - გამონაკლისები - ბეტონი

ანაზღაურების დამატებით დაანგარიშებას და ანაზღაურებას არ ექნება ადგილი შემდეგისთვის:

- 1) ნებისმიერი მომრგვალებული ან ჩამოჭრილი კიდეები, კუთხის ნაკერები, ანაგლეჯები, დიაგონალური ნაკერები, ან ნებისმიერი გამოქვითვა, რომლებიც გაკეთებულია სიცარიელეების ან ჩატანებული საგნების გამო, რომელთა მოცულობა არ აღმატება 0.10 m^3 -ს ან განივ კვეთში - 0.05 m^2 -ს. მხედველობაში არ იქნება მიღებული დამტკიცებული, დროებითი დიოები, სადრენაჟო დარები, ჩატანებული მიღები ან ამონაღებები, რომელიც კონტრაქტორის მიერ შექმნილია საკუთარი მოხერხებულობისათვის მშენებლობის დროს, იმის უზრუნველყოფით, რომ ისინი შევსებულია მითითების შესაბამისად;
- 2) ნებისმიერი ფილტრაციული და კლდის ზედაპირებიდან შემდინარე წყლების შეგროვება და მათი მიმართვა სადრენაჟო სისტემაში, როგორც ეს იყო მითითებული წინა თავებში;
- 3) ნებისმიერი წუნიანი ან ფუჭი ბეტონი; ბეტონი, რომლის გატანა ან შეცვლაა საჭირო კონტრაქტორის მიერ სპეციფიკაციების ან ინჟინრის მითითებების შესაფერისად შეუსრულებლობის გამო. ყველა დაკაგშირებული ხარჯი კონტრაქტორმა უნდა იღოს საკუთარ თავზე;

ჟინგალპების გამყვანი გვირაბი

ჟინგალპების გამყვანი გვირაბის რეაბილიტაცია

სატენდერო დოკუმენტაცია

- 4) ნებისმიერი ბეტონი, რომელსაც კონტრაქტორი დააგებს ან გამოიყენებს საკუთარი დანადგარებისთვის ან საკუთარი მოხერხებულობისთვის;
- 5) ბეტონის და პლასტიფიკატორების გადატუმბვა;
- 6) ბეტონის დაგების გასაადვილებლად გამოყენებული ნებისმიერი მილი ან მასალა.

დ - ტესტები

ყველა ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია ტესტებთან, როგორც ეს ამ თავშია აღწერილი, დაიფარება კონტრაქტორის მიერ, რომელმაც ეს ხარჯები უნდა გაითვალისწინოს ბეტონის სამუშაოების "ერთეულ ფასებში". მათში უნდა შედიოდეს ქვემოთ მოცემული სამუშაოები (და არამხოლოდ):

- 1) ხარჯები ყველა ტესტისა, რომლებიც უნდა შესრულდეს ბეტონის სამუშაოების დაწყების წინ - ობიექტზე თუ სადმე სხვაგან;
- 2) ხარისხის საკონტროლო ტესტები კონტრაქტორის მიერ ბეტონის სამუშაოების შესრულების განმავლობაში, როგორც ეს მოცემულია ქვემოთ და როგორც მითითებულია;
- 3) სხვა ტესტები, რომელიც საჭირო მუშაობის მსვლელობისას და უნდა განხორციელდეს დამოწმებული საცდელი ლაბორატორიების მიერ;

ნიმუშების მომზადება, შენახვა, გადატანა, გამყარება და მიტანა ინჟინრის მიერ განსაზღვრულ ლაბორატორიაში, თუკი დამატებითი დამოუკიდებელი სინჯების გაკეთების აუცილებლობა წამოიჭრება.

იმ შემთხვევაში, თუ კონტრაქტორი ვერ შეძლებს თავისი ტესტირების პროგრამის განხორციელებას, ყველა ტესტს, რომელსაც ინჟინერი ჩათვლის საჭიროდ ბეტონის სამუშაოების შესამოწმებლად განხორციელდება ინჟინრის ან მის მიერ ამორჩეული ლაბორატორიის მიერ, კონტრაქტორის ხარჯებით.

8 შალიბი

8.1 სამუშაოს მოცულობა

ამ თავში განხილული სამუშაო მოიცავს ყველა მუშახელის, დანადგარის და მასალის მოწოდებას და ყველა სახის სამუშაოს ჩატარებას, რომელიც საჭიროა: სამუშებლო ნახაზებში ნაჩვენები ან ინჟინრის მიერ განსაზღვრული ბეტონის კონსტრუქციების ფორმირებისთვის საჭირო ყალიბების და ხარაბოების პროექტირებისთვის, დამზადებისთვის, მომარაგებისთვის, მოწყობისთვის, ტექ. მომსახურებისთვის და დაშლისთვის.

ჟინგალპესის გამყვანი გვირაბი
ჟინგალპესის გამყვანი გვირაბის რეაბილიტაცია
სატენდერო დოკუმენტაცია

8.2 განსაზღვრებები

სიზუსტისათვის, ტერმინები, რომლებიც ამ თავშია გამოყენებული, შემდეგანირად არის განმარტებული:

- ა) "ფორმები" ან "ყალიბი" ნიშნავს ფორმას, რომელშიც ისხმება ბეტონი;
- ბ) "ხარაჩო", ან "საყრდენი" ნიშნავს ფორმების კონსტრუქციულ საყრდენებსა და სამაგრებს, რომლებიც მუშაობის ნებისმიერ ნაწილში გამოიყენება;
- გ) "მრუდხაზოვანი ფორმები" ნიშნავს ნებისმიერ ფორმას, რომელსაც არა აქვს ბრტყელი ზედაპირი და მრუდე ფორმების საზღვრები არ უნდა ვრცელდებოდეს ბრტყელი ზედაპირის გადაკვეთის ან მხები ხაზების იქით.

8.3 წარსადგენი დოკუმენტები

ადგილზე ნებისმიერი სახის ბეტონის სამუშაოების დაწყებამდე 5 დღით ადრე, კონტრაქტორმა უნდა წარუდგინოს ინჟინერს ყველა საჭირო მასალის მონაცემები, რომელიც საჭიროა ყალიბებისა და ზედაპირის მოკეთებისათვის, ასევე უნდა წარადგინოს იმ სამშენებლო ტექნიკის მონაცემები, რომლის გამოყენებასაც იგი ოვლის მიზანშეწონილად, რათა მიიღოს ბეტონის სასურველი ზედაპირი დასაშვები ცდომილებებით.

ინჟინრის მიერ კონტრაქტორის ნახაზებისა და ანგარიშების შემოწმება არ ათავისუფლებს ამ უკანასკნელს, ფორმებისა და ხარაჩოების შესაბამისობის, ან პერსონალისა და ქონების უსაფრთხოების ან სამუშაოს წარმატებით დასრულების პასუხისმგებლობისაგან.

8.4 მასალები

ფორმების შემოსვისათვის და მოკეთებისათვის გამოიყენება მასალები, როგორიცაა: ხე, ფოლადი, ფანერა ან ბოჭკოვანი მინა. ყველა მასალა, რომელიც გამოიყენება ყალიბის შესაქმნელად, უნდა იყოს შესაბამისი სიმტკიცის და ხარისხის და ინჟინრისათვის მისაღები.

ხის მასალა უნდა იყოს მყარი, სწორი, არ უნდა იყოს დეფორმირებული, დამპალი ან დაკორძილი; ზედაპირი უნდა იყოს სუფთად გაშალაშინებული. გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მთავარი ინჟინრის თანხმობაა მიღებული, ხის მასალა, რომელიც გამოიყენება სამშენებლო მოედანზე ფორმებისათვის, საყრდნეებისთვის და სამაგრებისთვის, ახალი უნდა იყოს.

ფოლადის ან ფოლადის მოსახვიანი ფორმების ზედაპირი გლუვი უნდა იყოს. ფორმები, რომელთაც დრმულებიანი ან დაბრეცილი ზედაპირი აქვთ, ან სხვა უსწორმასწორობა ახასიათებთ, არ უნდა იქნას გამოყენებული

უხეშად და უსწორმასწოროდ დამუშავებული ყალიბი შეიძლება გამოყევებულ იქნებოდებოდების მოპირკეთების შემთხვევაში (F1).

ჟინგალპების გამყვანი გვირაბი

ჟინგალპების გამყვანი გვირაბის რეაბილიტაცია

სატენდერო დოკუმენტაცია

ფორმების ხელმეორედ გამოყენება დასაშვები იქნება, თუ ისინი გულდასმით გაიწმინდება და შეკეთდება და ექნებათ უნარი ბეტონისთვის საჭირო მოსახვის შექმნისა. ლითონის საკერძებელით აღდგენილი ხის და ფანერის ფორმები არ უნდა იქნას გამოყენებული.

დაზიანებული ფორმები, რომლებიც გაფუჭდა, არ უნდა იქნას გამოყენებული.

სადაც ამის საჭიროებაა, ყალიბზე დამაგრებული ნაჭიმი ლითონი გამოყენებული უნდა იქნას ვერტიკალურ კონსტრუქციულ ნაკერებში.

8.5 ფორმების შემოსაკრავები

ინჟინერმა უნდა განსაზღვროს, თუ რა რაოდენობის, როგორი სახის ყალიბების საყრდენები და შემოსაკრავები უნდა გამოვიყენოთ და სად. ფორმაში ჩასაყოლებელი ან სხვა მუდმივად ჩასატანებელი საგნები ფრთხილად უნდა ჩაიდოს და საიმედოდ დამაგრდეს ადგილზე. ფორმების შემოსაკრავების და ჭანჭიკების რაოდენობა და მდებარეობა ისეთი უნდა იყოს, რომ უზრუნველყოს ფორმების მტკიცედ დამაგრება ადრე დაგებულ ბეტონზე ფენაზე და სამუშაოების პერიოდში მჭიდრო კონტაქტი.

ეს ყალიბების შემოსაკრავები და სამაგრები ან მათი ნაწილი უნდა მოიხსნას ისე, რომ არ დააზიანონ ბეტონი და ჩატანებული ნაწილი არ დარჩეს ბეტონის ზედაპირთან უფრო ახლოს ვიდრე ეს არმატურის საფარისთვისაა გათვალისწინებული, ხოლო არარმირებული ბეტონის შემთხვევაში 50 მმ-ზე ახლოს. დასაშვებია ყალიბების მხოლოდ ლითონის საყრდენებისა და შემოსაკრავების ადგილზე დატოვება.

ნახვეტები, რომლებიც რჩება საყრდენების და შემოსაკრავების მოხსნის შემდეგ, უნდა ამოვსოს, როგორც ეს ნაჩვენებია თავში "ბეტონი - დაზიანებული ბეტონის რემონტი" და გულდასმით მოისახოს ბეტონის ზედაპირის სტანდარტული ასეთი შენავსები სათანა-დოდ უნდა დაყოვნდეს.

8.6 პროექტი

ერთადერთი პასუხისმგებელი პირი კონტაქტორია, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ნები-სმიერი სახის ყალიბებისა და ხარაჩოების შესაბამისი პროექტირება, კონსტრუირება და მომსახურება. ფორმები ისე უნდა იყოს დაპროექტებული, რომ ბეტონი შეძლებისდაგვარად ახლოს დაისხას მის საბოლოო პოზიციასთან და დაყოვნების გარეშე იყოს შესაძლებელი ყალიბის და არმატურის დათვალიერება და სისუფთავის შემოწმება.

ყალიბი და ხარაჩო უნდა დაპროექტდეს, დამზადდეს, დამონტაჟდეს და მოიხსნას ბეტონის ფორმის მიღებული სტანდარტების შესაბამისად და ბეტონის ფორმის პრაკტიკული რეკომენდაციების გამოყენებით.

ყველა ხარაჩო ისე უნდა დაპროექტდეს, რომ უსაფრთხოდ გაუძლოს როგორც ცოცხალი ტვირთის, ასევე ტექნიკის სიმძიმეს, რომლის ზემოქმედების ქვეშაც ის შეიძლება მო-ექცეს მშენებლობის, მომსახურებისა და მოხსნის ყველა ეტაპზე.

ჟინგალპესის გამყვანი გვირაბი

ჟინგალპესის გამყვანი გვირაბის რეაბილიტაცია

სატენდერო დოკუმენტაცია

საყრდენებისა და ყალიბების დეტალური ნახაზები კონტრაქტორის მიერ უნდა მომზადდეს. ანგარიშებსა და ნახაზებში ნათლად უნდა ჩანდეს ყალიბის ზომა და სპეციფიკაცია, ასევე ყველა გამოყენებული მასალის ტიპი.

8.7 ყალიბების მოწყობა

ყალიბების და ხარაჩოების მშენებლობა მხოლოდ ინჟინრის მიერ ყალიბების ნახაზების მიღების შემდეგ უნდა მოხდეს.

კონტრაქტორმა ხარაჩოები უნდა მოაწყოს დამტკიცებულ ყალიბის ნახაზებთან მკაცრი შესაბამისობით, რომლის ერთი კომპლექტი ყოველთვის უნდა იყოს სამშენებლო მოედანზე. დაუშვებელია ნებისმიერი სახის ცელილებებია ინჟინრის მიერ წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

ყალიბი ისე უნდა მოეწყოს და შენარჩუნდეს, რომ ბეტონი შეიკრას დუღაბის დაკარგვის გარეშე და მივიღოთ მოთხოვნილი მოკეთებული ზედაპირი. ფორმები ისე უნდა დამზადდეს, რომ ისინი აკმაყოფილებდნენ განსაზღვრულ ცდომილების ნორმებს და დასრულებული ბეტონის ზედაპირიც დასაშვებ საზღვრებში დარჩეს.

ნებისმიერი ფორმა, რომლებიც ინჟინრის აზრით, სახიფათოა ან მიუღებელია რაიმე მიზეზით, შეიძლება დაწუნებული იქნას ნებისმიერ დროს; კონტრაქტორმა სასწრაფოდ უნდა მოხსნას დაწუნებული ფორმები მუშაობიდან და შეცვალოს ისინი.

ფორმებმა დაქანებული ბეტონის ზედაპირისათვის საშუალება უნდა მოგვცენ ისინი ფილაფილაზე ან პანელი-პალელზე დავაწყოთ ბეტონის ჩასხმის წინ იმგვარად, რომ შესაძლებელი გახდეს მიღწევა ბეტონის დასაგებად, ვიბრაციითვის და შემოწმებისთვის.

ყველა ფორმის ზედაპირები მოწყობამდე საფუძვლიანად უნდა გაიწმინდოს და უნდა გაიპოხოს მინერალური საცხიო, რომელიც ლაქებს არ ტოვებს. ბეტონირებამდე ფორმები უნდა გაიწმინდოს ზედმეტი საცხისაგან. დაუშვებელია საცხის არმატურასთან ან სხვა ჩატანებულ საგნებთან კონტაქტში შესვლა.

უშუალოდ ბეტონის ჩასხმის წინ ყველა ფორმა უნდა შემოწმდეს იმისათვის, რომ დაკრწმუნდეთ, რომ ისინი სწორედ არიან განთავსებულნი, გააჩნიათ საკმარისი სიმყარე, სისუფთავე, კარგი შეკრულია, ზედაპირი სწორედ არის დამუშავებული და ზედმეტი საცხიც მოშორებულია და თავისუფალია სხვა უცხო მასალებისგან. დაუშვებელია ბეტონის ჩასხმა ყალიბში, ვიდრე მას არ შეამოწმებს და მიიღებს ინჟინერი.

ყალიბი საკეტის კილოებისთვის ფრთხილად უნდა გაიბურდოს, რათა დამაგრდეს პირველი ეტაპის ანკერული სამაგრებით/ფილებით, რომლებიც ჩატანებული უნდა იქნას პირველად (ან მირითად) ბეტონში. ორივე უნდა დამაგრდეს ყალიბის გამჭოლად ანკერულ სამაგრებზე/ ფილებზე ისე, რომ სამაგრები ერთ დონეზე დარჩეს მირითადი ბეტონის ზედაპირთან და სამაგრები არ დაიგმანოს.

ჟინგალპესის გამყვანი გვირაბი
ჟინგალპესის გამყვანი გვირაბის რეაბილიტაცია
სატენდერო დოკუმენტაცია

8.8 გვირაბის ყალიბი

ფოლადით მოსახული ფორმები უნდა იქნას გამოყენებული, რათა მივიღოთ F3C მოსახვა, რომელიც მოთხოვნილია პიდრავლიკური გვირაბების მოსახვის ზედაპირისთვის. ფორმებში უნდა მოეწყოს განიერი ფანჯრები შესაფერისი დაშორებით და ადგილებში, რომ შევძლოთ ვიბრატორების გამოყენება, ინსპექციის განხორციელება და ნებისმიერი სხვა სამუშაოს ჩატარება ფორმის უკან.

ყალიბმა უნდა მოგვცეს მთელს ზედაპირზე ბეტონის უწყვეტად ჩასხმის საშუალება. ის უნდა იყოს მყარი კონსტრუქციის, არადეფორმირებადი სამუშაო ტვირთების ზემოქმედების შედეგად. ადგილზე მოთავსების შემდეგ ბეტონის ჩასხმის განმავლობაში ფორმამ ის უნდა შეინარჩუნოს გადაადგილების გარეშე.

ყალიბი ისე უნდა იყოს გაკეთებული, რომ ვერტიკალურ კონსტრუქციულ ნაკერებში არ წარმოიქმნას მკვეთრი უსწორმასწორებები. ყალიბში არსებულმა ნაკერმა უნდა გადაფაროს ვერტიკალური კონსტრუქციული ნაკერი მინიმუმ 500 მმ-ით და ყალიბის ერთი ელემენტი დაკავშირებული რჩება დასხმულ ბეტონთან მაშინ, როცა სხვა ელემენტები იხსება და ეწყობა დაბეტონების შემდგომი ეტაპებისთვის.

8.9 მოსახული ბეტონის ცდომილებები

ფორმები ისე უნდა იყოს კონსტრუირებული, რომ მოსახული ბეტონის ზედაპირებს პქნდეთ ზედაპირის ერთგვარვანი სტრუქტურა, რომელიც შეესაბამება თავში "ბეტონი" მოცემულ მოსახვის ტიპებს.

8.10 ყალიბის მოშორება

ფორმების მოშორება უნდა განხორციელდეს დიდი ყურადღებით და შეძლებისდაგვარად სწრაფად, რათა თავიდან ავიცილოთ ბეტონის დაზიანება და დაუყოვნებლად მოხდეს მისი გამყარება და ზედაპირული ხარვეზების შესწორება. ფორმების მოხსნა ხდება მხოლოდ ინჟინრის თანხმობით.

ფორმები არ უნდა მოიხსნას მანამ, სანამ ბეტონი საბმარის სიმაგრეს არ მიაღწევს, რაც თავიდან აგვაცილებს ბეტონის დაზიანებას. დაზიანებული ბეტონის აღდგენა ან დამუშავება კონტრაქტორმა დაუყონებლივ უნდა დაიწყოს, მაგრამ არა მანამ, სანამ ინჟინერი არ ნახავს ამ დაზიანებას და არ მისცემს თანხმობას სარემონტო სამუშაოების წარმოების თაობაზე.

ბეტონის დასხმის დასრულებასა და ფორმების მოხსნას შორის დროის ხანგრძლივობა განისაზღვრება მიღებული სტანდარტების მიხედვით, მაგრამ გვირაბის მოსახვის შემთხვევაში 12 საათზე ნაკლები არ უნდა იყოს არავითარ შემთხვევაში.

მინიმალური პერიოდები, რომელიც ზემოთ არის ნაჩვენები, მხოლოდ საჩვენებელია. ძირითადი ნორმა, რომელიც დაცული უნდა იქნას, არის 28-ე დღისთვის კუმშვისადმი წინაღობა, რომელიც უნდა განისაზღვროს კუბის ან ცილინდრის ტესტით, დამატებით იმ

ჟინგალპესის გამყვანი გვირაბი

ჟინგალპესის გამყვანი გვირაბის რეაბილიტაცია
სატენდერო დოკუმენტაცია

ტესტებისა, რომლებიც აღწერილია თავში “ბეტონის ტესტირება სამუშაოს შესრულების განმავლობაში”. როდესაც ხდება ყალიბის მოცილებისთვის მინიმალური პერიოდის დადგენა, გათვალისწინებული უნდა იქნას ბეტონის შეკლება და ცოცვადობა.

მიუხედავად ზემოთ თქმულისა ან ინჟინრის თანხმობისა, კონტრაქტორს ეკისრება სრული პასუხისმგებლობა მასზედ, რომ უზრუნველყოს ყალიბის მოხსნის იმდენი დროით დაყოვნება, რომელიც საკმარისი იქნება ბეტონის შესაფერისი სიმტკიცის მისაღებად.

ფორმები ისე უნდა მოშორდეს, რომ თავიდან ავიცილოთ დაბზარვა, ატკეზვა, აშრევება, კიდეების ან ზედაპირის ჩამოტეხვა ან სხვა სახის დაზიანება. თუ საჭიროა ხის სოლის გამოყენება, ბეტონისათვის მხოლოდ ხის სოლი უნდა იქნას გამოყენებული. დაზიანებული ბეტონი უნდა გარემონტდეს კონტრაქტორის მიერ რაც შეიძლება სწრაფად, მაგრამ არა მანამ, სანამ მთავარი ინჟინერი არ ნახავს დაზიანებას და დათანხმდება აღდგენითი სამუშაოების ჩატარებაზე.

8.11 გაანგარიშება და ანაზღაურება

ყალიბებისთვის ანაზღაურების დაანგარიშება მოხდება ყალიბით მოცული ფართის და სამშენებლო ნახაზებზე ნაჩვენები მოსახვის კლასის მიხედვით.

ანაზღაურება მოხდება ფასების ცხრილში ბრტყელი და მრუდი ყალიბების ზედაპირების კვადრატული მეტრისთვის მოცემული ერთეული ფასებით, რომელმაც უნდა მოიცავს პროექტირების, მომარაგების, მომსახურების, გაპოხვის, მონტაჟის, ყველა საჭირო კავისა და სამაგრის, მისასვლელი ხარახოების, შიდა ან გარე 500 მმ²-ზე უფრო მდგრადებების და 50 მმ-ზე სიგანის კიდეების ფორმირების სრული ღირებულება.

ფორმებში მოწყობილი დიობები და ჩაღრმავებები, რომელთა ფართი 0.05 მმ²-ზე ნაკლებია, არ გამოაკლდება ანაზღაურებისთვის გაანგარიშებულ საერთო ფართს.

ანაზღაურების გაანგარიშება ყალიბებისთვის, რომლებიც გამოიყენება ტემპერატურული ჯდომის და დეფორმაციული ნაკერებისთვის, განხორციელდება სამშენებლო ნახაზებზი ნაჩვენები ნაკერების ფართის კვადრატული მეტრებით. დამატებითი ანაზღაურება არ მოხდება სამშენებლო ნახაზებზი ნაჩვენები ბუდეებისთვის ან ნაკერებისთვის, რომლებსაც კონტრაქტორი უმატებს თავისი მოხერხებულობისთვის.

დამატებითი გაანგარიშება ანაზღაურებისთვის ან ანაზღაურება არ მოხდება შემდეგისთვის:

- 1) ნებისმიერი სახის კონსტრუქციული ნაკერები;
- 2) უყალიბო ზედაპირები;
- 3) მოსაპირკეთებელი ფილები, მოწყობილი სრიალა ყალიბებით და პლინთუსები;
- 4) ნებისმიერი ფორმები, რომლებიც უარყო ინჟინერმა და მათი შეცვლა;
- 5) ნებისმიერი სახის დაზიანება, რომელიც ფორმის მოხსნისას კონტრაქტორის უყურადღებობით მოხდა.

ეს ხარჯები შეტანილი უნდა იქნას ბეტონის ან ყალიბის შესაბამის ერთეულ ფასში.

9 არმატურის ზოლადი

9.1 სამუშაოების მოცულობა

კონტრაქტორმა უნდა მოაწოდოს, შეკრას და დაამონტაჟოს არმატურის ფოლადი, როგორც ეს არის ნაჩვენები არმირების ნახაზებში და ინჟინერის სამშენებლო ნახაზების საფუძველზე მომზადებულ დეროების ცხრილში. სამუშაოებმა დამატებით უნდა მოიცვან ყველა სახის ფოლადის მოსაჭერი მავთულების, კლიფსების, საყრდენების, საკიდელების, გამყოფების, ქუროების და სხვა დამხმარე საშუალებების მოწოდება და დამონტაჟება, რომლებიც საჭიროა მოსახული ბეტონის კონსტრუქციების მშენებლობისთვის.

9.2 სტანდარტები

ჭრა, მოღუნვა, გასუფთავება, დაგება და ადგილზე დამაგრება უნდა აკმაყოფილებდეს ASTM სტანდარტებს.

ცდომილებები არამტურის მოწყობისა და ადგილზე დამაგრებისას უნდა შეესაბამებოდეს ASTM სტანდარტებს.

იმ შემთხვევაში, თუ წამოიჭრება წინააღმდეგობა ზემოთ ნახსენებ სტანდარტებსა და ქვემოთ მოცემულ სპეციფიკაციებს შორის, უპირატესობა სპეციფიკაციებს უნდა მიენიჭოს.

9.3 წარსადგენი დოკუმენტები

სამუშაოების დაწყების შესახებ შეტყობინებიდან 5 დღის მანძილზე, მაგრამ მოწყობილობების სამუშაო მოედანზე მოწოდებისა და მობილიზაციამდე, კონტრაქტორმა უნდა წარუდგინოს ინჟინერს არმირების ფოლადის წარმოებისთვის შემოთავაზებული მოწყობილობის სრულყოფილი და დეტალური გეგმები და აღწერილობა, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს მის წინადაღებაში წარდგენილს და ინჟინერსა და კონტრაქტორს შორის მოგვიანებით შეთანხმებულ შესწორებებსა და დამატებებს.

ობიექტზე ბეტონის სამუშაოების დაწყებამდე მინიმუმ 5 დღით ადრე, კონტრაქტორმა უნდა წარუდგინოს ინჟინერს მონაცემები არმატურის ფოლადსა და მისი ობიექტზე შენახვის პირობების შესახებ.

9.4 მასალები

ყველა გლუვი არმატურის დერო უნდა იყოს რბილი ფოლადის და საშუალო გაჭიმვისადმი წინაღობის მქონე ან ისეთი, როგორსაც მოითხოვს ინჟინერი.

ჟინგალპესის გამყვანი გვირაბი

ჟინგალპესის გამყვანი გვირაბის რეაბილიტაცია

სატენდერო დოკუმენტაცია

არმატურის ფოლადის შესაკრავი მავთულები უნდა იყოს დამზადებული შავი გამოწროვი ბილი რკინისაგან ან სხვა მისაღები ტოლფასი ტიპის, რომლის დიამეტრი 1.6 მმ-ზე ნაკლები არ უნდა იყოს.

9.5 ტესტირება

არმატურის ფოლადს თან უნდა ახლდეს ქარხნის სერტიფიკატი, და ინჟინრის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა შემოწმდეს მისაღებ ლაბორატორიაში.

9.6 შენახვა

არმატურის ფოლადი უნდა შეინახოს მიწის ზემოთ, ცალ-ცალკე კომპლექტებად, ზომისა და სიგრძის მიხედვით. არმატურის ფოლადი, რომლის დაჭრა ან გაღუნვა განხორციელდა ინჟინრის მიერ დამოწმებული ნახაზების თანახმად, უნდა მოინიშნოს ნახაზში მოცემული დეროს ნომრით წყალგამძლე იარლიფის საშუალებით ან ჩაიდოს მონიშნულ სათავსოში და ისე უნდა იქნას შენახული, რომ საჭიროების შემთხვევაში ადვილი იყოს მისი გამოყენება ან შემოწმება.

9.7 დამზადება

კონტრაქტორმა უნდა დაჭრას და გაღუნოს არმატურის ფოლადი მის მიერ მოწოდებული და ინჟინრის მიერ დამოწმებული დეროების ცხრილის შესაბამისად.

არმატურა უნდა დაიჭრას და გაიღუნოს სამუშაოების ობიექტზე ან მწარმოებლის ქარხანაში ASTM-ის სტანდარტების შესაბამისი წესით. მიუხედავად ზემოთქმულისა, დეროების საღუნი მანქანა და არმატურის ფოლადის საკმაო მარაგი უნდა იყოს სამშენებლო მოედანზე, რათა შესაძლებელი იყოს შესწორებების და დამატებების გაკეთება ინჟინრის მოთხოვნის შესაბამისად.

დეროების გაღუნვა უნდა ხდებოდეს ცივი მეთოდით 5°C -ზე მეტ ტემპერატურაზე. მოღუნვა ამაზე დაბალ ტემპერატურაზე ან ცხლად მოღუნვა დასაშვები იქნება მხოლოდ მაშინ, როცა მიღებული იქნება ფოლადის მწარმოებლის მიერ გამოცემული ინსტრუქციების შესაბამისი წინასწარი ზომები.

არმატურის ფოლადის ხელახლი გასწორება ან ხელახლი გაღუნვა ისე უნდა მოხდეს, რომ მან არ დააზიანოს მასაღები. დაუშვებელია დროებითი გაღუნვა და შემდგომი გასწორება იმ დეროებისა, რომლებიც ნაწილობრივ ბეტონში არიან ჩამაგრებული, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს მითითებულია სამშენებლო ნახაზებზე ან ინჟინრის მიერ წერილობითი თანხმობაა გაცემული. დეროები, რომლებსაც ნახაზებზე მიუთითებული ჩამონატებები და უსწორმასწორო ზედაპირი აქვთ, არ შეიძლება იქნას გამოყენებული

არმირების დეროები, განსხვავებით შემაერთებელი დეროებისგან, არ უნდა შეიკრას იმ ადგილებში, რომლებიც არ არის ნაჩვენები სამშენებლო ნახაზებზე, თუ არ იქნება ინჟინრის თანხმობა. იმ შემთხვევაში, როცა საჭირო ხდება ამ შეერთების ადგილების შე-

ჟინგალპების გამყვანი გვირაბი

ჟინგალპების გამყვანი გვირაბის რეაბილიტაცია

სატენდერო დოკუმენტაცია

ცვლა, შეერთების ადგილის ახალი მდებარეობა და ტიპი მოითხოვს ინჟინრის დამოწმებას.

კონტრაქტორს არა აქვს უფლება, რაიმე საგანი დაადუღოს არმატურის ფოლადს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არის ინჟინრის თანხმობა და იგი მთლიანად შეესაბამება მიღებულ პროცედურებს.

არმატურის დეროები, რომლებიც ამოღებულია დაწუნებული ბეტონის კონსტრუქციებიდან, არ უნდა იქნას გამოყენებული ინჟინრის წინასწარი თანხმობის გარეშე.

9.8 მონტაჟი

ადგილზე მონტაჟამდე, არმატურის ფოლადი საფუძვლიანად უნდა გაიწმინდოს ზედაპირული ქარხნული ნაფქვენისაგან და ჟანგისაგან, ცხიმის, საღებავის და სხვა ზედაპირული ნაფქვენისაგან, რომელიც ხელს შეუშლის შეჭიდებას. არმატურის ფოლადზე დაღვრილი და გამხმარი ბეტონი უნდა მოშორდეს.

არმატურის ფოლადი, რომელიც გარკვეულ სამუშაოში გამოიყენება, უნდა განთავსდეს ზუსტად ნახაზზე მინიშნებულ ადგილებში და მტკიცედ უნდა დამაგრდეს ბეტონის ჩასხმისა და გამყარების დროს.

არმატურის ფოლადი უნდა დამაგრდეს ადგილზე პატარა ბეტონის ბლოკების მეშვეობით, ფოლადის გამყოფებით, ფოლადის საკიდებით, და სხვა ლითონის სამაგრებითა და საჭერებით, რომლებსაც მისაღებად მიიჩნევს პასუხისმგებელი ინჟინერი. არ შეიძლება ხის სამაგრების და გამანაწილებლების გამოყენება. ყველა გადაკვეთა საიმედოდ უნდა შეიკრას, გარდა იმ შემთხვევებისა, სადაც დეროებს შორის ინტერვალი 300 მმ-ზე ნაკლებია ყველა მიმართულებით. ამ შემთხვევაში, გადაკვეთები უნდა შეიკრას ერთის გამოტოვებით.

შესაკვრელი მავთული და ფოლადის სამაგრები არ უნდა განთავსდეს მუდმივად ჰაერის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ზედაპირებზე და უნდა დაექვემდებაროს იგივე მოთხოვნებს, რომლებიც მიღებულია ბეტონის საფარისათვის არმატურის ფოლადის შემთხვევაში.

არმატურის საფარი უნდა იყოს ისეთი, როგორიც ნახაზებზეა მოცემული.

ყველა არმატურა უნდა შემოწმდეს ადგილზე და დამოწმდეს ინჟინრის მიერ, ბეტონის დასხმის წინ. ბეტონი, რომლის დასხმაც მოხდება ამ წესების დარღვევით, შეიძლება დაწუნებული იქნას და საჭირო გახდეს მისი მოშორება.

9.9 ცდომილებები არმატურის მონტაჟის დროს

თუ არ არის ინჟინრის სპეციალური მითითება ან ნახაზებში სხვაგვარად არ არის ნაჩვენები, არმატურის დაგებისას დასაშვებია შემდეგი ცდომილებები:

1) დამცავი საფარი;

50 მმ-მდე საფარისათვის ± 6 მმ

ჟინგალპესის გამყვანი გვირაბი

ჟინგალპესის გამყვანი გვირაბის რეაბილიტაცია

სატენდერო დოკუმენტაცია

75 მმ-მდე და მეტი საფარისათვის \pm 12 მმ ან განსაზღვრული საფარის 1/3, რომელიც უფრო პატარაა;

2) ინტერგალი

200 მმ ან ნაკლები საანგარიშო სიღრმისათვის	\pm 10 მმ
---	-------------

200 მმ და 2000 მმ-ს შორის საანგარიშო სიღრმისათვის	\pm 15 მმ
---	-------------

2000 მმ-ზე მეტი საანგარიშო სიღრმისათვის	\pm 25 მმ
---	-------------

9.10 გაანგარიშება და ანაზღაურება

ა – გაანგარიშებები

არმატურის დეროებისთვის ანაზღაურების გაანგარიშებისას გამოიყენება არმატურის ფოლადის წონის ფასი, რომელშიც ასევე შედის შემაერთებლებიც, როგორც ეს მოცემული იქნება სამუშაოს მსვლელობისას კონტრაქტორის მიერ წარმოდგენილ დეროების ცხრილში. დეროების ცხრილში შეტანილი წონა გაანგარიშდება ერთი გრძივი მეტრი სხვადასხვა დიამეტრის ძელების წონის გამოყენებით, რომელიც დაფუძნებულია 7,850 ქშ/მ³ ერთეულ წონაზე.

ბ – ანაზღაურება

ანაზღაურება განხორციელდება ცხრილში შეტანილი ერთი მეტრული ტონის ერთეული ფასით, რომელშიც უნდა შევიდეს მიწოდების, შენახვის, ჭრის, მოღუნვის, მონტაჟის, მავთულის კლიფსების, საჭერების, სეპარატორების, კრონშტეინების, გამყოფი დეროების და სხვა სამაგრი მოწყობილობის მთლიანი ფასი.

დამატებითი გაანგარიშება ანაზღაურებისთვის ან ანაზღაურება არ მოხდება შემდეგისთვის:

- 1) არმატურის შემკვრელი მაგოული;
- 2) ნებისმიერი დამატებითი არმატურა ან შემაერთებელი, რომლის გამოყენებაც საჭირო ხდება, როდესაც კონტრაქტორის მიერ განხორციელებული ჩასხმის თანმიმდევრობა არ ემთხვევა სამშენებლო ნახევრებში ნაჩვენებ კონსტრუქციულ ნაკერებს;
- 3) ნებისმიერი არმატურის ფოლადი, რომელიც კონტრაქტორის მიერ საკუთარი მოხერხებულობისთვის იქნა გამოყენებული, დამატებით სამშენებლო ნახაზებში ნაჩვენებისა და დეროების ცხრილში შეტანილისა;
- 4) გამოყენებული არმატურის და სხვა მექანიკური ქუროების შედევება;
- 5) ნებისმიერი მიტანილი არმატურის ფოლადის და ფოლადის გასინჯვა.

10 ტორპორეტაციონი

10.1 სამუშაოთა აღწერილობა

ამ ნაწილით გათვალისწინებული სამუშაო მოიცავს: სამუშაო ძალას, მასალებს, მოწყობილობებსა და მომსახურებას, დაკავშირებულს ტორკეტბეტონის მოწყობასთან, რაც ამ კონტრაქტის ფარგლებში ევალება კონტრაქტორს. ტორკეტბეტონი უნდა დაისხას არსებული კლდის ან ბეტონის ზედაპირებზე, როგორც მიწისქვეშა, ასევე ზედაპირულ ნათხარებში, სამშენებლო ნახაზებზე ნაჩვენებ ან ინჟინრის მიერ მითითებულ და დამტკიცებულ ზონებში.

კონტრაქტორმა უნდა შეარჩიოს ნარევის შემადგენლობა, ადგილზე მიიტანოს მასალები, საჭიროებისამებრ დაასხას, გაამყაროს და გამოსცადოს ტორკეტბეტონი, რათა უზრუნველყოს აღნიშნული ზედაპირების დროებითი ან მუდმივი დაცვა, გამაგრება ან მოპორკეთება.

როდესაც გათვალისწინებულია ტორკეტბეტონის მუდმივი მოპირკეთების ან დაცვის სახით ჩასხმა, ამგვარი მოპირკეთების ისევე, როგორც ცალკეული ფენების სისქე, უნდა იყოს ისეთი, როგორც ეს სამშენებლო ნახაზებშია ნაჩვენები ან ინჟინრის მიერაა მითითებული.

კონტრაქტორმა უნდა შექმნას ტორკეტბეტონის მასალების სათანადო მარაგი საავარიო შემთხვევებში გამოსაყენებლად. ნებისმიერი ზარალი ან დაყოვნება, გამოწვეული ამგვარი მასალების დეფიციტით, მხოლოდ და მხოლოდ კონტრაქტორის პასუხისმგებლობის საგანი იქნება.

ტორკეტბეტონის დაგებისას გამოყენებული მასალები და მეთოდები უნდა შეესაბამებოდეს ASTM სტანდარტულ სპეციფიკაციას C 1436 ტორკეტბეტონის მასალებისათვის, C 1141 ტორკეტბეტონის მინარევებისათვის და სტანდარტულ წესებს C 1385 ტორკეტბეტონის მასალების სინჯების აღებისათვის.

კონტრაქტორმა უნდა მიაწოდოს აუცილებელი მოწყობილობები, მასალა და შრომითი რესურსები, რათა შესძლოს ინჟინრის მიერ მითითებულ და ამ კონტრაქტით გათვალისწინებულ დროში სამუშაოების შესრულება.

10.2 განსაზღვრებები

ტორკეტბეტონი განისაზღვრება, როგორც ცემენტის, შემავსებელის, წყლის და კატალიზატორების სათანადო პროპორციების ნარევი, შემავსებლის მაქსიმალური 10 მმ-ზე ნაკლები ზომით, საფრქვევი ნაცმიდან ზედაპირისკენ დიდი სიჩქარით მიმართული მასა პნევმატურად დაგებული ბეტონის ფენის მისაღებად. ტორკეტბეტონი შეიძლება იყოს სველი ან მშრალი ნარევი. ის გამოიყენება არსებული კლდის ზედაპირების დაცვისა და

ჟინგალპების გამყვანი გვირაბი

ჟინგალპების გამყვანი გვირაბის რეაბილიტაცია

სატენდერო დოკუმენტაცია

გამაგრებისათვის და სადაწეო გვირაბის შერჩეულ მონაკვეთებზე ახალი მოპირკეთების შესასრულებლად.

მშრალი არევის წესი: ცემენტი, შემავსებლები და კატალიზატორი, წონის ან მოცულობის მიხედვით დოზირებული, მშრალ (მტვრის წარმოქმნის თავიდან აცილების მიზნით საკმარისად ტენიან) მდგომარეობაში გულდასმით ერევა ერთმანეთს და იტვირთება საეციალურ დანადგარში, რომელშიც ხდება ნარევის პერმეტიზაცია, დოზირება მშრალი ჰაერის ნაკადში და მიღების ან შლანგების საშუალებით მიეწოდება საქმეებს, რომელშიც შედის წყლის შხეფები ნარევის დასასველებლად, რომელიც წყვეტის გარეშე ისხმება ადგილზე.

სველი არევის წესი: ყველა მასალა და წყალი, მაგრამ კატალიზატორების გარეშე, ერთმანეთს ერევა დუღაბის ან ბეტონის მისაღებად. ნარევი შემდეგ პოზიტიური მიწოდებით ან შეკუმშული ჰაერის საშუალებით გადადის საქმენში, სადაც ხდება ჰაერისა და, შესაძლებელია, კატალიზატორის შეყვანა, სიჩქარის გაზრდის მიზნით, და უწმვეტად ისხმება ადგილზე.

ფენა არის ტერმინი, რომელიც აღნიშნავს ტორკეტბეტონის ცალკეულ სისქეს, რომელიც იქმნება ნაცმის რამოდენიმეჯერ გატარებით და გამყარებით.

ანასხლეტი არის ტერმინი, რომელიც აღნიშნავს ყველა იმ მასალას, რომელიც საქმენში გავლის შემდეგ არ მაგრდება სამიზნე ზედაპირზე.

10.3 წარმოსადგენი დოკუმენტები

სამუშაოების დაწყების შესახებ განცხადების გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 5 დღისა დასამტკიცებლად წარმოდგენილი უნდა იქნას შემდეგი დოკუმენტები:

- 1) დაწვრილებითი ცნობები, რომელიც მოიცავს ტორკეტბეტონის არევისა და დაგებისათვის შემოთავაზებული მოწყობილობის რაოდენობებსა და ტიპებს;
- 2) შემოთავაზებული პერსონალის კვალიფიკაცია და გამოცდილება (ოსტატები, ბეტონის ჩამსხმელები და მოწყობილობების ოპერატორები);
- 3) ყველა შემოთავაზებული მინარევის მწარმოებლის სერტიფიკატები, სრული დეტალების მითითებით და კონტრაქტორის წინადადება ამ მინარევების გამოყენების თაობაზე, ოპერატორებისათვის უვნებლობის დამამტკიცებელი სერტიფიკატების ჩათვლით;
- 4) კონტრაქტორის მიერ შემოთავაზებული ნარევის პროპორციები გამოცდისა და სამუშაოების დაწყებამდე;
- 5) დაგებული ტორკეტბეტონის ფენების სისქის კონტროლისათვის გამოყენებული მეთოდების დეტალური მონაცემები (მაგ. კალიბრ-საცობები ან ბურლილები).

მეთოდის, ანუ მშრალი არევის ან სველი არევის, შერჩევა როგორც ზევითაა განსაზღვრული, კონტრაქტორს მიენდობა. თუ კონტრაქტორი გადაწყვეტს სველი შერჩევის წე-

ჟინგალპესის გამყვანი გვირაბი

ჟინგალპესის გამყვანი გვირაბის რეაბილიტაცია
სატენდერო დოკუმენტაცია

სის გამოყენებას, მან უნდა წარუდგინოს ინჟინერს ყველა სათანადო დოკუმენტი და ცნობები იმის დასადასტურებლად, რომ ეს მეთოდი არანაირად არ გააუარესებს სამუშაოს ხარისხსა და ეფექტურობას და არ გამოიწვევს დირებულების გაზრდას.

10.4 მასალები

ა - ზოგადი ნაწილი

შემაგსებლის წყლის შემცველობა ნარევში დამატების მომენტისათვის უნდა იყოს დუმულში გამომშრალი შემაგსებლის წონის 2%-ზე ნაკლები.

ტორკორეტბეტონის დაგებისთვის გამოყენებული ჰაერი უნდა იყოს სუფთა და არ უნდა შეიცავდეს ზეთსა და სხვა მინარევებს.

ბ - მინარევები

თუ სხვაგვარად არ არის მითითებული, ბეტონის აგრეგატები უნდა შეესაბამებოდეს ASTM კოდს.

შემაგსებლები უნდა იყოს სუფთა, მყარი, მკვრიფი, გამბლე და დაუფარავი მასალის, უნდა ჰქონდეს ტენის სტაბილური შემცველობა და გრანულომეტრია მაღოზირებელ დანადგარში მოთავსების მომენტისათვის. შემაგსებლები არ უნდა შეიცავდეს ისეთ ნივთიერებებს, რომელმაც შეიძლება გააუარესოს ნარევის ხარისხი, დააზიანოს არმატურა ან შეასუსტოს შეჭიდულობა. საზიანო ნივთიერებებად მიიჩნევა: თიხნარი, თიხა, დიდლრმულიანი ნატეხები, ქაფისებრი ან მინისებრი ფრაგმენტები, ისეთი ორგანული წარმოშობის მასები, როგორიცაა ჰუმუსი, ფესვები, ხე, ქვანახშირი, ლიგნიტი და სხვა. საჭივო შემთხვევებში, საზიანო ნივთიერებების ზეგავლენის დადგენა მოხდება ტესტირებით.

დაუშვებელია ისეთი შემაგსებლების გამოყენება, რომლებიც შეიცავენ ტუტის წარმომქმნელ მინერალებს. ასეთი მინერალების არსებობა ქვეში დადგინდება ტესტირებით.

ნაწილაკების ფორმა, ჩვეულებრივ, უნდა იყოს სფეროსებრი ან კუბისებრი. ბრტყელი ან წაგრძელებული ნაწილაკების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წონის 25%-ს. ბრტყელ ან წაგრძელებულ ნაწილაკად ითვლება ისეთი ნაწილაკი, რომლის სიგანის შეფარდება სისქესთან და შესაბამისად სიგრძის შეფარდება სიგანესთან აღემატება 3-ს. კლდე, რომელიც იშლება ასეთ ფორმებად, მიუხედავად გამოყენებული დამამუშავებელი მოწყობილობების ტიპისა, არ დამტკიცდება შემაგსებლების დამზადებაში გამოყენებისათვის.

კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს მასალის დაქუცმაცება და გადამუშავება გრანულომეტრიის და სხვა მოთხოვნების შესაბამისად, რათა მიიღოს ბეტონის დამზადებისათვის საჭირო შემაგსებლების სრული რაოდენობა.

შემაგსებლების ჩატვირთვა-გადმოტვირთვა, ტრანსპორტირება და შენახვა ისე უნდა ხდებოდეს, რომ თავისუფალი ვარდნისა და არასწორი გადატვირთვის გამო მასალის დამტვრევის ან აბრაზიული დაზიანების შედეგად მინიმუმამდე იქნას დაყვანილი წვრილი ფრაქციების წარმოშობა. ზედმეტად წვრილი ან მსხვილი ზომის ფრაგმენტების სიჭარბე უნდა აღმოიფხვრას დადგენილი წესით.

ჟინგალპესის გამყვანი გვირაბი

ჟინგალპესის გამყვანი გვირაბის რეაბილიტაცია

სატენდერო დოკუმენტაცია

კონტრაქტორს ევალება ობიექტიდან ყველა დაწუნებული შემავსებლის გატანა.

ტორკორეტბეტონში გამოყენებული შემავსებლების გრადაცია უნდა შეესაბამებოდეს იმ გრადაციებს, რომლებიც დადგენილია ნარევის წინა-სამშენებლო ტესტირებით. გრადაციის შეცვლა არ მოხდება ინჟინრის წინასწარი თანხმობის გარეშე.

ანარევის მომზადებისათვის, შემავსებლების შემდეგი გრადაციები იქნება აღებული ორიენტირად, მაგრამ ისინი შეიძლება შეიცვალოს საცდელი ანარევის გამოცდის ქვემოთ მოყვანილი შედეგების გათვალისწინებით.

ოთხკუთხა პადე საცრის დიობი	გატარების %. (წონის მიხედვით)
9500 მმ	100
4,750 მმ	40-50
0,150 მმ	2-10
0,075 მმ	2

თუ სამუშაოთა მსვლელობისას გამოყენებული შემავსებლების ტიპი (მაგ. წყარო, ქანის ტიპი, ფორმა) განსხვავებულია იმისგან, რომელიც საცდელი ნარევის გამოცდებისას იყო გამოყენებული, კონტრაქტორმა ახალი შემავსებლების გამოყენებით უნდა დაამზადოს ახალი საცდელი ნარევები.

გ - ცემენტი

კონტრაქტორმა უნდა მიაწოდოს ჩვეულებრივი პორტლანდცემენტი (OPC) ტუტის დაბალი შემცველობით ან დაბალი პიდრატაციის ცემენტი, რომელიც შეესაბამება ASTM ნორმებს ან მის ექვივალენტურ სტანდარტებს, დამტკიცებულს ინჟინრის მიერ.

მშენებლობის ადგილზე მოწოდებული ცემენტის თითოეულ პარტიას უნდა ახლდეს დამამზადებლის მიერ გაცემული ტესტირების სერთიფიკატი ოთხ ეგზემპლარად. ინჟინერი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს დამამზადებლის საწარმოში დაესწროს სინჯის აღებისა და ტესტირების პროცესს. თუ მიწოდება არ ხდება უშუალოდ დამამზადებლის მიერ, შუალედური სასაწყობო და მიწოდების დონისძიებები უნდა დაამტკიცოს ინჟინერმა.

ცემენტი, რომელიც არ აკმაყოფილებს შესაბამის ნორმებს, ან დაზიანებულია გაგზავნის, გადატანის ან შენახვის პროცესში, დაუყოვნებლივ უნდა იქნას გატანილი მშენებლობის ტერიტორიიდან.

ცემენტის ტრანსპორტირებისა და შენახვის ყველა საშუალება უნდა დაამტკიცოს ინჟინერმა და იყოს ადვილად მისაწვდომი დათვალიერებისათვის.

ცემენტის ტომრები უნდა ინახებოდეს ატმოსფერული მოვლენებისგან დაცულ ნაგებობებში შემაღლებული, კარგი ვენტილაციის მქონე ხის იატაკით და ეწყოს ისე, რომ საჭი-

ჟინგალპების გამყვანი გვირაბი

ჟინგალპების გამყვანი გვირაბის რეაბილიტაცია

სატენდერო დოკუმენტაცია

როების შემთხვევაში შეიძლებოდეს პარტიების ერთმანეთისაგან გაყოფა და მისი მოწოდების თანმიმდევრობის მიხედვით გამოყენება. ერთმანეთზე დადებული ტომრების სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს 1,5 მ-ს. ცემენტი არ უნდა ინახებოდეს დია ცის ქვეშ, გარდა დაუყოვნებლივ გამოყენების შემთხვევებისა და ასეთ დროს შენახვისას და გადატანისას დაცული უნდა იყოს წყალგაუმტარი გადასაფარებლებით და შემაღლებული იატაკით. გამოუყენებელი ცემენტი კვლავ უნდა დაუბრუნდეს საწყობს.

ცემენტის გამოყენება უმჯობესია იმავე თანმიმდევრობით, როგორითაც მოხდა მისი ობიექტზე მიღება. ცემენტის შენახვის გადა შემოიფარგლება ტომრებში 90 დღემდე. ცემენტი, რომელიც ინახებოდა ამაზე უფრო ხანგრძლივი პერიოდების განმავლობაში, ან რომელიც შეიძლება დატენიანდა, არ უნდა იქნას გამოყენებული, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კონტრაქტორი ჩაატარებს მის ხელახლ ტესტირებას, ხოლო ინჟინერი დაამტკიცებს მის ვარგისიანობას. არ შეიძლება ნატეხებად ქვეული ცემენტის გამოყენება. სხვადასხვა ქარხნის ან სხვადასხვა მარკის ცემენტი უნდა ინახებოდეს ცალ-ცალკე.

მშენებლობის ადგილზე მიწოდებული ცემენტის ტემპერატურა არ უნდა აღემატებოდეს 70°C -ს, ხოლო ამრევში ჩაერის მომენტში არ უნდა აღემატებოდეს 50°C -ს, თუ სხვა რამ არ იქნა მითითებული.

მთლიანად კონტრაქტორის პასუხისმგებლობაშია ამ სპეციფიკაციებისა და ამ სამუშაოების მოთხოვნების შესაბამისი ცემენტის დროული მიწოდება. შესაბამისი პარამეტრების ცემენტის არქონით გამოწვეული დაგვიანებები კონტრაქტორს სამუშაოს შესრულების ვადის გადაწევის ან აქედან გამომდინარე რაიმე პრეტენზიების განცხადების არანაირ უფლებას არ ანიჭებს.

დ - მინარევები

ცემენტის გამაგრების დასაჩქარებლად ანარევს უნდა დაემატოს კატალიზატორი. გამოყენებულ მინარევებს ამ სფეროში წარმატებული ექსპლუატაციის სულ მცირე 5 წლის ისტორია უნდა ჰქონდეს, ხოლო მისი მისაღებლობა და საჭირო რაოდენობები დადგინდება წინასამშენებლო გამოცდების დროს. ის არ უნდა შეიცვალოს წყალში ხსნად ქლორიდებს ან ფოლადის კოროზიის გამომწვევ ნივთიერებებს და არ უნდა იწვევდეს ისეთ საზიანო შედეგებს, როგორიცაა: დაგებული ტორკრეტბეტონის დახეთქვა და განშრევება.

ჩვეულებრივ, ტორკრეტბეტონებს, თუ სხვაგან სხვა რამ არ არის მითითებული, უნდა ჰქონდეს ქვემოთ მოცემული გამკვრივების დრო და სიმტკიცე:

1) ცემენტის/მინარევების ცომის თავდაპირველი გამყარება 3 წთ.

ცემენტის/მინარევების ცომის საბოლოო გამყარება 12 წთ.

2) ტორკრეტბეტონის 3 სთ-იანი სიმტკიცე 0.7 ნ/მ²

ტორკრეტბეტონის 8 სთ-იანი სიმტკიცე 4.0 ნ/მ²

ტორკრეტბეტონის 24 სთ-იანი სიმტკიცე 10.0 ნ/მ²

ჟინგალპების გამყვანი გვირაბი

ჟინგალპების გამყვანი გვირაბის რეაბილიტაცია

სატენდერო დოკუმენტაცია

მინარევების მოხმარება უნდა აღირიცხებოდეს ყოველდღიურად. საშუალო შემცველობამ შეიძლება მიაღწიოს 4.5%-ს, მაქსიმალური შემცველობა არ უნდა აღემატებოდეს ცემენტის წონის 6%-ს.

ე - წყალი

საიმედო და აღეგვატური წყლის მიწოდება უნდა იქნას უზრუნველყოფილი და შენარჩუნდეს კონტრაქტორის მიერ. წყალი უნდა იყოს სუფთა და საზიანო რაოდენობით არ უნდა შეიცავდეს ზეთს, მჟავებს, ტუტებს, შაქარს, მარილს, ლამსა და სხვა ორგანული წარმოშობის მასებს.

წყალი უნდა შეიცავდეს არა უმეტეს 1000 მგ/ლ სულფატებს (SO_4), არა უმეტეს 100 მგ/ლ ქლორიდებს (Cl), და მისი სიმღვრივის ზღვარი არ უნდა აჭარბებდეს 1000 ppm.

კონტრაქტორი ვალდებულია გაეცნოს წყლის წყაროსა და ხარისხს. ყურადღება უნდა მიაქციოს ტბორ-სალექტრისა და სხვა საშუალებების მოწყობის მოთხოვნებს, რომელიც შესაძლოა მას მოეთხოვოს.

10.5 მოთხოვნები ნარევის შემადგენლობისა და ხარისხისადმი

კონტრაქტორმა ისე უნდა მოამზადოს ნარევი, რომ ის პასუხობდეს სიმტკიცის მითითებულ პარამეტრებს. ნარევებს დაამტკიცებს ინჟინერი.

კონტრუქტორი ან მოსახვის ტორკეტბეტონისთვის კუმშვისადმი კუბური სიმტკიცე 28-ე დღეს უნდა იყოს 35 ნ/მმ². კუმშვისადმი სიმტკიცე 7 დღის შემდეგ უნდა მიაღწიოს 28 დღისთვის დადგენილი სიმტკიცის 70%-ს.

ნარევები უნდა იყოს იმგვარი, რომ შემაგსებლის გრადაცია და ცემენტის შემცველობა დაგების შემდეგ იყოს ისეთი, როგორიც საცდელი პანელებიდან აღებული, დამტკიცებული სასინჯი ნარევების გამოყენებით დამზადებული ნიმუშების შემაგსებლის გრადაცია და ცემენტის შემცველობა. ყველა შემადგენელი კომპონენტი ერთნაირად უნდა გაიფანტოს მოელ ნარევში

ბეტონის კლასი	შემაგსე- ბლის მაქს. ზომა (მმ)	ნომინალური OPC შემცვე- ლობა ^{1/} (კგ)	სიმტკიცე 28-ე დღეს (ნ/მმ ²)	მაქსიმალური წყალ/ცემენტ ის ფარდობა	მდგბარე- ობა
C-35	10	400	35	0.45	გვირაბის თაღი და კედლები

ცხრილი 10-1: ტორკეტბეტონის ხათიურნებაციონ რეცეპტი

ნარევებში წყლის შემცველობა შეზღუდული უნდა იყოს, რათა თავიდან იქნას აცილებული ტორკეტბეტონის ჩამოცოცება. წყლისა და ცემენტის შეფარდება დაგებულ ტორკეტბეტონში უნდა იყოს 0.32-0.45.

ინჟინერი იტოვებს უფლებას, სამუშაოთა მიმდინარეობისას, ნებისმიერ დროს, კონტრაქტორს მისცეს მითითება, რომ მან ცვალოს ტორკეტბეტონის შემადგენლების პროპო-

ჟინგალპესის გამყვანი გვირაბი

ჟინგალპესის გამყვანი გვირაბის რეაბილიტაცია

სატენდერო დოკუმენტაცია

რციები ან დაუკვეთოს შემდგომი საცდელი დაგებები, რათა უზრუნველყოს სათანადო სიმტკიცეების შენარჩუნება.

10.6 გამოცდა

ნარევის შემადგენლობის დამტკიცებისთვის კონტრაქტორი მომზადებს არანაკლებ სამ საცდელ პანელს, ინჟინრის მიერ თითოეული ანარევის გამოსაცდელად, თავდაპირველად მინიმუმ 5 დღით ადრე ტორკრეტბეტონის დაგების სამუშაოების დაწყებამდე. დანამატებები ან მოწყობილობებში ნებისმიერი შემდგომი ცვლილებისათვის ინჟინერმა შეიძლება მოითხოვოს ახალი ტესტირება. ყველა გამოცდა უნდა ჩატარდეს ტორკრეტის საცდელი პანელებიდან აღებული ნიმუშების მომზადებისა და ტესტირების ASTM სტანდარტული წესის C 1140-ის მიხედვით.

ხარისხის რეგულარული კონტროლის მიზნით, მოსაწოდებელი პანელების რაოდენობა დასაგები ტორკრეტბეტონის ყოველი 200 მ²-სთვის უნდა იყოს 3.

ნარევის შემადგენლობის დამტკიცებისათვის და რეგულარული ხარისხის კონტროლისათვის განკუთვნილი სამპანელიანი კომპლექტები უნდა მოიცავდნენ თითო-თითო შესხმას პორიზონტალურ ზედაპირზე დაღმავალი მიმართულებით, დახრილ ან ვერტიკალურ ზედაპირზე, და პორიზონტალურ ზედაპირზე აღმავალი მიმართულებით.

საცდელი პანელები, ტორკრეტბეტონის ხარისხის კონტროლისათვის და დანამატების შესაბამისობის განსაზღვრისათვის, უნდა დამზადდეს აქ მოყვანილი წესით და ინჟინრის მოთხოვნის შესაბამისად.

კონტრაქტორს ევალება ყველა დანადგარის, მასალისა და აუცილებელი დახმარების მიწოდება და ყველა აუცილებელი სამუშაოს შესრულება ტორკრეტბეტონის საჩვენებელი საცდელი პანელების დასამზადებლად.

გამოსაცდელი პანელები მიღებული უნდა იქნას დამოწმებული 1 მ²X80 მმ სიღრმის ხისტი ფუძის ქვეშ ხის ჩარჩოს დამაგრებით კლდის ისეთ ადგილზე, რომელიც ტორკრეტბეტონით დასამუშავებლის ანალოგიური იქნება, ან სხვა დამტკიცებულ ალტერნატიულ ზედაპირზე, ჩარჩოს დასველებით და ტორკრეტბეტონის დაგებით ჩარჩოთი შემოფარგლულ ფართობზე ისე, როგორც აქ არის აღწერილი და იმავე ასარევი და დამბები მოწყობილობების გამოყენებით, რომელიც სამუშაოების წარმოებისას იქნება გამოყენებული.

ყველა პანელის მინიმალური სისქე უნდა იყოს 80 მმ და უნდა დამზადდეს ინჟინრის თანდასწრებით. პანელები ხელშეუხებელი დარჩება დაგების ადგილზე, კიდრე არ მოხდება საბოლოო გამკვრივება.

საბოლოო გამკვრივებისთანავე კონტრაქტორი დაუყოვნებლივ გადაიტანს საცდელ პანელებსა და ნიმუშებს ლაბორატორიაში, დამზადების შემდეგ არანაკლებ ორი საათისა და არაუგვიანეს რვა საათისა ისეთნაირად, რომ პანელები არანაირად არ დაზიანდეს.

ჟინგალპესის გამუვანი გვირაბი

ჟინგალპესის გამუვანი გვირაბის რეაბილიტაცია

სატენდერო დოკუმენტაცია

ტორკრეტბეტონის სიმტკიცის ზღვარი კუმშვაზე უნდა განისაზღვროს საცდელი პანელებიდან უშეალოდ ტესტირებამდე ამოღებული საცდელი 76 მმ-იანი ცილინდრულის ტესტირებით, რისთვისაც ჩამაგრდება და გამოიცდება ბეტონის ცილინდრული ნიმუშების კუმშვისადმი სიმტკიცის ASTM სტანდარტული ტესტირების C 39 მეთოდით.

გამოცდის შედეგებს ჩაუტარდება სტატისტიკური ანალიზი. შედეგები შესაბამისი უნდა იყოს საშუალო 28-ე დღისთვის კუმშვისადმი წინაღობისა, რომელიც საჭიროა იმისათვის, რომ ტესტების კუმშვისადმი სიმტკიცის დადგენილ ზღვარზე დაბლა ვარდნის ალბათობა შეიზრდულოს ერთამდე ყოველი ხუთი ტესტიდან, 15%-იანი ცვალებადობის კოეფიციენტით ნარევის შემადგენლობის დასამტკიცებელი ტესტისათვის და 20%-იანი ცვალებადობის კოეფიციენტით - ხარისხის კონტროლის ტესტებისათვის. თანმიმდევრობით ჩატარებული ნებისმიერი ექვსი ტესტის საშუალო შედეგი არ უნდა იყოს დადგენილ კუმშვისადმი სიმტკიცის დადგენილ ზღვარზე ნაკლები.

10.7 მოწყობილობა

სამუშაოს შესასრულებლად გამოყენებული იქნება მხოლოდ ინჟინრის მიერ დამტკიცებული თანამედროვე, გამართულად მოქმედი შემრევი, მიმწოდებელი და დამგები მოწყობილობები.

კომპრესორი უზრუნველყოფს ჰაერის მიწოდებას, რომელიც საკმარისია სამუშაოს ყველა ნაწილისთვის საქმენში ნაკადის საკმარისი სიჩქარის შენარჩუნებისთვის და საჭიროებისას, ანასხლებების მოსაშორებლად განკუთვნილი შეკუმშული ჰაერის მიმწოდებელი მილაკის იმავდროული მუშაობისთვის.

მისაწოდებელი მოწყობილობა უნდა იყოს პნევმატური მიწოდების, ხოლო სველი არ ვისთვის, პოზიტიური მიწოდების ტიპის. მას უნდა შეეძლოს ერთგვაროვნად შერეული უწყვეტი თანაბარი ნაკადის სათანადო სიჩქარით გამოშვება გამოშვები საქმენიდან სამუშაო უბნების ნებისმიერ სიმაღლეზე.

მიმწოდებელი მოწყობილობები გულდასმით უნდა გაიწმინდოს თითოეული ცვლის ბოლოს. მოწყობილობების ნაწილები, განსაკუთრებით საქმენის მილისი და წყლის რგოლი, რეგულარულად უნდა შემოწმდეს და საჭიროებისამებრ შეიცვალოს.

გამომშვები საქმენი, განკუთვნილი მშრალი შერევის პროცესისათვის, უნდა იყოს ადჭურვილი წყლის დაჭირხვის მექანიკური სისტემით (წყლის რგოლი) შემავსებლისა და ცემენტის ნარევისათვის წყლის თანაბრად მისაწოდებლად. წყლის საკეტი ადვილად რეგულირებადი უნდა იყოს, რათა შესაძლებელი იყოს წყლის რაოდენობის ცვლა და მოსახერხებელი იყოს მუშისთვის.

წყლის წნევა ერთსა და იმავე დონეზე უნდა იქნას შენარჩუნებული და უნდა იყოს საექსპლუატაციო წნევაზე სულ მცირე 1 ბარით მეტი და საკმარისი საიმისოდ, რომ ნებისმიერ დროს უზრუნველყოს სათანადო ჰიდრატაცია.

საქმენს უნდა შეეძლოს კონუსური ფორმის ერთგვაროვანი ნაკადის მიწოდება. ამ ნაკადის გამრუდების გამოსწორება მოხდება საქმენის დათვალიერებით და დეფექტური ნაწილის

ჟინგალპესის გამყვანი გვირაბი

ჟინგალპესის გამყვანი გვირაბის რეაბილიტაცია

სატენდერო დოკუმენტაცია

ლების შეცვლის გზით გაუმართაობის აღმოფხვრით, შემდგომი სამუშაოს გაგრძელებამდე.

10.8 მუშახელის პგალიფიკაცია

საქმენის ოპერატორ მუშას უნდა ჰქონდეს მსხვილშემავსებლიანი ტორკრეტბეტონის დაგების გამოცდილება ან უნდა მუშაობდეს ინსტრუქტორის ან ოსტატის უშუალო ზედამხედველობის ქვეშ, რომელსაც ამგვარი გამოცდილება გააჩნია. თითოეულმა ბრიგადამ უნდა შესძლოს მისაღები კვალიფიკაციის წარმოჩენა ვერტიკალურ და ზედა საცდელ პანელებზე ტორკრეტბეტონის დაგებისას, ვიდრე დაიწყება საწარმოო სამუშაოები. სამუშაოებზე დასაქმდება მხოლოდ დამტკიცებული ბრიგადები.

ტორკრეტბეტონი უნდა შედგებოდეს მჭიდრო ერთგვაროვანი ბეტონისაგან, რომელშიც არ იქნება ჩართული მსხვილი ანასხლებები და რომლის ფენებს შორის კავშირი არ იქნება გამოკვეთილად სუსტი. საქმენის ოპერატორმა უნდა დააგოს ერთგვაროვანი და ზღვრულ მნიშვნელობასთან მიახლოებული ყველაზე პლასტიკური კონსისტენციის ტორკრეტბეტონი. საქმენი უნდა მდებარეობდეს წინასწარ განსაზღვრულ დისტანციაზე და ისეთ პოზიციაში, რომ მასალის გამომავალი ნაკადი დასაფარ ზედაპირს ეცემოდეს რაც შეიძლება ახლოს და სწორი კუთხებით.

10.9 ზედაპირის მომზადება

როდესაც ტორკრეტბეტონი უნდა მოეწყოს კლდოვან ზედაპირებზე, ეს უკანასკნელი უნდა მომზადდეს ზედაპირის მინიმალური აფხევით და შემდეგ სუფთა წყლით გარეცხვით. როდესაც ტორკრეტბეტონი უნდა დაიგოს ბეტონის ზედაპირებზე, კერძოდ, როცა დამატებითი მოპირკეთება სადაწნეო გვირაბში, ზედაპირი წყლის ჭავლებით გულდასმით გაიწმინდება ნარჩენებისაგან და ნებისმიერი წარმოშობის ნადებისაგან (ორგანული, დანალექი, ძველი ცემენტის სსნარი და ა.შ.). ყველა ზედაპირი უნდა იყოს სველი და სუფთა, ხოლო ტორკრეტბეტონით უმავი მოპირკეთებული ზედაპირი, რომელზეც მეორე ტორკრეტბეტონის ფენა უნდა დაედოს, ტორკრეტბეტონის დაგების მომენტისათვის უნდა იყოს ანასხლებისაგან გასუფთავებული. ტორკრეტბეტონის დაგების წინ ზედაპირი უნდა იყოს ნოტიო.

იქ, სადაც წყალი მოჟონავს კლდიდან ან ბეტონიდან, რომელზეც უნდა დაიგოს ტორკრეტბეტონი და წყლის შეჩერება ვერ ხერხდება მხოლოდ ტორკრეტბეტონის დაგებით, წყლის მოცილება ტერიტორიიდან უნდა მოხდეს ან სიცარიელეების პლასტიკური მასალით შევსებით ან კიდევ მიღებით, დარებით ან სხვა საშუალებებით გადაგდების გზით ისე, რომ ტორკრეტბეტონი წყლის ჟონგის, პიდროსტატიკური დაწნევის ან ეროზიის მოქმედებისგან ხელშეუხებელი დარჩეს.

ტორკრეტბეტონის ფენას, რომელზეც დაუყოვნებლივ უნდა იქნას დადგებული შემდეგი ფენა, ჯერ უნდა მიეცეს თავდაპირველი გამყარების საშუალება. ტორკრეტბეტონის ფენა, რომელიც საბოლოო გამკვრივების შემდეგ უნდა დაიფაროს შემდეგი ფენით, უნდა ჩამო-

ჟინგალპესის გამყვანი გვირაბი

ჟინგალპესის გამყვანი გვირაბის რეაბილიტაცია

სატენდერო დოკუმენტაცია

იხვეტოს, ჩამოირეცხოს ან ინჟინრისთვის მისაღები სხვა საშუალებით ჩამოსცილდეს ცემენტის წვენი, ჭუჭყი ან სხვა მოსაცილებელი ელემენტები და ანასხლები.

ტორკრეტბეტონის ზედაპირები უნდა დარჩეს ნოტიო, ვიდრე არ დაიგება ტორკრეტბეტონის შემდეგი ფენა ან არ შესრულდება ბეტონის გამყარების პროცესისადმი ამ ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნები.

10.10 შერევა და დაგება

არევამდე ტორკრეტბეტონის კომპონენტების წონის მიხედვით დოზირება გულდასმით უნდა მოხდეს. შემავსებლები წყლის დამატების გარეშე გულდასმით უნდა აირიოს დამგებ მოწყობილობებში მოთავსებამდე. ანარევები, რომლებიც არ დაიგება ცემენტის დამატებიდან 60 წუთის განმავლობაში, დაწუნებული იქნება. დამაჩქარებელი მინარევების პროპორციები ზუსტად უნდა იქნას დაცული.

ტორკრეტბეტონის ნებისმიერი ფენის მინიმალური სისქე უნდა იყოს 25 მმ. ნებისმიერ ადგილზე დაგებული ტორკრეტბეტონის ნებისმიერი ფენის მაქსიმალური სისქე უნდა იყოს 50 მმ.

ინჟინერი შეამოწმებს ზედაპირებს ტორკრეტბეტონის დაგებამდე. ასეთი შემოწმების საფუძველზე, ინჟინერმა შეიძლება მოითხოვოს ზედაპირების დაუყოვნებლივ დაფარვა ტორკრეტბეტონით. ასეთ შემთხვევაში ტორკრეტბეტონი უნდა დაიგოს 4 საათის განმავლობაში.

დია სამუშაოების ადგილზე ტორკრეტბეტონის დაგება არ მოხდება მაშინ, როდესაც ამონდის არახელსაყრელი პირობების გამო ტორკრეტბეტონის დაგება არაეფექტურია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც უზრუნველყოფილია სამუშაო უბნის გადახურვა, ვიდრე ტორკრეტბეტონი საქმარისად კარგად არ გამყარდება და დაზიანებისაგან დაცული გახდება. კონტრაქტორი დამუშავებს მუშაობის მეთოდებს და ოპერაციებს, რათა მიღწეულ იქნას:

- 1) მინიმალური ანასხლების წარმოქმნა;
- 2) თანაბრად მოსწორებული ზედაპირი;
- 3) არანაირი სიცარიელები ტორკრეტბეტონში;
- 4) მინიმალური რაოდენობის ნახეობების წარმოქმნა;
- 5) ტორკრეტბეტონის კარგი შეჭიდება ზედაპირთან

საქმენთან მასალის ნაკადი უნდა იყოს უწყვეტი და ერთგვაროვანი და ყოველ მოცემულ ადგილზე ბეტონის დაგების სისწრაფეც უნდა იყოს აგრეთვე ერთნაირი. ლითონის ნაჭრები, ქვიშის ლაქები, სველი ადგილები ან სხვა დეფექტები უნდა აღმოიფხვრას და გამოსწორდეს აქ აღნიშნული წესით.

გამოყენებული იქნება ფენის სისქის დადგენის ისეთი დამტკიცებული მეთოდი, როგორცად კალიბრ-საცობები ან ჭაბურლილები.

ჟინგალპესის გამყვანი გვირაბი

ჟინგალპესის გამყვანი გვირაბის რეაბილიტაცია

სატენდერო დოკუმენტაცია

ვერტიკალურ ან დამრეც ზედაპირებზე, ტორკრეტული ბეტონის დაგების დაწყება საჭიროა ყველაზე დაბალი წერტილიდან, ხოლო ტორკრეტბეტონის ფენა უნდა იგებოდეს პორიზონტალურ ზოლებად, ვიდრე მთელი ზედაპირი არ დაიფარება.

როგორც წესი, ტორკრეტბეტონის დაგების შემდეგ აუცილებელია სადრენაჟო ჭაბურდილების გაბურდვა. მაგრამ იქ, სადაც სადრენაჟო ჭაბურდილები უკვე გაბურდულია კლდეში, რომელზედაც უნდა დაიგოს ტორკრეტბეტონი, კონტრაქტორი ყველა აუცილებელ ზომას მიიღებს ასეთი ჭაბურდილების დაგმანვის საწინააღმდეგოდ.

როდესაც ტორკრეტბეტონის დაგება უნდა მოხდეს არსებულ კონსტრუქციებთან სიახლოეს, კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს კონსტრუქციის სრული დაუზიანებლობა და კონსტრუქციების ზედაპირების დაცვა ტორკრეტბეტონის დაგებამდე და მის შემდეგ.

ნებისმიერ უბანზე ტორკრეტბეტონის დაგება ჩაითვლება დამთავრებულად, როდესაც ტორკრეტბეტონი ამოყვანილი იქნება მითითებულ სისქემდე. ნახაზებზე მითითებული ტორკრეტის სისქე უნდა იყოს მინიმალური სისქე ნებისმიერ დამუშავებულ უბანზე, გამოშვერილი კლდის გამოკლებით, რომლის ზომებიც გეგმაში უფრო ნაკლებია ტორკრეტბეტონის მითითებულ სისქეზე. ასეთ შემთხვევაში მინიმალური საფარი უნდა იყოს 30 მმ.

10.11 ანასხლები

ანასხლების რაოდენობა მინიმუმამდე უნდა იქნას დაყვანილი და ექვემდებარებოდეს უწყვეტ მონიტორინგს. განსაკუთრებული სიფრთხილეა გამოსაჩენი, რომ ანასხლები არ დაგროვდეს კედლების და იაგდების შეერთების ადგილებში როგორც მიწისქვეშ, ასევე ზედაპირზე.

ნებისმიერ მიმდებარე ტერიტორიაზე ტორკრეტბეტონის დაგებამდე უნდა მოხდეს ანასხლების მოცილება და გატანა. დაუშვებელია ანასხლების ხელახალი გამოყენება.

კონტრაქტორმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა მინიმუმამდე დაიყვანოს ანასხლების რაოდენობა. თუ ინჟინერი ჩათვლის, რომ ანასხლები ჭარბი რაოდენობისაა, მან შეიძლება მოსთხოვოს კონტრაქტორს ნარევის კომპოზიციის ან დაგების წესის გადასინჯვა ან სხვა მიზანშეწონილი ღონისმიერის გატარება ანასხლების შესამცირებლად, მაგალითად, ჯაჭვისებური ბადის დაგება თავდაპირველ ზედაპირზე, შეჭიდების გაზრდის მიზნით.

10.12 დაცვა, გამყარება და დამუშავება

ახლადდაგებული ტორკრეტბეტონის ზედაპირების დაზიანებისაგან დაცვის მიზნით საჭიროა მათი დაცვა წყლისაგან.

როდესაც ტორკრეტბეტონის რომელიმე ფენის ზედაპირზე წარმოიქმნება პირველი მშრალი ლაქები, საჭიროა მისი დასველება წყლის ჭავლით ყოველ 4 საათში ერთხელ

ან სხვაგვარად გამყარება მინიმუმ 7 დღის განმავლობაში ინჟინრისათვის მისაღებ კონდიციამდე.

10.13 რემონტი

ტორკრეტის შემდეგი ფენის დაგებამდე წინა ფენა უნდა უნდა შემოწმდეს უსწორმასწორობაზე.

კონტრაქტორმა უნდა გამოასწოროს უსწორმასწორო, ქვიშიანი, დაბზარული ან აშრევებული მონაკვეთები და ყველა სხვა მონაკვეთი, სადაც ინჟინრის აზრით, ტორკრეტბეტონი დაფუქტიანია. ამისათვის საჭიროა ტორკრეტბეტონის მოცილება კლდის, ბეტონის ან ტორკრეტბეტონის სადი ზედაპირის გამოჩენამდე, ზედაპირის მომზადება აქ მითითებული წესით და ამ მონაკვეთზე ტორკრეტბეტონის ხელახალი დაგება ინჟინრისათვის დამაკმაყფილებლად.

10.14 დასაშვები გადახრები

შენიშვნის ზედაპირის მოსწორება უნდა იყოს ისეთი ტიპის, როგორც აღწერილია მოცემული სპეციფიკაციების თავში 7.10.

10.15 გაზომვა და გადახდა

ა – ზოგადი ნაწილი

ანაზღაურების გაანგარიშება მოხდება დაგებული ტორკრეტბეტონის მოცულობის მიხედვით, რომელიც იანგარიშება შემდეგნაირად: დაგებული ტორკრეტბეტონის გაზომილი ფართობი გამრავლებული ნახაზებზე ნაჩვენებ ან ინჟინრის მიერ მითითებულ სისქეზე.

გრუნტის ზედაპირის დამუშავების სამუშაოების ასანაზღაურებელი ფართი განისაზღვრება როგორც საშუალო დამუშავებული ზედაპირის სიბრტყის პარალელურად დაგეგმილებული (პროექტირებული) სიბრტყე.

გადახდა მოხდება განფასებებში შეტანილი ყოველ კუბური მეტრის ერთეული ფასით, რომელმაც უნდა მოიცვას შემდეგის (და არა მხოლოდ შემდეგის) მოლიანი დირებულებები:

- 1) ყველა მუშახელი, დანადგარი და მასალა, ცემენტის ჩათვლით;
- 2) ყველა მასალის შენახვა, დოზირება და არევა, წყლის მოწოდება, ზედაპირების მომზადება და გასუფთავება;
- 3) ფენის სისქის კონტროლის მიზნით კალიბრ-საცობების განთავსება;
- 4) ტორკრეტბეტონის დაგება, ანასხლებების ჩათვლით;
- 5) დროებითი დაცვა, გამყარება და გამოცდა;
- 6) მასალების გამოცდასთან დაკავშირებული ყველა დონისძიება.

ჟინგალპების გამყვანი გვირაბი

ჟინგალპების გამყვანი გვირაბის რეაბილიტაცია
სატენდერო დოკუმენტაცია

ნახაზებზე მითითებული ან ინჟინრის მიერ დადგენილი ტორკორეტბეტონის სისქის გადაჭარბებით კონტრაქტორის მიერ დაგებული ტორკორეტბეტონი არ ანაზღაურდება.

ბ - მასალები

ამ ნაწილში მითითებული 400 კგ/მ³ ცემენტის ნომინალური შემცველობისათვის ცალკე გადახდა არ მოხდება.

კატალიზატორების ან სხვა მინარევებისათვის დამატებითი გადახდა არ იწარმოებს და მათი დირებულება შეტანილი უნდა იქნას ტორკორეტბეტონის ერთეულ ფასში.

11 ბურლვა და ცემენტაცია

11.1 სამუშაოების მოცულობა

ამ ნაწილში მოცემული სამუშაო მოიცავს მთლიანად მუშახელს, მასალებს, ოპერაციებსა და აუცილებელ მომსახურებას, რომელიც საჭიროა ჭაბურლილების მოსაწყობად, და გვირაბიდან ჭაბურლილების ცემენტაცია ნახაზზე ნაჩვენებ ან ინჟინრის მიერ მითითებულ ადგილებში.

ბურლვის სამუშაოები მოიცავს შემდეგს: საძიებო ბურლილების გაბურლვა და ბურლილების გაბურლვა საკონტაქტო (შემავსებელი) ცემენტაციისათვის.

ცემენტაციის სამუშაოები მოიცავს კონტაქტურ ცემენტაციას, 0,5 მპა-მდე დაწევით ბეტონსა და კლდეს შორის არსებული სიცარეები შესავსებად.

11.2 განმარტებები

ცემენტაცია განიმარტება, როგორც შესაფერისი ტუმბოს გამოყენებით და ჭაბურლილების სისტემის გამჭოლად ცემენტისა და წყლის ნარევის სხვა საჭირო დანამატებთან, ქვიშასთან, ბენტონიტთან და წიდასთან, წვრილ ფრაქციებთან ერთად ან სხვა მსგავსი დამოწმებული ნარევის გადახსნილში ან კლდის მასაში ან კლდისა და ბეტონის კონტაქტის ადგილებში წნევის ქვეშ დაჭირხვნა. საცემენტაციო ხსნარები იყოფა მყარ და არამყარ ნარევებად.

არასტაბილური ნარევები წარმოადგენს წყალში ცემენტის მარტივ სუსპენზიას. ეს სუსპენზიები ჰომოგენურია, ვიდრე მოძრაობაში იმყოფება, ხოლო მოძრაობის შეწყვეტისთანავე იწყება დალექვა.

სტაბილური ნარევები წარმოადგენს კოლოიდურ სუსპენზიებს, გახსნილს წყალში, რომელთა ნაწილაკების ზომა იმდენად მცირება, რომ ცემენტაციის მიმდინარეობისას მნიშვნელოვან დალექვას არ აქვს აღგილი. ნარევი ითვლება სტაბილური, როდესაც სიბლანტე არ აღემატება 5%-ს ორი საათის შემდეგ.

საკონტაქტო ცემენტაცია არის ბურლვებისა და ცემენტაციის დაბალი წნევის პირობებში ჩატარება, რათა შეივსოს სიცარიელეები ბეტონსა და კლდის ზედაპირს შორის.

ჟინგალპების გამყვანი გვირაბი

ჟინგალპების გამყვანი გვირაბის რეაბილიტაცია

სატენდერო დოკუმენტაცია

დია ბოლოს გამორეცხვა არის ბურღილის ძირში წყლის ან წყლისა და ჰაერის ნაკადის შეშხერებით და სითხისა და შეწონილი მასალის ბურღილის ზემოთ დაბრუნებით ბურღვის ნარჩენების და ნაგავის ჭაბურღილიდან მოცილება.

საცემენტაციო წნევა ნიშნავს საცემენტაციო ხსნარის შეყვანის წნევას, გაზომილს ჭაბურღილის ყელთან ახლოს განლაგებული უახლოესი მანომეტრით ბურღილში საცემენტაციო ხსნარის ჩატუმბვის დროს.

წარმატებული მიერთება ნიშნავს ყველა ოპერაციის შესრულებას, რომელიც აუცილებელია ჰაკერის სწორად განთავსებისათვის, რომელსაც შეუძლია მოთხოვნილი წნევის შენარჩუნება გაუზონვის ან წნევის დანაკარგების გარეშე, წყალდაწნევით ტესტირების ან მაქსიმალურ ზღვრამდე ცემენტაციის განმავლობაში.

საცემენტაციო ხსნარის მიღება ან **საცემენტაციო ხსნარის შთანთქმა** არის ჭაბურღილში ჩატუმბული მასალების რაოდენობა გამოსახული მშრალი ცემენტის კილოგრამებში გრძივ მეტრზე.

წყლისა და ცემენტის პროპორცია არის წყლის მასის შეფარდება ცემენტის მასასთან.

11.3 წარსადგენი დოკუმენტაცია

A - ბურღვა

ბურღვების (და/ან საცემენტაციო სამუშაოების) დაწყებამდე რომელიმე სამუშაო უბანზე, კონტრაქტორმა ამის შესახებ უნდა შეატყობინოს ინჟინერს და ბურღვებისა და/ან საცემენტაციო სამუშაოების გეგმა გასაცნობად გადასცეს 5 დღიანი ვადის გათვალისწინებით. როგორც კი დაიწყება სამუშაოების წარმოება, ბურღვების და/ან ცემენტაციის გეგმა შესაძლოა შესაბამისად შესაცვლელი შეიქნას ინჟინერთან კონსულტაცითა და მისი მითითებით. კონტრაქტორი მზად უნდა იყოს და პქონდეს სათანადო აღჭურვილობა ბურღვის და საცემენტაციო სამუშაოებში ცვლილებების განსახორციელებლად.

კონტრაქტორმა უნდა მიაწოდოს ინჟინერს დოკუმენტაცია (ველზე მის დაგეგმილ გამოყენებამდე) საბურღ წყალში გამოყენებისათვის შემოთავაზებული ყველა შემავსებლის საცემენტაციო ხსნარის ანარევზე ზემოქმედების შესახებ. არც ერთი დანამატის გამოყენება არ მოხდება ინჟინრის მიერ მისი წინასწარ დამტკიცების გარეშე.

კერნის ამოღებით ყოველი ბურღვის შესრულებიდან 24 საათის განმავლობაში კონტრაქტორი ინჟინრის მიერ დამტკიცებული ფორმით წარუდგენს მას ჭაბურღილის ტექნიკური მონაცემების უურნალს. უურნალი უნდა იყოს მისაღებ სტანდარტთან შესაბამისობაში და უნდა შეიცავდეს შემდეგს:

- 1) ბურღვის დაწყებისა და დამთავრების თარიღი;
- 2) ჭაბურღილის ნომერი;
- 3) ჭაბურღილის მდებარეობა, დახრილობა, მიმართულება და სიგრძე;

ჟინგალპესის გამყვანი გვირაბი

ჟინგალპესის გამყვანი გვირაბის რეაბილიტაცია

სატენდერო დოკუმენტაცია

- 4) გამოყენებული ბურღალებისა და კერნამომლების ტიპი და დიამეტრი. გამოყენების შემთხვევაში, საბურღი დანადგარის ტიპი, სამაგრი მილის სიგრძე და დიამეტრი;
- 5) წყლის წნევის გაზომვები, მათ შორის გაზომვების ჩატარების თარიღები და დრო;
- 6) ფილტრაციაზე გამოცდისა და ჭაბურღლილების სხვაგვარი გამოცდების ჩატარების შემთხვევაში, მათი შედეგები;
- 7) ბურღვის ჩანაწერები ძირითადი პარამეტრების მითითებით (შეღწევადობის ხარისხი, ბურღის ბრუნვის სიჩქარე და თანაბრობა, ბრუნვის ძალა, საბურღე ხსნარის ნაკადი, წნევა და ა.შ.) და ბურღვის მიმდინარეობაზე მბურღავის დაკვირვების შედეგები;
- 8) თითოეული კერნის დაშვების სიგრძე, აღდგენილი კერნის სიგრძე ან პროცენტული სიდიდე, ან ორივე, კერნის დანაკარგების აღგილმდებარეობა და მიზეზები;
- 9) საბურღი ხსნარისა და ტალახის თვისებების ყველა ცვლილება, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ საბურღი ხსნარი დაიკარგა (ნაწილობრივ თუ სრულად), - ნიშნული და სიღრმე, რომელზედაც ამას აღგილი პქონდა;
- 10) მბურღავის მიერ ბურღვისას წარმოშობილი მოვლენის ბუნების ინტერპრეტაცია და აღწერა;
- 11) ქვაბულების, ნაკერების, ნაპრალების, სუსტი ან ჩამოტებილი ქანების, ცემენტაციის ნიშნების მდებარეობა და ტიპი, შევსებულია თუ დიაა, და ყველა სხვა დაკვირვების შედეგი, რომელსაც შეუძლია დამატებითი ინფორმაციის მოცემა საძიებო ბურღვასთან დაკავშირებით;
- 12) მბურღავებისა და ინსპექტორების გვარები.

ინჟინრის მოთხოვნის შემთხვევაში კონტრაქტორი უზრუნველყოფს დახმარებას კერნის აღწერისას, კერძოდ, კერნის ყუთებში ჩაწყობის, გადაადგილებისა და კერნების გასუფთავებისას.

თითოეული ჭაბურღლილი ამოღებული კერნიანი ყუთების ფერადი ფოტოები ჭაბურღლილის ამოღებიდან 5 დღის ვადაში 3 ეგზემპლარად უნდა წარედგინოს ინჟინერს.

იმ შემთხვევაში, თუ კონტრაქტორი აპირებს საბურღ ხსნარში დანამატის გამოყენებას, მან სულ მცირე 5 დღით ადრე მაინც დასამტკიცებლად უნდა გაუგზავნოს ინჟინერს შეტყობინება და დანამატის ნიმუში.

B - ცემენტაცია

ცემენტაციის სამუშაოების დაწყებამდე სულ მცირე 5 დღით ადრე კონტრაქტორმა და-სამტკიცებლად უნდა წარადგინოს სრული დეტალური წინადაღებები და დეტალური გეგმა ცემენტაციისათვის, მის მიერ შემოთავაზებული ღონისძიებების, ყველა მოწყობი-ლობის, ხელსაწყოსა და საცემენტაციო მასალის სპეციფიკაციების, პერსონალის კვა-ლიფიკაციის და გამოცდილების ჩათვლით.

ცემენტაციის მთლიანი პროგრამა შემუშავდება კონტრაქტორისა და ინჟინრის ერთო-ბლივი ძალისხმევით. საცემენტაციო ნარევები, წნევები, ტუმბების ნორმები და თანმიმდევ-გრობა ექვემდებარება შერჩევას და შესაძლებელია მათი მოდიფიცირება სამუშაო პირო-ბებისადმი მისადაგების მიზნით. საცემენტაციო სამუშაოები უნდა დაიგეგმოს იმგვარად, რომ მათი შესრულება შესაძლებელი იყოს დამტკიცებული გეგმის მიხედვით, სხვა სამუშაოებთან ერთად. საცემენტაციო პროგრამის მოდიფიკაციები განხორციელდება ინჟინრის მითითებით.

ცემენტაციის თითოეული ფაზის წინ კონტრაქტორი დასამტკიცებლად წარმოადგენს განსაზღვრული საცემენტაციო სამუშაოების დეტალურ პროგრამას მის მიერ შემოთავა-ზებული მეთოდებისა და საცემენტაციო ანარევების დეტალების შესახებ ინფორმაცი-ასთან ერთად. არც ერთი საცემენტაციო სამუშაო არ უნდა შესრულდეს ინჟინრის წინასწარი წერილობითი დასტურს გარეშე.

საცემენტაციო სამუშაოების შესრულებისას კონტრაქტორი გამუდმებით აწარმოებს სა-ცემენტაციო ოპერაციების ძირითად პარამეტრებს (წნევა, საცემენტაციო ხსნარის ნა-კადი, დრო). ცემენტაციის ეს მონაცემები შეტანილი იქნება დამტკიცებულ ფორმაში და ყოველკვირეულად წარედგინება ინჟინერს. წყლის დაწევების ტესტირების და საცემე-ნტაციო ხსნარის ჩასხმის შედეგები წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც ცხრილის, ასევე გრაფიკების სახით. ჩანაწერები უნდა შეიცავდეს შემდეგს:

- 1) ჭაბურლილების რაოდენობა და ადგილმდებარეობა;
- 2) წყლის დაწევით ტესტირების შედეგები;
- 3) ცემენტაციის მეთოდი;
- 4) ცემენტაციის დაწყებისა და საცემენტაციო სამუშაოების თითოეული ცვლილე-ბის თარიღი და დრო;
- 5) უწყვეტი ცემენტაციის ჩანაწერები, ჩატუმბების და საცემენტაციო წნევის ფარდობა (და მანომეტრის ანათვალი) დროსთან დაკავშირებით;
- 6) წყალ-ცემენტის ფარდობა და მისი ვარიაციები;
- 7) გამოყენებული ცემენტის, ქვიშის, დამატებებისა რაოდენობები ცალ-ცალკე;

- 8) კავშირები, თუკი ასეთი არსებობს, სხვა ბურღილებსა და ნაპრალებთან, ისევე, როგორც წყლის ან საცემენტაციო ხსნარის ზედაპირზე გამოჟონვის ადგილები; ნაპრალის ადგილმდებარეობა, მისი პლასტიკური მასალით შევსების ხერხი და წარმატების ხარისხი უნდა აღიწეროს და ზედაპირული ფილტრაციის თითოეული ადგილის მიახლოებითი მდებარეობა და განშტოება უნდა აღირიცხოს ყველგან;
- 9) შესრულების დრო;
- 10) პასუხისმგებელი ბრიგადირის გვარი.

ინჟინერი უფლებას იტოვებს საჭიროებისამებრ მოითხოვოს წარსადგენ დოკუმენტებში ჩასართავი დამატებითი ინფორმაციას.

11.4 მოწყობილობები

A – საბურღი მოწყობილობები

ყველა საბურღი მოწყობილობა უნდა იყოს იმ ტიპის, სიმძლავრის და ისეთ მექანიკურ მდგომარეობაში, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია კონტრაქტით მოთხოვნილი ბურღვების ჩატარება და უნდა ექვემდებარებოდეს ინჟინრის მიერ დამოწმებას.

კონტრაქტორს სამშენებლო მოედანზე უნდა ჰქონდეს საკმარისი რაოდენობის საბურღი დანადგარები, რათა დროულად შესძლოს სამუშაოების შესრულება. საბურღი დანადგარები უნდა იყოს კარგ სამუშაო მდგომარეობაში და უზრუნველყოფდეს სამუშაოების დამაკმაყოფილებელ წარმართვას. დაუშვებელია მიწისქვეშა სამუშაოებისათვის საბურღი მოწყობილობების მუშაობისათვის შიგაწვის ძრავებით.

საბურღ მოწყობილობებს უნდა შეეძლოთ ნებისმიერი კუთხით ბურღვა ზეპიონ ან ქვევით და უნდა ჰქონდეთ შემდეგი შესაძლებლობები:

- 1) საძიებო ჭაბურღილები 5 მ-მდე;
- 2) ბურღვა საკონტაქტო ცემენტაციისათვის 1მ მოსახვის შემდეგდეგ.

გამოყენებული იქნება მბრუნავი და დარტყმითი ტიპის სტანდარტული საბურღი მოწყობილობები, რათა ბურღვები შესრულდეს აქ მოყვანილი წესით ან ინჟინრის მოთხოვნის შესაბამისად. დარტყმითი ბურღვის მოწყობილობები აღჭურვილი იქნება წყლის მენჯით ბურღვის დროს ჭაბურღილების განუწყვეტელი გამორეცხვისათვის.

ჟინგალპესის გამყვანი გვირაბი

ჟინგალპესის გამყვანი გვირაბის რეაბილიტაცია

სატენდერო დოკუმენტაცია

საზოგადოდ, დარტყმითი ბურღვები ჩატარდება მხოლოდ საკონტაქტო ცემენტაციის დროს. ინჟინერმა შეიძლება მოითხოვოს ზოგიერთი საცემენტაციო ჭაბურღლილისა და წნევის განმტკირთავი ჭაბურღლილის გაჭრა დარტყმითი ბურღვების გამოყენებით. მბრუნავი ტიპის მანქანებს უნდა შეეძლოთ 76 მმ ზომის ბურღლილების გაჭრა კერნის ორმაგმილიანი ამომღებების გამოყენებით, რომელთაც შეუძლიათ სუსტი ან მყიფე ქანებიდან კერნის მაქსიმალური ამოღება. მოწყობილობები და ბრიგადა ადგილზე მზადყოფნაში უნდა იყვნენ, როდესაც ინჟინერი მოითხოვს ჭაბურღლილების გაბურღვას. ყველა ასეთი კერნი სათანადოდ უნდა იქნას შენახული ხის ყუთებში და ჩაუტარდეს კაროტაჟი შესამოწმებლად.

საბურღლი დანადგარები უნდა იყოს მობილური და გვირაბის ზომებისათვის შესაფერისი.

კონტრაქტორმა სამშენებლო ტერიტორიაზე უნდა იქონიოს სხვადასხვა ტიპისა და ზომის ბურღვების (საბურღლი თავაკი) დიდი მარაგი, რათა შეძლოს სამუშაოების წარმოების პერიოდში სხვადასხვა შემხვედრი მასალის ოპტიმალური გაბურღვა, აგრეთვე, უნდა პქონდეს საკმარისი რაოდენობის საბურღლი შტანგები და სხვადასხვა დიამეტრის სამაგრი მიღები, რათა უზრუნველყოს შესაფერისი განშლადობა და ჭაბურღლილების მდგრადობა.

კონტრაქტორმა უნდა მოაწოდოს მზომი მოწყობილობები, ჭაბურღლილების ფაქტობრივი დახრილობისა და სწორხაზოვნობის შესამოწმებლად.

B – საცემენტაციო მოწყობილობები

სამუშაოების შესასრულებლად გამოყენებული უნდა იყოს მხოლოდ თანამედროვე, გამართულად მომუშავე, ინჟინრის მიერ დამტკიცებული საცემენტაციო მოწყობილობები და მათზე იმუშავებს კვალიფიციური და გამოცდილი პერსონალი. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქიმიური ნაწარმის გამოყენების შემთხვევაში.

საცემენტაციო სამუშაოს შესასრულებლად საჭირო მოწყობილობები უნდა მოიცავდეს ამრევებს, ცემენტის სხნარის ტუბმბოებს, პაკერებს, მილებს, საცემენტაციო ხაზებს, ფიტინგებს, მანომეტრებს, განათების ქსელებს, გადასატან საცემენტაციო ფიცარნაგებს და სხვადასხვა მარაგებს. მშენებლობის გრაფიკის შესასრულებლად აუცილებელია საკმარისი რაოდენობის საცემენტაციო მოწყობილობების მოწოდება და თითოეულ დანადგარს უნდა შეეძლოს სხვადასხვა სიბლანტის ცემენტის სხნარის დამაკმაყოფილებელ დონეზე მიწოდება, არევა, ჩატუმბება და შეშეურება, როგორც აქ არის განსაზღვრული. მოწყობილობები ყოველთვის უნდა იყოს კარგ სამუშაო მდგომარეობაში, ხოლო ყველა საცემენტაციო ჭაბურღლილი, რომელიც დაკარგული ან დაზიანებულია მოწყობილობების მექანიკური დაზიანების ან ცემენტის სხნარის არასაკმარისი მიწოდების გამო, კონტრაქტორმა, ყოველგვარი დამატებითი ანაზღაურების გარეშე, უნდა შეცვალოს სხვა ჭაბურღლილით.

ცემენტის ხსნარის ასარევ და მიმწოდებელ მოწყობილობებს უნდა შეეძლოს ცემენტის ხსნარის მთელს სისტემაში უწყვეტი ცირკულირების უზრუნველყოფა და მოცულობისა და წნევის ზუსტი კონტროლი. მათ უნდა შეეძლოთ ცემენტის ხსნარის ეფექტურად შეზღავება და არევა, მისი მიწოდება ჭაბურლილში გამუდმებულ უწყვეტ ნაკადად ნებისმიერი სასურველი წნევით ცემენტაციისათვის აუცილებელ მაქსიმალურ წნევამდე ხარჯით 50 ლ/წთ.

საცემენტაციო ტუმბოები უნდა იყოს მზარდი ღრმულის ტიპის და უნდა შეეძლოთ სულ მცირე 50 ლ/წთ ცემენტის ხსნარის ტუმბვა.

ცემენტის ხსნარის მომრევების მინიმალური მოცულობა უნდა იყოს 0,5 მ³ და იყოს მექანიკური პორიზონტალურ ფრთებიანი ან, უმჯობესია იყოს კოლოიდური მაღალსიჩქარიანი ცენტრიდანული ტუმბოიანი ტიპის. ამრევთან უნდა იყოს საცემენტაციო მასალების ზუსტი მზომი მოწყობილობები, რათა შესაძლებელი იყოს ანარევის პროპორციების საგულდაგულო კონტროლი.

ზუმფი ან შემკრები ცისტერნები, მინიმალური მოცულობით 0,5 მ³ უნდა იყოს მექანიკური მოქმედების და იმგვარად მოწყობილი, რომ ცემენტის ხსნარი იყოს არეული და შეწონილ მდგომარეობაში. ცემენტის ხსნარი შემრევიდან მთლიანად უნდა ჩაიცალოს სარევში, ხოლო სარევიდან სატუმბ სექციაში 2,36 მმ-იანი საცერის გავლით დიდი ნაწილაკების მოსაცილებლად.

წყალსაზომები გრადუირებული უნდა იყოს ლიტრებში და ლიტრის მეათედებში ბაიპასის გარეშე, რათა შესაძლებელი იყოს წყლის ხარჯის უშუალოდ სარევში გაზომვა. წყალსაზომის ზევით, წყლის მოწყოდებელ ხაზს უნდა ჰქონდეს ბადისებრი ფილტრი გამწმენდი სარქველით, რათა ქვიშა და აბრაზიული ნაწილაკები არ მოხვდეს წყალსაზომში.

დამტკიცებული მოდელის მანომეტრები იმგვარად უნდა იყოს გრადუირებული, რომ ფარავდეს დიაპაზონს 0-დან 1 ნ/მმ² (1000 კპა) და 0-დან 4.0 ნ/მმ² (4000 კპა). თითოეულ საცემენტაციო დანადგარზე უნდა იყოს სათანადო რაოდენობის სათადარიგო მანომეტრები. კონტრაქტორს ევალება სტანდარტული საკონტროლო მანომეტრის მოწყობა, რომლის მიხედვითაც პერიოდულად მოხდება ყველა დანარჩენი მანომეტრის სიზუსტისა და დამაკმაყოფილებელი მუშაობის შემოწმება. ყველა მანომეტრი უნდა იყოს დანომრილი იდენტიფიკაციის მიზნით.

პაკერებს უნდა შეეძლოთ საცემენტაციო ჭაბურლილების ეფექტურად დაგმანვა დადგენილ ნიშნულზე და უნდა ჰქონდეთ მაქსიმალური საცემენტაციო წნევების ფილტრაციის გარეშე გაძლების უნარი. გამოსაყენებელი პაკერი უნდა იყოს პნევმატურად განშლადი რეზინის მილიანი ტიპის.

გამოყენებული იქნება ორმილიანი საცირკულაციო სისტემა და ყველა მილის, კედლისა და შეერთების შიდა დიამეტრი არ უნდა იყოს 25 მმ-ზე ნაკლები. შლანგებსა და მიმწოდებებს უნდა შეეძლოთ ცემენტაციისათვის დადგენილზე 50%-ით მეტი წნევის გაძლება.

ჭაბურღილებში ცემენტის სსნარის მისაწოდებლად აუცილებელია საცემენტაციო თავა-კები. თავაკს უნდა ჰქონდეს მიმწოდებელთან შემაერთებელი, ასევე ჭაბურღილებთან შემაერთებელი სარქველითურთ და უკუქვევითი მილი სარქველით. დამონტაჟებული უნდა იქნას დამტკიცებული მოდელის ორი მანომეტრი სათანადო წნევის დიაპაზონისა-თვის. ერთი დაიდგმება მიწოდების წნევის გასაზომად ტუმბოზე, ხოლო მეორე - უკუ-წნევის გასაზომად ჭაბურღილზე.

კონტრაქტორმა უნდა მიაწოდოს, დაამონტაჟოს, შეინარჩუნოს და დამაკმაყოფილებლად ამუშავოს საკომუნიკაციო სისტემა საცემენტაციო დანადგარებსა და გასაბურღილებებს შორის, მიუხედავად საცემენტაციო უბნების აღგილმდებარებისა.

კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს საქმარისი რაოდენობის ტექნიკური პერსონალის, ოპერატორების, მუშების, სათადარიგო ხელსაწყოების მიწოდება, სამუშაოს თითოეული ფაზის სწორად და დროულად შესასრულებლად.

საცემენტაციო მოწყობილობები უნდა იყოს მობილური და გვირაბის ზომის შესაფე-რისი.

11.5 საგელე ლაბორატორია

კონტრაქტორს უნდა ჰქონდეს სამშენებლო უბნებზე ბურღვით და საცემენტაციო სამუშაოებთან დაკავშირებული კვლევისა და ტესტირებისათვის სპეციალურად აღჭურვილი მობილური ლაბორატორია. ლაბორატორიაში უნდა მუშაობდნენ გამოცდილი ასისტენტები, რომლებიც იცნობენ ჩვეულებრივი საცემენტაციო ტესტირების ტექნიკას.

გარდა ჩვეულებრივი ლაბორატორიული მოწყობილობებისა, როგორიცაა: სასწორი, ღუმელი, წყალშეუღწევადობის მზომი, მრიცხველი და სხვა, ლაბორატორიას უნდა ჰქონდეს:

-]) მრავალსიჩქარიანი ლაბორატორიული მიქსერი;
-]) მარშის ტესტის კონუსი;
-]) საცერების ნაკრები წვრილი მასალის მარცვლების ზომების დასადგენად.
-]) ჩვეულებრივი ლაბორატორიული მინის ჭურჭელი, მათ შორის 1-ლიტრიანი კოლბები და სინჯარები, თერმომეტრები და აერომეტრები და ატერბერგის ზღვრის საზომი ჭიქები;
-]) ბაროიდის შკალიანი ნარევის სიმკვრივის მზომი ხელსაწყო.

ინჟინერს უნდა ჰქონდეს ლაბორატორიაში თავისუფალი შესვლის, ნებისმიერი კვლევის და გაზომვის ჩატარების უფლება, რომელსაც ის საჭიროდ მიიჩნევს.

ჟინგალპესის გამყვანი გვირაბი
ჟინგალპესის გამყვანი გვირაბის რეაბილიტაცია
სატენდერო დოკუმენტაცია

კონტრაქტორმა ინჟინრის მითითებით უნდა მოამზადოს და გამოსცადოს სასინჯი ნარევები ცემენტაციის დაწყებამდე სულ მცირე 28 დღით ადრე. საცემენტაციო ნარევებში გამოსაყენებელი მასალები უნდა გამოიცადოს იმ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, რომლებსაც ითვალისწინებს ამ ნაწილის თავი "მასალები". ტესტები უნდა ჩატარდეს სამუშაოებში გამოყენებისათვის შემოთავაზებულ ცემენტის სსნარის ნარევებზე, რათა დადგინდეს კონსისტენციები ანარევში, ანარევის კომპონენტების პრაქტიკული თანაფარდობა, თავდაპირველი და საბოლოო გამყარების დრო და სხვა ისეთი თვისებები, რომელთაც შეიძლება გავლენა იქონიონ ცემენტის სსნარის ხარისხზე.

ფაქტორივი ცემენტაციის ოპერაციების დროს კონტრაქტორმა ცემენტაციის თანადროულად უნდა ჩაატაროს ტესტები ცემენტის სსნარის ნარევებზე და დიაგრამაზე დაიტანოს სიბლანტის, დალექტის ზღვრების, კუმშვისადმი სიმტკიცის ზღვრის, ცემენტაციისათვის დასაშვები მაქსიმალური სიბლანტის სიდიდეები. ტესტირების სიხშირე უნდა იყოს ერთჯერადი თითოეული საცემენტაციო სამუშაო უბნისათვის ან მისადები კრიტერიუმების დაკმაყოფილებამდე. თუმცადა, თუკი ადგილი ექნა ცემენტის წყაროს მნიშვნელოვან ცვლილებას, სინჯების აღება და ტესტირება უნდა განმეორდეს, ხოლო ახალი ანარევი უნდა დაამტკიცოს ინჟინერმა.

11.6 საცემენტაციო მასალები

ბურღვების, გარეცხვისა და პიდრავლიკური ტესტირებისათვის, აგრეთვე ცემენტის სსნარის ანარევების ინგრედიენტების სახით გამოყენებული წყალი უნდა იყოს ახალი, სუფთა და არ უნდა შეიცავდეს ლამის, ორგანული მატერიის, ტუტეების, მჟავების, მარილების, ზეთისა და სხვა უსუფთაობის საზიანო რაოდენობებს.

საცემენტაციო ანარევებში გამოყენებული უნდა იყოს პორტლანდ ცემენტი. ნაწილაკების ზომა უნდა იყოს ისეთი წვრილი, რომ 99,0%-მა გაიაროს 74-მილიმეტრიან საცერში, ხოლო დაფქვის სიწმინდე არ იყოს 3500 სმ²/გ-ზე ნაკლები. ცემენტი არ უნდა შეიცავდეს გუნდებს (მსხვილ ნაწილაკებს).

ჩემენტის სერტიფიკატი უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

- 1) ცემენტის ტიპი;
- 2) სიმტკიცე;
- 3) დაფქვის სიწმინდის სიდიდე

როდესაც კი მოხდება ცემენტის სსნარის ანარევში ქვიშის დამატება, ის უნდა შეიცავდეს სუფთა, მკვრივ და გამძლე ნაწილაკებს და არ უნდა შეიცავდეს თიხის ნატეხებისა და დაუშვებელი უცხო მასალის ფრაგმენტებს. სამუშაოების წარმოების ადგილის სიახლოეს გამუდმებით უნდა იყოს 5 მ³ ქვიშის მარაგი. ქვიშა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პარამეტრებს:

საცრის ზომა (მმ)	გამონაცერის პროცენტული ოდენობა (წონით)
2.360	100
1.800	95-100
0.600	60-85
0.300	30-50
0.150	10-30
0.075	0-5

ქვიშის შემოცმება მოხდება საველე ლაბორატორიაში არსებული საცრების საშუალებით. შემოწმება უნდა შესრულდეს ქვიშის ყოველი მიწოდების დროს.

იმისათვის, რომ ცემენტის ხსნარის ანარევში მიღწეული იყოს ოპტიმალური სიმტკიცე, სიბლანტე, სიმკვრივე, დეკანტაცია, გამყარების დრო და ჯდენა, კონტრაქტორის მიერ აუცილებელია დამტკიცებული მინარევების გამოყენება.

მინარევები უნდა იყოს სერიული წარმოების. ნებისმიერ შემთხვევაში ცემენტის ხსნარის ანარევი უნდა შეიცავდეს მაქსიმუმ 1% სუპერპლასტიფიკატორს, სიბლანტისა და წყლის შემცველობის შესამცირებლად და სუსპენზიის სტაბილიზაციისათვის. გამოყენებული უნდა იქნას მხოლოდ წინასწარი შემოწმებით დამტკიცებული მინარევები, რომელსაც დამტკიცებს ინჟინერი. დამამზადებლის სერტიფიკატები ან გარანტიები არ მიიღება, როგორც რომელიმე მინარევის შესაფერისობაზე კონტრაქტორის პასუხისმგებლისაგან განთავისუფლების საფუძველი.

კონტრაქტორმა ისე უნდა მოუაროს, შეინახოს და დაიცვას ცემენტის და დამატებების მარაგები, რომ ეს მასალები არ გაფუჭდეს ან არ დაბინძურდეს. გაფუჭებული ან დაბინძურებული მასალების გამოყენება სამუშაოების შესასრულებლად დაუშვებელია.

11.7 ცემენტის ნარევები

ყველა ცემენტის ხსნარი უნდა იყოს სტაბილური (ერთგვაროვანი) და სქელი. ზოგიერთი განსხვავებული შეზავების ხსნარი (შესაძლოა დამატებებით, თუკი მათი გამოყენების ეფექტიანობა დამტკიცებულია) მომზადდება ადგილზე, რათა მისი ცემენტის რძის გამოყოფის, სიმტკიცისა და სიბლანტის მიხედვით მოიძებნოს საუკეთესო ნარევი. წყალ/ცემენტის პროპორცია 0.5 და 1.0 შორის მოცემულია საორიენტაციოდ და შემდეგ მოხდება მისი შეჯერება გამოსაყენებელ მასალების შესაბამისად. როდესაც ლაბორატორიული ცდებით დადგინდება მისაღები პარამეტრების ანარევი, ეს ანარევი პროექტით გათვალისწინებული ყველა საცემენტაციო სამუშაოსათვის იქნება გამოყენებული.

გამოსაყენებელი ნარევია - ნარევი ქვიშა/ცემენტის ფარდობით 1:1.

ცემენტაციის სამუშაოების განმავლობაში საცემენტაციო ნარევი შემოწმებული უნდა იყოს ორჯერ დღეში. ნარევის ნიმუში უნდა იქნეს აღებული შემრევიდან და შემდეგი ტესტები უნდა ჩატარდეს:

- 1) სიმკვრივე (ცემენტის რაოდენობის დასადგენად)
- 2) მარშის სიბლანტე
- 3) ჯდენა (2 სთ შემდეგ)

საცემენტაციო ნარევის საპროექტო მახასიათებლები არის შემდეგი:

ნარევის შემადგენლობა	ნარევის მახასიათებლები			
wyal/cementis fardoba	ქვიშა/ცემენტი ს ფარდობა	ხვედრითი წონა	მარშის სიბლანტე	ჯდენა 2 სთ. შემდეგ
0.5-1.0	1.0	1.5-2.0	გაუგალობა	max 5%

ცხრილი II-I: საცემენტაციო ხენარის რეცეპტი

სიბლანტის სიდიდე დაღინდება მარშის კონუსის მეშვეობით, ხოლო ხვედრითი წონა სპეციალური სასწორით (Mud Balance), API RP 13B პროცედურების შესაბამისად.

ჯდენის სიდიდე დგინდება 1 ლიტრიან 6 სმ დიამეტრის კოლბაში ნარევის დაჯდომის შემდეგ ხილული წყლის მოცულობის და დაჯდომამდე ნარევის სრული მოცულობის მიხედვით.

ტესტის შედეგები უნდა შეტანილი იყოს სპეციალურ ფორმაში. შერჩევითი შემოწმებები უნდა შესრულდეს ორჯერ დღეში მეორად ავზში.

თუ ცემენტის ნარევი დაყოვნდება ამრევში 2 საათზე მეტი ხნით, სიბლანტე უნდა გაიზომოს ნერევის გამოყენების წინ: თუ სიბლანტის მაჩვენებელი აღემატება მაქსიმალურ დასაშვებ სიდიდეს ნარევი უნდა გადაიყაროს. გადასაყრელი ნარევი უნდა დაიყაროს სპეციალურ შემგროვებელზე და გატანილი იქნას გვირაბიდან. ადგილი და მოწყობილობა შესაბამისად უნდა იქნას გარეცხილი.

11.8 შესრულება

A – ზოგადი ნაწილი

ბურღვებისა და ცემენტაციის შემოთავაზებული პროგრამა წინასწარია. ინჟინერი უფლებას იტოვებს გაზარდოს ან შეამციროს ბურღვებისა და ცემენტაციის პროგრამის ნებისმიერი ნაწილი, თუკი კონკრეტულ პირობებში ამის საჭიროება იქნება.

კონტრაქტორმა უნდა მიაწოდოს საკმარისი რაოდენობის სატუმბი და სასაწყობო სიმძლავრეები, რათა უზრუნველყოს თითოეულ საცემენტაციო უბანზე ყველა საცემენტაციო სამუშაოსათვის აუცილებელი წყლის მარაგის უწევები მიწოდება. მიმწოდებელ მოლებში წყლის მინიმალური წნევა უნდა იყოს 0.35 ნ/მ².

ჟინგალპესის გამყვანი გვირაბი

ჟინგალპესის გამყვანი გვირაბის რეაბილიტაცია

სატენდერო დოკუმენტაცია

ეფექტიანი და დამაკმაყოფილებელი მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით კონტრაქტორმა უნდა დაიქირავოს კომპეტენტური და გამოცდილი ბურღვებისა და ცემენტაციის ზედამხედველები, რომლებიც შეასრულებენ ინჟინრის მითითებებს და გააკონტროლებენ სამუშაოს შესრულებას.

ბურღვების, ცემენტაციის და გარეცხვისა დროს კონტრაქტორმა უნდა შეინახოს ბეტონის და კლინის ზედაპირები ზეთის, საპოხის, საბურღლი შლამის, ცემენტის ხსნარის, ცემენტის, ჭარბი წყლისა და სხვა ნარჩენებისაგან გასუფთავებულ მდგომარეობაში. ამ ნაწილში აღწერილი სამუშაოების წარმოების პროცესში კონტრაქტორმა ყოველთვის უნდა დაიცვას ყველა დია ჭაბურღლილი ამოგსებისაგან ან მასში ზეთის, საპოხის, ბურღვის შლამის, ცემენტის ხსნარისა და ნარჩენების მოხვედრისაგან. თითოეულ უბანზე სამუშაოების დამთავრების შემდეგ უბნიდან წასვლამდე კონტრაქტორი გაასუფთავებს ტერიტორიას და გაიტანს მთელ ნაგავს.

დაუშვებელია საბურღლი შტანგისათვის შემამჭიდროებელი საგოზავის, პლასტიკური ან ზეთოვანი საპოხის გამოყენება. ინჟინრის წერილობითი თანხმობის გარეშე დაუშვებელია რომელიმე ტიპის საბურღლი ხსნარის დამატებების გამოყენება.

ფუძისა და კლინის მასივის მდგომარეობის შესახებ ცოდნისა და სათანადო გამოცდილების მიღების შედეგად შესაძლოა გარკვეულად შეიცვალოს ბურღვისა და ცემენტაციის ხერხები. კონტრაქტორს მოეთხოვება ინჟინრის ინსტრუქციით შეცვალოს ოპერაციები ამგვარი მოდიფიკაციების შესაბამისად. ზოგიერთ ადგილებზე შეიძლება აგრეთვე წარმოიშვას ჭაბურღლილების ტელესკოპური ხერხით გაბურღვის აუცილებლობა.

როგორც ბრუნვითი, ასევე დარტყმითი ბურღვების (საკონსოლიდაციო ცემენტაცია) ჩატარება ცემენტაციისთვის მოითხოვება გვირაბიდან სხვადასხვა კუთხით, მათ შორის ვერტიკალურად აღმავალი მიმართილებით.

ყველა ჭაბურღლილი უნდა გულდასმით გამოირეცხოს და გასუფთავდეს საბურღლი წყლის ჭაბურღლილში გაშვებით, ვიდრე ჭაბურღლილიდან შედარებით სუფთა საბურღლი ხსნარი არ დაიწყებს ამოსვლას.

ყველა ჭარუბლილი უნდა იყოს გაჭედვისაგან დაცული. გაჭედილი ჭაბურღლილები კონტრაქტორის ხარჯით ხელახლა უნდა გაიბურდოს და გასუფთავდეს.

თუ სხვა რამ არ იქნა მითითებული, ჭაბურღლილები არ უნდა გადაიხაროს საპროექტო მიმართულებიდან საპროექტო სიგრძის 2%-ზე მეტად.

ყველა ჭაბურღლილი უნდა გაბურღლოს დადგენილ ადგილზე 250 მმ-ის სიზუსტით. ორიენტაცია 1⁰-ის სიზუსტით უნდა იყოს დაცული. თუ რაიმე მიზეზით ჭაბურღლილის დახრილობის ან ორიენტაციის სიზუსტე არ იქნა დაცული და არ აკმაყოფილებს მისთვის დადგენილ დანიშნულებას, კონტრაქტორმა უნდა გამოასწოროს ცდომილება ან გაბურღლოს ახალი ჭაბურღლილი ინჟინრისათვის მისაღები პარამეტრებით.

გალერეის იატაკიდან გაბურდილი ნებისმიერი საცემენტაციო ან დაწევის მოსახსნელი ჭაბურდილის გაბურდვისა და გამორეცხვის დამთავრებისთანავე კონტრაქტორმა ჭაბურლილებს დაუყოვნებლივ უნდა დაადოს სათანადო მოსახსნელ-სახშობიანი (ხის ან პლასტიკური) ხუფები და დაიცვას ჭაბურლილები შლამის ან სხვა უცხო მასალის მოხვედრისაგან. ყველა საცემენტაციო ან დაწევის მომხსნელი ჭაბურდილი, რომელიც დაზიანდება ცემენტაციამდე ან მუხლა მიღებელის დაყენებამდე, უნდა გამოიწმინდოს ან კონტრაქტორმა უნდა გაბურდოს სხვა ჭაბურდილი.

საცემენტაციო ან დაწევის მომხსნელი ჭაბურდილები არ უნდა გაიბურდოს მეორე ჭაბურდილიდან 12 მეტრის რადიუსში, რომლის ცემენტაციაც მიმდინარეობს ან რომლის ცემენტაციაც მოხდა უკანასკნელი 24 საათის განმავლობაში.

B – ბურდგა საკონტაქტო ცემენტაციისთვის

ჭაბურდილების გაბურდვის ადგილი, თანმიმდევრობა, ორიენტაცია, დახრილობა და სილრეჟ უნდა იყოს ისეთი, როგორც ეს ნახაზებზე მითითებული ან უნდა შეესაბამებოდეს ინჟინრის მიერ დაწესებულ მოთხოვნებს.

საკონტაქტო ცემენტაციისთვის ბურდგა შესაძლოა განხორციელდეს დარტყმითი ტიპის დანადგარით, რომელიც აღჭურვილი უნდა იყოს მუდმივი გარეცხვის მქანიზმით საბურდი შტანგის ბოლოს.

C – საძიებო ბურდგა

კონტრაქტორმა ბეტონში, კლდეში ან გამყარებულ ცემენტის ხსნარში უნდა გაბურდოს საძიებო ჭაბურდილები ნებისმიერი დახრილობით, რომელსაც მიუთითებს ინჟინერი. უფრო მეტიც, ინჟინერი განსაზღვრავს საძიებო ბურდვების რაოდენობასა და საჭიროებას.

დაუშეგებელია წყლის გარდა საბურდე ხსნარის ან რომელიმე სხვა საბურდი სითხის გამოყენება კერნის ამოღებისას.

როდესაც ინჟინერი მოითხოვს კერნის ამოღებას, კონტრაქტორმა უნდა შეაგროვოს კერნები და მოათავსოს ხის ყუთებში სწორი თანმიმდევრობით და ხის ეტიკეტებზე დასახელებასთან ერთად ყოველთვის მიუთითოს ჭაბურლილში გაზომილი მანძილები. ყუთში უნდა მოთავსდეს მხოლოდ ერთი ჭაბურლილიდან ამოღებული კერნები. დასახელების აღნიშვნა, ჭაბურლილის ნომერი და სილრეჟ უნდა წაეწეროს ყუთებს, სახურავი მჭიდროდ უნდა იყოს მორგებული კერნის შესანახ ყუთზე, ხოლო ყუთები გატანილ უნდა იქნას ინჟინრის მიერ მითითებულ, ობიექტთან ახლოს მდებარე ტერიტორიაზე.

მოთხოვნილი კერნის მაქსიმალური ამოღება და იმ შემთხვევაში, თუ აღინიშნება კერნის დაბლოკვა ბურდის მოქმედებიდან გამომდინარე, კერნი დაუყოვნებლივ უნდა იქნას მოცილებული ჭაბურლილიდან, მიუხედავად იმისა, თუ რა სილრმეზე მოხდა ჩასვლა.

საძიებო ჭაბურლილებს ჩაუტარდება წყლის დაწევით ტესტირება და დაცემენტდება, თუკი ამას მოითხოვს ინჟინერი.

კონტრაქტორმა ინჟინერს უნდა გაუწიოს ყოველგვარი საჭირო დახმარება და მიაწოდოს საშუალებები ლოკალური ტესტების, ჭაბურდილის ფოტოაპარატით შემოწმების ან გეოფიზიკური ტესტირების ჩასატარებლად შერჩეულ საძიებო ჭაბურდილებში, თუკი ამას მოითხოვს ინჟინერი.

D - ცემენტაცია

საცემენტაციო ჭაბურდილების ცემენტაცია არ უნდა მოხდეს ინჟინრის ნებართვის გარეშე მანამდე, ვიდრე საცემენტაციო ჭაბურდილიდან 12 მ-ის რადიუსში ბეტონის/ტორკრეტეტონის დაგებიდან და გამყარებიდან არ გაივლის 5 დღე.

რამდენადაც პრაქტიკულად შესაძლებელია, ცემენტაციის ხსნარის უწყვეტ ნაკადად მიწოდება უნდა შენარჩუნდეს მოთხოვნილი წესით, ხოლო საცემენტაციო მოწყობილობები უნდა მუშაობდეს ისე, რომ ცემენტაციის მთელი ოპერაციის მანძილზე უზრუნველყოფილი იყოს უწყვეტი და უფასესი ფუნქციონირება.

თუ ერთი ჭაბურდილი შეუერთდა მეორეს ხსნარის მიწოდების პროცესში, ცემენტის ხსნარი გამოშვებული უნდა იქნას მეორე ჭაბურდილიდან მანამდე, სანამ ხსნარი არ გახდება იმ კონსისტენციისა, როგორიცაა მოწოდებული ხსნარი. მეორე ჭაბურდილი შემდეგ უნდა დაიხუფოს და კომბინირებული ჭაბურდილები უნდა მოექცეს დაწევის ქვეშ. მას შემდეგ, რაც მოხდება პირველი ჭაბურდილის ცემენტაცია, ყველა დანარჩენი ჭაბურდილი თანმიმდევრულად უნდა მიუერთდეს საცემენტაციო კოლექტორს, რათა ისინი მოექცენ სრული წევის ზემოქმედების ქვეშ.

ცემენტაცია უნდა შეწყდეს, როდესაც მანომეტრები დააფიქსირებენ წნევის უეცარ ვარდნას ან როდესაც ცემენტის ხსნარის შეწოვა მკვეთრად გაიზრდება ან როდესაც არსებობს წანაცვლების, რდგვევის ან ფილტრაციის რაიმე ნიშანი. შესაძლოა საჭირო გახდეს დამატებითი ჭაბურდილების გაბურდვა და ცემენტაცია საპერმეტიზაციო ნაპრალების სიახლოეს, რომლებიც შეიძლება დარჩენილიყო საცემენტაციო ოპერაციის შეწყვეტით ჭაბურდილების ნაადრევი გაჭედვის გამო.

ნებისმიერ სიღრმეზე უფასესი წნევა უნდა ითვალისწინებდეს პიდროსტატიკურ დაწნევას, გამოწვეულს ჭაბურდილში ცემენტის ხსნარის წონითა და წყლის უკუწნევით.

ცემენტის ხსნარი უნდა იყოს სქელი სტაბილური სუსპენზია, ერთნაირი ცემენტაციის მთელი პროცესისათვის და ცემენტის ხსნარის რამდენიმე ნარევზე ლაბორატორიული ტესტების სრულყოფილი სერიის შემდეგ მასში წყლისა და ცემენტის პროპორცია (წონით) უნდა იყოს 1:1-დან 0.5:1-მდე დიაპაზონში. შესამოწმებელი პარამეტრებია:

- 1) ხელო არსებული ცემენტის სიმსხო;
- 2) სხვადასხვა მინარევები (მაგ: ინტრაპლასტი, ინტრაკრიტი, რეობილდი, სიკამენტი და ა.შ.) სხვადასხვა პროცენტული წილით (ბენტონიტის გარეშე);
- 3) თითოეული ცემენტის ხსნარის სუსპენზიის ხვედრითი წონის, მარშის სავარაუდო სიბლანტის, 2 საათის შემდეგ ჯდენის, შეჭიდულობის, თავდაპირველი და საბოლოო გამყარების დროის.

ჟინგალპესის გამყვანი გვირაბი

ჟინგალპესის გამყვანი გვირაბის რეაბილიტაცია

სატენდერო დოკუმენტაცია

ცემენტის ხსნარის საბოლოო შედგენილობა უნდა დაამზრდოს ინჟინერმა.

როდესაც დაწევა არ იქმნება სქელი (ე.ი. წყლისა და ცემენტის წონით 0.6:1-ზე ნაკლები პროპორციის მქონე) ან ქვიშის შემცველი ცემენტის ხსნარით ცემენტაციის შემდეგაც, მიზანშეწონილია ცემენტაციის შეწყვეტა, როგორც კი ხარჯი მიაღწევს წინასწარ დადგენილ მიღების ზღვარს. ამგვარი ჭაბურლილების სიახლოვეს უნდა გაიძუროს და დაცემენტდეს დამატებითი ჭაბურლილები.

ყველა საცემენტაციო ჭაბურლილი უნდა შეივსოს ცემენტის ხსნარით. უნდა მოხდეს მინიმუმ 25 მმ დიამეტრის მიმწოდებელი მიღის ჩაშვება ჭაბურლილის ფსკერზე. ცემენტის ხსნარი უნდა ჩაიტუმდოს მიმწოდებელ მიღმი, ვიდრე იგი ჭაბურლილიდან არ დაიწყებს ამოსვლას. შემდეგ მიმწოდებელი მიღი ნელ-ნელა უნდა იქნას ამოღებული ჩატუმბვის მიმდინარეობასთან ერთად. თუ თავდაპირველი გამაგრების შემდეგ ადგილი უქნა ცემენტის დაჯდომას, ჭაბურლილები კვლავ უნდა შეივსოს ცემენტის ხსნარით.

საცემენტაციო ოპერაციის გაგრძელებამდე კონტრაქტორმა უნდა მოახდინოს კლდის ან ბეტონის ზედაპირზე ნებისმიერი ფილტრაციის ადგილის პლასტიკური მასალით ამოვსება, მშრალი ნარევით ან სახშობით დაგმანვა.

ცემენტის უფრო მაღალი მიღების ადგილებში შეიძლება საჭირო გახდეს ხსნარში ქვიშის დამატება, ქვიშის დასაშვები პროპორცია ჩვეულებრივ არ უნდა აღემატებოდეს 2 წილ ქვიშას 1 წილ ცემენტზე, რომელიც შეიცავს დამტკიცებულ პლასტიფიკატორს.

ცემენტის ხსნარი, რომელთა ჩასხმა ვერ მოხერხდება არევიდან 2 საათის განმავლობაში, უნდა გადაიყაროს.

F – საკონტაქტო ცემენტაცია გვირაბში გალერეების მოპირკეთების გარშემო

საკონტაქტო ცემენტაცია როგორც წესი უნდა ჩატარდეს დაბალი დაწევის კონტაქტით (მაქსიმუმ 5 ბარი) ბეტონის მოპირკეთებასა და კლდეს შორის ბეტონით მოპირკეთებულ გვირაბებში.

გვირაბის უბნებზე იქ, სადაც მუდმივი საყრდენები იქნა გაპეთებული მიწის სამუშაოების დროს, სივრცე კლდის ზედაპირსა და საყრდენებს შორის უნდა ამოიგსოს საკონტაქტო ცემენტაციით ინჟინრის მიერ მითითებულ ადგილებში.

საკონტაქტო ცემენტაცია უნდა ჩატარდეს დაბალი დაწევით და უნდა გაგრძელდეს მანამ, სანამ ყველა სიცარიელე არ ამოიგსება, თუ სხვა რამ არ არის მითითებული ინჟინრის მიერ. ცემენტაციის დროს პაერისა და წყლის გამოსაშვები სავენტილაციო მოლები უნდა ჩაიდოს ინჟინრის მიერ მითითებულ და დამტკიცებულ ადგილებში.

მას შემდეგ, რაც რომელიმე ჭაბურლილის ცემენტაცია დასრულდება, წნევის შენარჩუნება უნდა მოხდეს ჩამკეტი ონკანით ან სხვა შესაფერისი მოწყობილობით, ვიდრე ცემენტის ხსნარი არ გამაგრდება.

ჟინგალპესის გამყვანი გვირაბი

ჟინგალპესის გამყვანი გვირაბის რეაბილიტაცია

სატენდერო დოკუმენტაცია

შესამოწმებელი ცემენტაცია უნდა ჩატარდეს ინჟინრის მიერ მითითებულ ადგილებში, რათა შემოწმდეს, რომ სიცარიელეები სრულადაა ამოვსებული ცემენტით. ჩაითვლება, რომ ცემენტაცია დამაკმაყოფილებელ დონეზეა ჩატარებული, თუ ხერხდება წნევის სულ მცირე 5 წუთით შენარჩუნება ცემენტის შემდგომი მიღების გარეშე.

გვირაბების გარშემო მდებარე კლდის საკონტაქტო ცემენტაცია უნდა ჩატარდეს ნახაზებზე ნაჩვენების ან ინჟინრის მითითებების შესაბამისად.

უშუალოდ ცემენტაციამდე, საცემენტაციო ჭაბურლილები გულდასმით უნდა გამოირცხოს (თუ კლდის თვისებები ამის საშუალებას იძლევა) დაწნევით, ვიდრე უკან დაბრუნებული წყალი არ იქნება სუფთა, და გამოიცადოს წნევით.

ცემენტაციის დანადგარის მიმდებარე ჭაბურლილები ცემენტაციის ოპერაციების დროს უნდა დარჩეს დია, რათა გაადვილდეს არსებული ჯიბებიდან მიმდებარე კლდეში ჰაერისა და წყლის გადინება. იქ, სადაც რომელიმე ჭაბურლილის გაბურდვისას, აღმოჩნდება, რომ ცემენტის სსნარი გამოედინება მიმდებარე ჭაბურლილებიდან ან ამა თუ იმ სახის ნაპრალებიდან, ასეთი დია ადგილები უნდა დროებით დაიხუროს საცობით ან პლასტიკური მასალით.

წნევის უეცარი ვარდნის ან ცემენტის მიღების უეცარი გაზრდის დროს ცემენტაციის ოპერაციები დროებით უნდა შეჩერდეს, ვიდრე ნაპრალი ან ლიობი, რომლის გამოც წარმოიშვა ეს დანაკარგები, არ მოიძებნება და ამოივსება პლასტიკური მასალით. ამ დროის განმავლობაში ჭაბურლილი გამუდმებით უნდა ირეცხებოდეს, რათა თავიდან იქნას აცილებული ცემენტის ნაადრევი გამკვრივება, რაც დააბრკოლებს ცემენტაციის გაგრძელებას. თუ წნევის ამგვარი ვარდნა ან ცემენტის მიღების გაზრდა გამოწვეულია ფენის ჰიდრავლიკური გაწყვეტით, ცემენტაციის წნევა უნდა შემცირდეს.

თუ ზედაპირული ცემენტის გაუონვების ლოკალიზება და პლასტიკური მასალით წარმატებით ამოვსება ან წნევის ვარდნის მიზეზის დადგენა ვერ მოხერხდა 1 საათის განმავლობაში, მაშინ ჭაბურლილის გამორეცხვა უნდა შეწყდეს და კლდოვან წარმონაქმნები არსებულ ცემენტს უნდა დასცალდეს გამაგრება 24 საათის განმავლობაში. გამაგრების შემდეგ ჭაბურლილი ისევ უნდა გაისინჯოს და ჩაუტარდეს ცემენტაცია. თუ ჭაბურლილი ან საფეხური არ დებულობს ცემენტის სსნარს, მაშინ ჭაბურლილი ხელახლა უნდა გაიბურდოს ან ინჟინრის მითითებით უნდა ჩაენაცვლოს სხვა ჭაბურლილით.

თუ ცემენტაციის დროს ჭაბურლილებს შორის არის კავშირი, მაშინ კონტრაქტორმა ან უნდა დააყენოს პაკერები ურთიერთდაკავშირებულ ჭაბურლილებში, რომლებიდანაც დაგროვილი ჰაერი სშირად უნდა გამოიდევნოს და გაგრძელდეს ერთი მეორის მიყოლებით ჭაბურლილების ცემენტაცია, ან დაკავშირებულ ჭაბურლილებში ერთდროულად ჩაატაროს ცემენტაცია დაწნევით.

ცემენტაციის დამთავრების შემდეგ პაკერები უნდა დარჩეს ჭაბურლილში, ხოლო წნევა უნდა შენარჩუნდეს, ვიდრე ცემენტის სსნარი არ მიაღწევს თავდაპირველი გამყარების მდგომარეობას.

ჟინგალპების გამყვანი გვირაბი

ჟინგალპების გამყვანი გვირაბის რეაბილიტაცია

სატენდერო დოკუმენტაცია

წყლის დაწნევით შემოწმების შედეგები და ცემენტაციის შემდეგ მიღებული სხვა ინფორმაცია გამოყენებული იქნება იმის დასადგენად, დამაკმაყოფილებლად შესრულდა თუ არა ცემენტაცია ყველა სამუშაო უბანზე, თუ აუცილებელია დამატებითი ცემენტაციის ჩატარება ცალკეულ ჭაბურლილებში. ნებისმიერ მონაკვეთზე ცემენტაციის სამუშაოების ნებისმიერ ეტაპზე შეწყვეტა მოხდება ინჟინრის გადაწყვეტილების მიხედვით.

11.9 გაზომვა და გადახდა

ბურღვების, წყლის დაწნევით გამოცდის, სინჯების აღებისა და ცემენტაციის რაოდენობის გაანგარიშებები, რომელიც მოცემულია ხარჯთაღრიცხვაში, კონტრაქტორმა უნდა მიიღოს საორიენტაციოდ მისი სატენდერო წინადაღების მომზადებისთვის და არა როგორც ზუსტი მითითება სამუშაოს ოდენობაზე.

თითოეული ასანაზღაურებელი პუნქტის რაოდენობა შეიცვლება სამუშაოების შესრულების პროცესში აღმოჩენილი პირობების შესაბამისად. კონტრაქტორს არ მიუცემა ხარჯთაღრიცხვაში მითითებულ ერთეულ ფასზე მეტი ანაზღაურება საცემენტაციო ჭაბურლილების რაოდენობისა და სიგრძის, შთანთქმული მასალის რაოდენობის შეცვლის მიზეზით, ინჟინრის მოთხოვნის შესაბამისად ცემენტაციის ადგილის, გრუნტის დამუშავების, ბეტონის დაგების ან სხვა სამუშაოების გამო ცემენტაციის ჩატარების დროის შეცვლის მიზეზით.

შემდგომში აქ მითითებული ერთეულის ფასები ბურღვებისათვის გავრცელდება როგორც დარტყმით, ასევე ბრუნვით ბურღვებზე.

ცემენტაციის სამუშაოების ანაზღაურების მიზნით გაზომვა და ანაზღაურება იწარმოებს ცალკე "ცემენტის ჩასხმისთვის" და ცალკე "საცემენტაციო მასალებისთვის".

ცემენტის ჩასხმის ერთეული ფასი უნდა მოიცავდეს მუშახელის, აღჭურვილობის, გადამუშავების, არევის, ჭაბურლილზე მიმაგრების (სადაც მიზანშეწონილია), ცემენტის ხსნარის ინჟინირების, ჭაბურლილების დახურვისა და გაწმენდის (და სხვათა) საერთო ღირებულებას და დამოუკიდებელი უნდა იყოს ინჟინირებული მასალების მოცულობისაგან ან წონისაგან.

საცემენტაციო მასალების ერთეული ფასები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება მოწოდების, ჩატვირთვის, ტრანსპორტირების, შენახვისა და ტესტირების საერთო ღირებულებით.

11.9.1 ბურღა

A – ბურღა საკონტაქტო ცემენტაციასთვის

ბეტონით მოპირკეთებამდე ან მის შემდეგ საკონსოლიდაციო ცემენტაციისათვის ნებისმიერი მასალის გამჭოლად შესრულებული ბურღვებისათვის ანაზღაურების გაანგარიშება მოხდება ნახაზებზე ნაჩვენებ ან ობიექტზე ინჟინრის მიერ მითითებულ ადგილებში გაბურდილი ჭაბურღლილების სიგრძის მიხედვით. გადახდა იწარმოებს ხარჯთაღრიცხვაში გრძივ მეტრზე შეტანილი ერთეული ფასის მიხედვით, რომელიც მოიცავს ჭაბურღლილების გაბურღვისა და გამორეცხვისათვის, ცემენტაციამდე ჭაბურღლილების დაუზიანებელ მდგომარეობაში შენარჩუნების, ცემენტაციის დამთავრებისა და მშრალი სადუღაბე ნარევით შევსების შემდეგ ჭაბურღლილების ჭაურების გაფართოების ან ხელახალი გაბურღვისათვის გამოყენებული შრომის, მოწყობილობებისა და მასალის საერთო დირებულებას.

იქ, სადაც აუცილებელია ბურღვების ჩატარება კონსტრუქციული ბეტონით მოსახვის შემდეგ, გაბურღლილი ჭაბურღლილის სიგრძის გაზომვისას გათვალისწინებული უნდა იყოს მოსახვის თეორიული სისქე, მიუხედავად იმისა, ჭაბურღლილი მოსახვის გამჭოლად თუ სხვა საშუალებით იქნა გაბურღლილი.

როდესაც ჩატარდება მრავალსაფეხურიანი ცემენტაციისათვის ჭაბურღლილის თანმიმდევრული გაბურღვა, ანაზღაურების დაანგარიშება მოხდება მხოლოდ კლდეში ან ბეტონში რეალურად გაბურღლილი ჭაბურღლილის მთლიანი სიგრძის მიხედვით. ნებისმიერი განმეორებითი ბურღვა, რომელთა შესრულებაც აუცილებელი შეიქნა იმის გამო, რომ კონტრაქტორმა ცემენტის ხსნარის გამყარებამდე არ გამოწმინდა ჭაბურღლილი ცემენტისგან, ჩატარდება კონტრაქტორის ხარჯით.

B – საძიებო ჭაბურღლილების ბურღვა (კერნის ამოღებით)

საძიებო ჭაბურღლილების გაბურღვისათვის ანაზღაურების ნორმირება მოხდება ინჟინრის მიერ მითითებულ ადგილებში გაბურღლილი სხვადასხვა დიამეტრის ჭაბურღლილების სიგრძის მიხედვით. გადახდა მოხდება ხარჯთაღრიცხვაში შეტანილი სხვადასხვა დიამეტრის ჭაბურღლილების თითოეული გრძივი მეტრისათვის დადგენილი ერთეულის ფასის შესაბამისად, რაც მოიცავს ჭაბურღლილების ბრუნვითი ბურღვებისა და კერნის ამოღებისათვის დახარჯული შრომის, მოწყობილობებისა და მასალების მთლიან დირებულებას.

C – გამონაკლისები - ბურღვები

დამატებითი გაანგარიშება ანაზღაურებისათვის ან ანაზღაურება არ იწარმოებს შემდეგისთვის:

- 1) გამჭოლი ბურღვები ლითონის კონსტრუქციებში, არმატურაში და ლითონის მოსახვაში;
- 2) საცემენტაციო მიღების მონტაჟი და დემონტაჟი;

ჟინგალპების გამყვანი გვირაბი

ჟინგალპების გამყვანი გვირაბის რეაბილიტაცია

სატენდერო დოკუმენტაცია

- 3) ბეჭონის მოსახვაში ჭაბურღილების გაფართოება ან ხელახალი გაბურღვა შრალი დუღაბის ნარევის ჩასხმის, აგრეთვე, მიწოდების და ჩასხმის მიზნით;
- 4) ჭაბურღილები, რომლებიც ბლოკირებულია და მათი გამოყენება შეუძლებელია გამონამუშევარში ჩამოქცევის, დაკარგული საბურღი შტანგების, პაკერების, ან სხვა დაბრკოლებების (მაგ. არმატურის) მოხვედრის გამო და მათ ნაცვლად ახალი ჭაბურღილების გაბურღვა.

11.9.2 ცემენტის ხსნარის ჩასხმა

A – საკონტაქტო ცემენტაცია

ანაზღაურების ცალკე გაანგარიშება და ანაზღაურება იწარმოებს საცემენტაციო ჭაბურღილებთან გაკეთებული შეერთებისთვის და ცემენტის ხსნარის ჩასხმისათვის.

საცემენტაციო ჭაბურღილებთან შეერთებების ანაზღაურების გაანგარიშება მოხდება საცემენტაციო ჭაბურღილებში გამოყენებული პაკერების რაოდენობის მიხედვით. ეს გადახდა იწარმოებს ყოველთვის, როდესაც ცემენტის დაკავშირება ხდება ჭაბურღილთან, მიუხედავად ჩატუმბული ცემენტის ოდენობისა.

B – ნაპრალების ცემენტაცია

დამატებითი ანაზღაურების გაანგარიშება და გადახდა არ მოხდება ნაპრალების ცემენტაციისათვის და ამიტომ მისი ღირებულება გათვალისწინებული უნდა იქნას კონსტრუქციული ბეტონით მოსახვისათვის დადგენილ ერთეულ ფასში.

11.9.3 საცემენტაციო მასალები

A - ცემენტი

ანაზღაურების გაანგარიშება და გადახდა ცემენტაციისათვის დახარჯული ცემენტისთვის მოხდება სხვადასხვა მოცემული საცემენტაციო ნარევებისათვის დამტკიცებული ცემენტის წონის მიხედვით.

გადახდა იწარმოებს ერთეული მეტრული ტონის ერთეულის ფასის მიხედვით, რომელიც შეტანილია ხარჯთაღრიცხვაში, და ითვალისწინებს მიწოდების, ტრანსპორტირების, შენახვის, არევის, ასევე ყველა დადგენილ მოთხოვნასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მთლიან ღირებულებას.

B - ქვიშა

ქვიშისათვის ანაზღაურების გაანგარიშება მოხდება ამრევი დანადგარის მონაცემების აღრიცხვით ან ინჟინრის მიერ დამტკიცებული სხვა საშუალებით დადგენილი იმ მასალების წონის მიხედვით, რომლებიც შეიცავენ საშუალო რაოდენობის ბუნებრივ წყალს.

გადახდა იწარმოებს ხარჯთაღრიცხვაში თითოეული მასალის მეტრული ტონისათვის შეტანილი ერთეული ფასით.

C – მინარევები

მინარევებისთვის ანაზღაურების გაანგარიშება მოხდება საცდელი ნარევების ეტაპზე დადგენილი შეთანხმებული დოზების წონის ან მოცულობის ან მათი დამტკიცებული მოდიფიკაციების მიხედვით.

გადახდა იწარმოებს ერთეულის ფასით ხარჯთაღრიცხვაში შეტანილ თითოეულ კილოგრამზე ან ლიტრზე, რაც მოიცავს მიწოდების, ტრანსპორტირების, შენახვისა და დისპერსიის საერთო ლირებულებას.

D – გამონაკლისები - ცემენტაცია

დამატებითი ანაზღაურების გაანგარიშება ან გადახდა არ იწარმოებს შემდეგი - სამუშაოებისათვის:

- 1) საცდელი ანარევების მომზადება და გამოცდა;
- 2) საცემენტაციო მასალები, გამოყენებული ბეტონით ან ფოლადით მოპირკეთებული გვირაბის თაღის, შახტის და ღრმულის საკონტაქტო ცემენტაციისათვის;
- 3) ნარევში გამოყენებული საცემენტაციო მასალები, რომლებიც მომზადდა ინექციამდე ერთი საათით ადრე, ან რომლებიც დაიკარგა არასწორი მოვლის შედეგად ან დაწუნებული იქნა არასწორი არევის გამო;
- 4) წყლის მიწოდება და ინექცია;
- 5) ცემენტაციის პროცესში ფილტრაციის ადგილების დახშობა ან პლასტიკური მასალით ამოვსება;
- 6) ცემენტაციის დროს სადრენაჟო და პიეზომეტრების სისტემის, თუკი ასეთი არსებობს, დაცვა;
- 7) ცემენტაციის დროს საჭირო საკომუნიკაციო საშუალებები;
- 8) ჭაბურღილების დახურვა დადგენილი წესით და გასუფთავება;
- 9) საცემენტაციო სამუშაოების მიმდინარეობის აღრიცხვისა და ანგარიშების მომზადება და წარდგენა.